

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

III საერთაშორისო კონფერენცია

ტერმინოლოგია – მემკვიდრეობა და თანამედროვეობა

თბილისი
2022

თანაორგანიზატორები:

საქართველოს ვუკოლ ბერიძის სახელობის ტერმინოლოგიის ასოციაცია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტი ტექინფორმი
ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი
საქართველოს გასტრონომიის ასოციაცია

მხარდამჭერები:

ნს სტუდიო
სასტუმრო „ზეგ“

სამეცნიერო კომიტეტი:

ლია ქაროსანიძე (თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი)
ალბინა აუკსორიუტე (ლიეტუვური ენის ინსტიტუტი)
ქრისტინა გალინსკი (ინფოტერმი – ტერმინოლოგიის საერთაშორისო საინფორმაციო ცენტრი)
რუტე კომტა (NOVA ლისაბონის უნივერსიტეტი)
ჰენრიკ ნილსონი (EAFT – ევროპის ტერმინოლოგიური საზოგადოება)
ანა ოსტრომკი ანიჩი (ხორვატიული ენისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტი)
დამანა მელიქიშვილი (თსუ-ს ემერიტუსი პროფესორი)
მანანა რუსიეშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
რუსუდან სალინაძე (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
თამარ ვაშაკიძე (თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი)
სალომე ომიადე (თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი)
მერაბ ჩუხუა (თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

საორგანიზაციო კომიტეტი:

ნანა მაჭავარიანი (თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი), როლანდ კოპალიანი (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი), შალვა კირთაძე (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე), ნელი მახვილაძე (სტუ ინსტიტუტის – ტექინფორმის – დირექტორი), გიორგი ფანცულაია (ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის დირექტორი), დალილა ცატავა (საქართველოს გასტრონომიის ასოციაციის პრეზიდენტი), თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მკვლევრები, ტერმინოლოგები: მარინე ოსაძე, ნათელა მუზაშვილი, ნინო დათეშიძე, ზაალ კიკვიძე, მანანა ერქომაიშვილი, ლინდა გიორგაძე, თეონა ლაფაური; რუსუდან ჰაპიაშვილი (თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი), მარიამ ქეზურია (თსუ), ნინო ფხაკაძე (აწსუ), ნათია ფუტყარაძე (თსუ), ნინო ღლონტი (თსუ). ტრევორ კორტლეჯი (რედაქტორი), ნინი ჭანტურია (ნს სტუდიო), ლუკა ჩაგანავა (ნს სტუდიო);

ს ა რ ჩ ე ვ ი

ინგა ადამია , სიტყვის პოლისემია, მისი ინტერპრეტაცია თარგმანში (ტერმინოლოგიური სტანდარტიზაცია „თავფარავნელი ჭაბუკის“ მაგალითზე).....	8
მარინა ანდრაზაშვილი , გერმანიის ჰიდრონიმები და მათი ტერმინოლოგიური ეკვივალენტები ქართულში.....	9
ალბინა აუკსორიუტე , ლიეტუველი ფილოსოფისი სტასის შალკაუსკისი და მისი ტერმინოლოგიური მემკვიდრეობა.....	10
ნარგიზ ახვლედიანი , მსხლის ჯიშები აჭარულში	11
ციური ახვლედიანი , ტელესკოპური ტერმინები ფრანგულ ენაში	12
ციცინო გაბესკირია , ტექნიკური თარგმანის თავისებურებები (მათემატიკური ტექსტების მაგალითებზე).....	13
დეკანოზი კონსტანტინე გიორგაძე , ლინდა გიორგაძე , სამღვდლო კონდაკის რედაქციისას წარმოჩენილი რამდენიმე პრობლემური ტერმინისათვის	13
ლინდა გიორგაძე , მანქანის ნაწილების ტერმინები (მრავალდარგოვან ტერმინთა ლექსიკონის მასალები).....	14
ირინა გოგონაია , მინერალური წარმოშობის სამკურნალწამლო საშუალებების განმარტებითი ლექსიკონის შესახებ (ქართული საექიმო წიგნებისა და კარაბადინების მიხედვით).....	15
ნანა გონჯილაშვილი , ნესტან სულავა , ივანე ჯავახიშვილი ძველი ქართული მწერლობის კლასიფიკაციისა და თხრობის სტილის შესახებ	16
თამარ გუჩუა , <i>რიტუალი</i> და მისი ცნებით-ტერმინოლოგიური განზომილებები	17
ნინო დათეშიძე , ნათელა მუზაშვილი , მარინე ოსაძე , აფიქსიდიან ტერმინთა სტრუქტურული ჯგუფები	19
ქეთევან დათუკიშვილი , ნაწილაკდართულ ნაცვალსახელებთან და რიცხვით სახელებთან დაკავშირებული ტერმინებისთვის.....	20
თამაზ დევიძე , ლიტურგიკული ტერმინოლოგია „მარხვანის“ ქართულ რედაქციებში.....	22
ირინე დემეტრაძე , მეტაფორა, სპეციალიზაცია და განზოგადება სამშენებლო ტერმინოლოგიაში (ინგლისური, ქართული და რუსული ენების მასალაზე).....	23
მანანა ერქომაიშვილი , რძის პროდუქტების სახელდებისათვის.....	25
ზურაბ ვახანია , ქართული ენის წესების დარღვევით წარმოებული უცხოპირიანი ფსიქოლოგიური ტერმინები	27
რუსუდან ზექალაშვილი , განტერმინება (დეტერმინოლოგიზაცია), როგორც ლექსიკის გამდიდრების საშუალება (სამედიცინო ტერმინთა მაგალითზე).....	28

დავით იობიძე , გელათელი ანონიმი მწიგნობრის ტერმინთშემოქმედებითი ძიებანი ერთი გელათური ხელნაწერის (K14) მიხედვით	29
გიორგი კაკაბაძე , ქართული ტერმინოლოგიის სირთულეები აეროკოსმოსურ დარგში	30
ვაჟა კელიხაშვილი , ანდრო მაისურაძე , რობერტ ხაჩიძე , ტექნიკური ტერმინოლოგიის პრობლემები და გამოწვევები ავიაციის დარგში	32
რეგინა კვაშიტე , ტერმინთა ლექსიკონები ლატვიურ და ლიეტუვურ ენათმეცნიერებასა და ლიტერატურათმცოდნეობაში: შედარებითი კვლევა	33
ჯონი კვიციანი , „ქართველიანი“, როგორც საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული და ადამიანთა მრავალეროვნული ერთობის აღმნიშვნელი ტერმინი	34
მაია კიკვაძე , რამდენიმე ტერმინი ტაოს ქართულიდან	35
ზაალ კიკვიძე , <i>გლოსონიმი/გლოტონიმი</i> , <i>ლინგვონიმი/ლინგვანიმი</i> და სხვ.: ენათა სახელწოდებების აღმნიშვნელი ტერმინების სოციოტერმინოლოგიური მიმოხილვა	36
ესმა კუნჭულია , სამზარეულოში შენახული ენა და „გაქვავებული სიტყვები“	37
ჰენრი კუპრაშვილი , ტერმინის მეტამორფოზა („იბერია“ და „ივერია“)	39
თამარ მახაროზიძე , ტერმინოლოგიის საკითხები ქართულ ჟესტურ ენაში	40
დამანა მელიქიშვილი , ქართული ტერმინთშემოქმედების ისტორიიდან	41
დავით მეშველიშვილი , ფრიდონ ბეროშვილი , ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებული ქართული ტერმინოლოგიის დახვეწის პროექტი	42
ანა მიქაძე-ჩიკვაძე , სიტყვა <i>კვეთში</i> შენახული ყველის ისტორია	42
მაია ნაჭყებია , ენა და ლიტერატურათმცოდნეობითი ტერმინოლოგია XVII საუკუნის საფრანგეთსა და საქართველოში (შედარებითი კვლევა)	44
სალომე ომიაძე , <i>კვეთი</i> , <i>ყველი</i> – მსგავსი მოტივაციის მქონე ორი ლექსემა-ტერმინი	45
სიგიტა რაცკვიჩიენე , ლიუდმილა მოცკიენე , კიბერუსაფრთხოების სფეროს ტერმინოლოგია: ყველაზე ხშირად გამოყენებული ინგლისური და ლიეტუვური ტერმინების წარმოების ყალიბები ორენოვან სპეციალურ კორპუსებში	46
ციური რამიშვილი , ვლადიმერ ციციშვილი , ქიმიაში, ნანომეცნიერებაში და ნანო-ტექნოლოგიაში გამოყენებული ზოგიერთი ქართული ტერმინის შესახებ	47
სვეტლანა როდინაძე , თამილა მიქელაძე , ქრისტინე ზარბაზოია , სულხან საბას „სიტყვის კონა“, როგორც ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის პირველწყარო და მისი როლი თანამედროვე ქართულ საზღვაო ტერმინოლოგიაში	48
მანანა რუსიეშვილი , ლია ქაროსანიძე , მანანა ხაჩიძე , ვრცელი ქართულ-ინგლისური თემატური ლექსიკონი (ახალი პროექტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში)	50
ირაკლი სალია , რა ენობრივ ერთეულებს უნდა ეწოდოს <i>ომონიმი</i> ?	52

გივი სანაძე , ქართული საავიაციო ტერმინების სარედაქციო საკითხები	52
რუსუდან სალინაძე , ნასესხებ ტექნიკურ ტერმინთა ვარიანტები ქართულში და სტანდარტის საკითხები	53
ლიანა სუთიძე , ახალი დარგობრივი ტექნიკური ტერმინოლოგიის სარედაქციო საკითხისათვის	55
ნინო ტონია , სამსონ თოფურის ევროპული მოღვაწეობა	56
ნინო ფხაკაძე , ტერმინოლოგიური მოდელები პირველი ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკონის („სიტყვარის“) მიხედვით	56
ლია ქაროსანიძე , ქართული ტერმინთბანკი და ტერმინოლოგიური მუშაობის ახალი ეტაპი საქართველოში	58
ნინო ქემერტელიძე , მერი გიორგაძე, კომპიუტერული ტერმინები და მათი ქართული შესატყვისები	60
ნონა ქეცაია , ბარბარიზმები თანამედროვე ქართულ სამშენებლო ლექსიკაში	61
ნინო ღამბაშიძე , თამარ ციციშვილი, როგნედა ღამბაშიძე-ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთი ეპიზოდი	61
მედეა ღლონტი , ძველქართული შესიტყვება-ტერმინი <i>გული გონიერის</i> ლექსიკურ-სემანტიკური ბუდისათვის	62
ვაჟა შენგელია , რამდენიმე ორნიტოლოგიური ტერმინის შესახებ ჩერქეზულ ენებში	62
ირინე ჩაჩანიძე , ილია ალხაზიშვილის ნაშრომი „ფარმაცევტული ტერმინები ქართულს ენაზედ“	63
ნარი ჩხაბერიძე , ძველქართული საღვთისმეტყველო ტერმინი <i>შურის</i> და ქართ. <i>მოშურნეობის</i> ლექსიკურ-სემანტიკური მიმართებისათვის	64
დალი ცატავა , გასტრონომია და გასტრონომიული ტერმინოლოგია, მეგრული <i>ჰამოს</i> მაგალითზე	65
მამუკა ცუხიშვილი (მონაზონი იოანე) , ერთი საეკლესიო ტერმინის შესახებ	66
ომარ ძაგნიძე , სასკოლო მათემატიკის ტერმინების ისტორიისთვის	66
მარიკა ჭითანავა-ლობჯანიძე , წმიდა მარკოზ მახარებლის ლიტურგიის საღმრთისმეტყველო ტერმინოლოგიური ანალიზი	68
თამარ ხატიაშვილი , <i>ჰიბრიდული ომი</i> – XXI საუკუნის ტერმინი	69
ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი , დავით ჭელიძე, მცენარეთა ქართული სამეცნიერო სახელების განახლების შესაძლებლობა ძველი ქართული ლექსიკონების მონაცემებით	70
ცირა ჯანჯღავა , ტერმინოლოგიურ შესიტყვებათა შესახებ მეგრულ-ლაზურში ნასესხებ ტექნიკურ ტერმინთა ვარიანტები ქართულში და სტანდარტის საკითხები	72

კონფერენციის
მასალები

ინგა ადამია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

inga_adamia@gmail.com

სიტყვის პოლისემია, მისი ინტერპრეტაცია თარგმანში (ტერმინოლოგიური სტანდარტიზაცია „თავფარავნელი ჭაბუკის“ მაგალითზე)

ტექსტი შეიძლება გავიაზროთ, როგორც ინტერტექსტი, რომელიც ერთმანეთისაგან თანასწორუფლებიანი კულტურული შრეებისაგან შედგება. ტექსტებს მივყავართ ლინგვოკულტურული ცნობიერების კოლექტიური მითების წარმოქმნამდე, რომლებიც ახდენენ სინამდვილის თავისებურ დეფორმირებასა და მოდელირებას. კვლევისას ენათმეცნიერების წინაშე შეიძლება დადგეს ისტორიული საკითხი, საკუთრივ ის, თუ როგორ განუვითარდა სიტყვას ახალი მნიშვნელობა ძველთან ერთად.

სიტყვის მრავალმნიშვნელობიანობა, ანუ პოლისემია, ცხადია, არ არის მხოლოდ ერთი და, კერძოდ, ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი მოვლენა. იგი უაღრესად საინტერესო ენობრივი მოვლენაა, ვინაიდან ის უშუალოდაა დაკავშირებული ადამიანის აზროვნებასთან, მის მიერ სამყაროს აღქმის უაღრესად რთულ პროცესთან, ამასთან, პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობა მთლიანად განპირობებულია იმ კონტექსტით, რომელშიც ამ სიტყვის მნიშვნელობა რეალიზდება. ყოველივე ეს კი განსაკუთრებით თარგმანთან მიმართებით ვლინდება, როდესაც ორი სტრუქტურა ერთად ანალიზდება და უცხოური და მშობლიური ერთ მხატვრულ ოდენობადაა ქცეული.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მიმოვიხილავთ ჩვენს ხელთ არსებულ მითოლოგიურ ტექსტს, კერძოდ, ლექსს „თავფარავნელ ჭაბუკს“, რომლის ინგლისური თარგმანი ეკუთვნის ქალბატონ ი. მერაბიშვილს. საინტერესოდ გვეჩვენება, თუ როგორ აღიქმება მითოლოგიური ტექსტის სიტყვის მნიშვნელობა თარგმნისას, მისი ტექსტუალური მნიშვნელობა და ტოპონიმის განსაზღვრა.

ჩვენი მიზანია, მხოლოდ ამ ნაწარმოების ქართული ვერსიიდან ყურადღება მივაპყროთ ერთ სიტყვას, კერძოდ, დოლაბის მნიშვნელობას, როგორც ტერმინოლოგიის, ინტერპრეტაციისა და თარგმანის ობიექტს, ვინაიდან სწორედ თარგმანის მეშვეობით გახდა შესაძლებელი ამ სიტყვის პოლისემანტიკურობის გამოვლენა სრულად, რაც არაა ასახული ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში.

მარინა ანდრაზაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
marina.andrazashvili@tsu.ge

გერმანიის ჰიდრონიმები და მათი ტერმინოლოგიური ეკვივალენტები ქართულში

გერმანიის ჰიდრონიმებს, შესაბამისად საკუთარი კატეგორიისა, საფუძვლად უდევთ ურთიერთგანსხვავებული მორფოსინტაქსური მოდელი; მოხსენების მიზანია, ამ მოდელთა სახეობა და მათი კონსტიტუენტების აპელატიურ ელემენტთა სემანტიზაცია-პროტოტიპულობის ხარისხზე და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით კი მიუსადაგოს მათ ქართული ეკვივალენტი კატეგორიალურ ტერმინთან ერთად:

კატეგორია *ზღვა*; ორივე ზღვის სახელი *Nordsee / Ostsee* არის კომპოზიტი, რომელშიც კატეგორიის აღმნიშვნელი ტერმინი მეორე კომპონენტის სახით მოჰყვება აპელატიურ ლექსემას. ამ სახელთა პროტოტიპულობის გამო გასარკვევია, ქართულად უნდა გადმოდიოდნენ ისინი ენდონიმის ანალოგიურად თუ ტრანსლირებული სახით.

კატეგორია *ყურე/უბე*; ნიმუშებია: *Kieler Bucht / Pommersche Bucht / Wismarbucht / Greifswalder Bodden / Stettiner Haff*; სურათი არაჰომოგენურია დენოტატთა სპეციფიკურ მახასიათებელთა სხვადასხვაობის გამო, რაც გერმანულად სამი არაურთიერთჩანაცვლებადი ტერმინებით – *Bucht (უბე) / Haff (ყურე/ლაგუნა) / Bodden (ყურე/ზოდენი)* – გადმოიცემა. გასარკვევია, უნდა გადმოვიტანოთ ისინი ქართულად გენიტიური განსაზღვრების სახით: *შტეტინის ყურე*, თუ პარალელურად დასაშვებია ასევე პროპრიალური შესიტყვების არსებობაც: *ყურე შტეტინერ-ჰაფი*;

კატეგორია *ტბა*; ნიმუშებია, ერთი მხრივ, კომპოზიტები: *Ammersee / Bodensee*, მეორე მხრივ, სახელის სინტაგმები: *Starnberger See / Überlinger See*. ამ შემთხვევაში პრობლემას ქმნის – *see/See* – კომპონენტის განსხვავებული ლექსიკური დატვირთულობა, კერძოდ, რჩება ის პროპრიალურ მსაზღვრელთან დაკავშირებულ აპელატიურ საზღვრულად, რომლის სემანტიკაც ქართულ ეკვივალენტშიც უნდა წარმოჩნდებოდეს, თუ შეიძლება მისი გვერდის ავლა; რა ბედი უნდა ეწიოს *see/See*-აფიქსოიდს დესემანტიზებულ ტოპონიმებში: *Hiddensee (კუნძული) / Seebühl (ქლაქი) / Seehausen (ქლაქი)* ან როგორ განვასხვაოთ ისინი ანალოგიურად ნაწარმოები სემანტიზებული ჰიდრონიმებისაგან, მაგ.: *Ammersee*;

კატეგორია *არხი*; ნიმუშებია: *Teltowkanal / Küstenkanal / Mittellandkanal; Dortmund-Ems-Kanal*. სტრუქტურულად ყველა მათგანი ეფუძნება ერთ მოდელს, კერძოდ, ისინი ერთსიტყვიანი ან დეფისით გაფორმებული კომპოზიტებია, თუმცა ლექსიკურად სურათი ჰეტეროგენულია, ანუ შეიძლება წარმოდგენილი იყოს აპელატიური და პროპრიალური კომპონენტების ნებისმიერი კომბინაციით. ტრანსფერირებისას დასადგენია კანონზომიერება, რამდენად მართებულია, დესემანტიზებული აპელატიური ლექსიკა მთლიანად მოექცეს პროტოტიპულ ჩარჩოებში: *Mittellandkanal* არხი მიტელლანდკანალი, თუ საჭიროა თარგმნა: *ქვეყნისშუა არხი;

კატეგორია *მდინარე*; შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი ლექსემით: *Neckar*, ორლექსემიანი კომპოზიტით *Saalbach* ან ადიექტიური განსაზღვრების შემცველი სახელის სინტაგმებით: *Fränkische Saale / große Aa / Schwarzer Regen / Weiße Elster*. ამ ბოლო შემთხვევაში საკამა-

თოა, უნდა გადმოდიოდნენ ისინი ენდონიმის ანალოგიურად თუ (ტრანსლიტერაციით); გასარკვევია, ასევე, ქართულის ფლექსიური ბუნებიდან გამომდინარე, მათი მართებულად გაფორმების საკითხიც: *შვარცერ-რეგენი* თუ **შვარცერრეგენი*; *ვაისე-ელსტერი* თუ **ვაისეელსტერი*.

ალბინა აუქსორიუტე

ლიეტუვური ენის ინსტიტუტი, ლიეტუვა

albina.auksoriute@gmail.com

ლიეტუველი ფილოსოფოსი სტასის შალკაუსკისი და მისი ტერმინოლოგიური მემკვიდრეობა

XX საუკუნის დასაწყისში ლიეტუვური ენის განვითარებით დაინტერესდნენ არა მხოლოდ ლინგვისტები, არამედ ფილოსოფოსებიც. მესამე ათწლეულის შუა ხანებში კაუნასის ვიტაუტას მაგნუსის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორმა სტასის შალკაუსკისმა (1886–1941) დაიწყო თავისი კვლევების გამოქვეყნება ტერმინოლოგიის თეორიის შესახებ. შალკაუსკისმა თავისი თეორია შექმნა ფილოსოფიურ ხედვაზე დაყრდნობით. შალკაუსკისის აზრით, სამეცნიერო ტერმინოლოგია შეიძლება განვითარდეს მხოლოდ ენათმეცნიერთა, ფილოსოფოსთა და მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა ერთობლივი ძალისხმევით. შალკაუსკისის ტერმინოლოგიური მემკვიდრეობა მოიცავს: 1. Terminologijos teorija ir lietuviškoji filosofijos terminija („ტერმინოლოგიის თეორია და ფილოსოფიის ლიეტუვური ტერმინოლოგია“); ეს არის დაუმთავრებელი ნაშრომი, რომელიც ქვეყნდებოდა კაუნასის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალში „Logos“ 1925, 1927, 1934;

2. Bendroji filosofijos terminija („ფილოსოფიის ზოგადი ტერმინოლოგია“), რომელშიც ტერმინები მოცემულია ლიეტუვურ, ფრანგულ, გერმანულ და რუსულ ენებზე, საილუსტრაციო მაგალითებითურთ. მოგვიანებით დაემატა გერმანულ-ლიეტუვური ნაწილიც. ლექსიკონი მოიცავს ფილოსოფიისა და ზოგადი მეცნიერებების სულ მცირე 1600 ტერმინს. აქ არ არის არცერთი ნასესხები და საერთაშორისო ტერმინი. ეს იყო 1937–1938 წლებში გამოქვეყნებული ერთ-ერთი საუკეთესო ტერმინოლოგიური ლექსიკონი;

3. დაუმთავრებელი ლექსიკონის ხელნაწერი Bendroji pedagogikos terminija („განათლების ზოგადი ტერმინოლოგია“). შალკაუსკისი არ თვლიდა ტერმინოლოგიას მეცნიერების დამოუკიდებელ დარგად. იგი ამტკიცებდა, რომ ტერმინოლოგია უნდა მიეკუთვნებოდეს უფრო ფართო მეცნიერებას, რომლის შინაარსი მოიცავს კითხვას, თუ როგორ არის გამოხატული მეცნიერული ცნებები. მისი თვალსაზრისით, ტერმინოლოგია არის სემანტიკის განსაკუთრებული ნაწილი, რომლის ზოგადი პრინციპები უნდა იქნეს გამოყენებული სამეცნიერო ტერმინოლოგიაში. თუმცა სემანტიკის გარდა, დიდი მნიშვნელობა აქვს ლოგიკის, ფსიქოლოგიის და კულტურული ფილოსოფიის დამოკიდებულებას ენის ზოგადი პრინციპების მიმართ. შალკაუსკისმა გამოყო ტერმინოლოგიის სამი ძირითადი წყარო:

- 1) სალაპარაკო ან ცოცხალი ენა;
- 2) სიტყვათწარმოების საშუალებები;

3) სხვა ენები.

შალკაუსკისის თეორიაში დიდი ადგილი ეთმობა ტერმინთწარმოებს საკითხს, განსაკუთრებით ლექტუვური ენობრივი მაწარმოებლების მეშვეობით.

ნარგიზ ახვლედიანი

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, ბსუ, ბათუმი

nargiz.akhvlediani@bsu.edu.ge

მსხლის ჯიშები აჭარულში

„ვეროპაში არ მოიპოვება არცერთი ადგილი, სადაც მოჰყავდეთ ისეთი მსხალი და ვაშლი, რომლებიც სილამაზითა და გემოთი საქართველოში მოყვანილ მსხალსა და ვაშლს სჯობდეს“ (ჟან შარდენი). საკვლევ მასალაში წარმოვადგენთ აჭარულში დადასტურებულ მსხლის ჯიშებს, რომლებიც დროთა განმავლობაში, სხვადასხვა მიზეზთა გამო, იქ უკვე აღარ ხარობს და რაც შემორჩა (არა მარტო სახეობები, სახელწოდებებიც კი) შეიძლება აღარც მოიპოვებოდეს. ამდენად, მსხლის ჯიშების აღრიცხვა-აღწერას აჭარულში საჭირო საქმედ მივიჩნევ, მით უფრო, როცა არსებობს აქამდე გამოუქვეყნებელი, მდიდარი ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური და ეთნოგრაფიული სალექსიკონო მასალა, რომელიც 1958 წლიდან თავს იყრიდა ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფონდებში. ამჟამად ეს ლექსიკონი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა ძალისხმევით მზადდება გამოსაცემად. მანამდე კი საანალიზოდ მოვიყვან მცირე ამონარიდს აჭარაში გავრცელებული მსხლის ჯიშების სახელწოდებებს. მარტო ჩემს საკვლევ მასალაში ასეთი 90 ნიმუშზე მეტია, რასაც, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შევუდარებთ აქამდე აჭარულში გამოქვეყნებულ შესაბამისი მკვლევრების ნაშრომებს, რომლებშიც მანამდე გამოკვლეულია მსხლის ჯიშთა სახელწოდებები აჭარულში, ესენია: *ბათუმური, ბამბამსხალი, ბიამსხალი, ბრაწია, გონივრა, გორონა, ეებუა, ენკენია, თავგაურა, თოთოკავლა, თქაშუნა, თქლაფა, კორდა, კანფეტა, მარიობა, მოპარია, მაჰრა-მა, ნარინჯა, ოდიკისერა, სხალიპაპ, სხალტურა, ტაბაკა, ტუჩა, ქვაბისფსკერა, ყურწა, ყურწკაპა, შრალა, ჩაქურა, ჩურა, ძაძა, ჯირეკა* და სხვ., მათი უმეტესობა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში არ გვხვდება. საინტერესო იქნება, თუ რამდენი დასახელების მსხლის ჯიში დარჩება აჭარაში, მინიმუმ, ათი წლის შემდეგ.

ციური ახვლედიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
tsiuriakhvlediani@yahoo.com

ტელესკოპური ტერმინები ფრანგულ ენაში

ნაშრომი ეძღვნება ტელესკოპური ტერმინების კვლევას. ტელესკოპია წარმოადგენს ტერმინოლოგიურ ერთეულთა წარმოქმნის ერთ-ერთ მოდელს. იგი განსხვავდება სხვა მსგავსი სიტყვამაწარმოებელი პროცესებისაგან: სიტყვათხზვისაგან და აბრევიაციისაგან. ასევე წარმოვადგენთ ტელესკოპურ ტერმინთა გაჩენის მიზეზებს ენაში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტელესკოპურ ტერმინთა სტრუქტურულ და სემანტიკურ თავისებურებათა ანალიზს, წარმოვადგენთ მათ ტიპოლოგიას მორფოლოგიური, სემანტიკური და ფონოლოგიური კრიტერიუმების საფუძველზე. კვლევისას გამოვლინდა, რომ შესასწავლ ერთეულთა ყველაზე მეტად ხშირი ტიპი აგებულია შემდეგი მოდელით – არასრული ტელესკოპური ტერმინები, რომლებიც წარმოიქმნებიან პირველი ტერმინის შეკვეცილი ფუძისა და მეორე ტერმინის სრული ფუძის შერწყმით და მათ სემანტიკურ პლანში დომინირებს მეორე კომპონენტი. ტელესკოპური ტერმინების შინაარსის გადმოცემისას, სირთულეს იწვევს მათი თარგმანის ძირითადი ხერხები: ტრანსკრიფცია ან ტრანსლიტერაცია, კალკირება, ადეკვატური შეცვლა, აღწერილობითი (განმარტებითი) თარგმანი.

კვლევის აქტუალურობა აიხსნება იმ ფაქტით, რომ ტელესკოპია წარმოადგენს ფრანგული ენის ტერმინოლოგიური ლექსიკის შევსების ერთ-ერთ პროდუქტიულ ხერხს და აქედან გამომდინარე, ჩნდება აუცილებლობა, რომ სისტემატიზებულ იქნეს ტელესკოპურ ტერმინთა წარმოქმნის მოდელები, განხილულ იქნეს მათი სტრუქტურული და სემანტიკური თავისებურებანი და შემოთავაზებულ იქნეს ამ ერთეულთა თარგმნის ხერხები.

ტელესკოპურ ტერმინთა ფართო გავრცელება, პირველ რიგში, აიხსნება ენის ზოგადი ტენდენციებით ენობრივ საშუალებათა ეკონომიისაკენ, ინფორმაციული ტევადობის შენარჩუნებით. ტელესკოპურ ტერმინებს აქვთ უნარი, რომ მოკლედ გადმოსცენ ახალ, რთულ ცნებათა და რეალიათა აზრები, რომლებიც წარმოიქმნება საზოგადოების ცხოვრების პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროებში ღრმა ცვლილებების შედეგად.

სტრუქტურულ-სემანტიკურ თავისებურებათა წყალობით, ტელესკოპური ტერმინები აღწევენ ლინგვისტიკურ ეკონომიას იმ ახალი, რთული ცნებებისა და მოვლენების გადმოცემისას, რომლებიც წარმოიქმნება საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

ციციანო გაბესკირია

თსუ ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი
ciciana@hotmail.com

ტექნიკური თარგმანის თავისებურებები (მათემატიკური ტექსტების მაგალითებზე)

ცნობილია, რომ ტექნიკური თარგმანი, გარკვეულწილად, განსხვავდება მხატვრული თარგმანისაგან. პირველი და უმთავრესი კრიტერიუმები, რომლებიც მას ახასიათებს, არის: 1. ინფორმაციის სიზუსტე და ლაკონიურობა. 2. სპეციფიკური ლექსიკისა და სპეციალური ტერმინოლოგიის სწორად გამოყენება და გადმოცემა. 3. სალიტერატურო ენის ნორმების დაცვა.

თანამედროვე ეპოქაში, უზარმაზარი საინფორმაციო ნაკადის შემოდინების პირობებში, შეუძლებელია ინფორმაციის ათვისება და გავრცელება თარგმანის გარეშე. ტექნოლოგიების განვითარებამ ბუნებრივად წარმოშვა ის რეალობა, რომ სამეცნიერო ლიტერატურის გასავრცელებლად, უმეტესწილად, ინგლისურს, ანუ, როგორც მას უწოდებენ, ინტერნეტის ენას იყენებენ.

მათემატიკური ტექსტების პირიქითი თარგმანი (ქართულიდან ინგლისურ ენაზე) ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული. აქ მთარგმნელს, პირველ რიგში, მოეთხოვება ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა. მართალია, ტექნიკურ სპეციალისტს მთარგმნელ-ფილოლოგთან შედარებით შეიძლება უპირატესობა ჰქონდეს სპეციფიკური ტერმინების თარგმნისას, მაგრამ ორი განსხვავებული ენის (ქართულისა და ინგლისურის) ლინგვისტიკური თავისებურებების ცოდნის გარეშე სრულყოფილი თარგმანი ვერ შეიქმნება.

წინამდებარე მოხსენებაში შევცდებით წარმოვადგინოთ ყველაზე გავრცელებული შეცდომები, რომლებიც ქართულიდან ინგლისურად თარგმნილ მათემატიკურ ტექსტებში გვხვდება. ვფიქრობ, ეს გარკვეულ დახმარებას გაუწევს როგორც დამწყებ მთარგმნელებს, ასევე იმ მათემატიკოსებს, რომლებიც თავად თარგმნიან თავიანთ ნაშრომებს და ეს ნაშრომები უცხო ენაზე (ძირითადად ინგლისურზე) ქვეყნდება სხვადასხვა ქართულ თუ უცხოურ სამეცნიერო ჟურნალში.

დეკანოზი კონსტანტინე გიორგაძე

თბილისი წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური,
მედიცინის დოქტორი, თბილისი

Konstantine_318@yahoo.com

ლინდა გიორგაძე

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი

lindagiorgadze@yahoo.com

სამღვდლო კონდაკის რედაქციისას წარმოჩენილი რამდენიმე პრობლემური ტერმინისათვის

მეუფე იოანე გამრეკელის, ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის ლოცვა-კურთხევით, გამოსაცემად მზადდება სამღვდლო კონდაკის ახალი რედაქცია. ამის საჭიროება დიდი ხანია დგას ქართულ ეკლესიაში, რადგან დღესდღეობით ჩვენს ეკლესიაში გამოყენებულ კონდაკ-

ში თავს იჩენს მრავალი უზუსტობა (ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური, ორთოგრაფიული და პუნქტუაციური თვალსაზრისით), ასევე, კონდაკის სტრუქტურა საკმაოდ მოუხერხებელია (რაც გამოწვეულია თავის დროზე ქალაქის, დროისა თუ რესურსის ეკონომიით). ეს ფაქტორები მღვდელმსახურებს რამდენადმე ურთულებს წირვა-ლოცვის წარმართვას. შესაბამისად, შეიქმნა ჯგუფი, რომელიც შედგება როგორც კონდაკის პრაქტიკულად მომხმარებლებისაგან (სასულიერო პირებისაგან), ისე ენათმეცნიერებისაგან.

რა თქმა უნდა, კონდაკი ბევრი თვალსაზრისით იმართება, თუმცა, ამ მოხსენებაში წარმოვადგინეთ კონდაკის ტექსტში დადასტურებული ერთი საინტერესო ტერმინის საკითხს. განვიხილავთ ეკლესიის მსახურთა აღმნიშვნელ ტერმინთაგან ერთ-ერთს, რომელიც ორი სახესხვაობით გვხვდება: *კანანარხი//კანონარქი*. რა თქმა უნდა, ეს ტერმინი არაა ქართული წარმოშობის, ამიტომ, გადავწყვიტეთ, დაგვედგინა, რომელია ამ ორს შორის ნასესხობის უფრო მართებულად გადმოტანის შემთხვევა. შევნიშნეთ, რომ თანამედროვე ტექსტებში უპირატესობა ენიჭება ფორმა *კანონარქს*, რაც, ჩვენი აზრით, არასწორია. მაგალითად, მხოლოდ ამ ფორმითაა ის გამოყენებული ჟურნალი „კარიბჭეს“ ტექსტებში. ასევე, წმინდანდა ზედწოდებებშიც ეს უკანსკნელი დასტურდება (ღირსი ლეონტი მღვიმელი, კანონარქი...).

ამ სიტყვის აღმოსაფხვრელად და მართებული ფორმის დასადგენად, ტერმინის ისტორიისა და წამომავლობის კვლევაც კი გახდა საჭირო. მოვიძიეთ აღნიშნული ტერმინი ქართული ენის ეროვნულ კორპუსსა და სხვადასხვა ლექსიკონში. აღვნიშნავთ, რომ ამ საკითხის გადასაწყვეტად რჩევისათვის მივმართეთ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებას. შევეცდებით, წარმოვადგინოთ ჩვენი მცირე კვლევის შედეგები და ჩვენი თვალსაზრისი ერთი ტერმინის განსხვავებულ ვარიანტებთან დაკავშირებით.

მოხსენებაში კონდაკზე მუშაობის ძირითად პრინციპებსა და პრობლემებს და ხაზგასმით აღვნიშნავთ კონდაკის ტერმინოლოგიური თვალსაზრისით დამუშავების მნიშვნელობას. აქვე შევნიშნავთ, რომ ის სამუშაო, რომელიც ამჟამად კონდაკის ახალი რედაქციის შესადგენად ტარდება, უპირველეს ყოვლისა, პრაქტიკული დანიშნულებისაა და ვფიქრობთ, არცთუ ისე უმნიშვნელოა ქართული ეკლესიისათვის. ვიმედოვნებთ, ჩვენი მოხსენებით მცირე წვლილს შევიტანთ საეკლესიო ტერმინოლოგიის კვლევის საქმეში და თუნდაც ერთ ტერმინთან დაკავშირებული სიტყვის აღმოფხვრას შევუწყობთ ხელს.

ლინდა გიორგაძე

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
lindagiorgadze@yahoo.com

მანქანის ნაწილების ტერმინები (მრავალდარგოვან ტერმინთა ლექსიკონის მასალები)

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილება მრავალდარგოვან ტერმინთა ლექსიკონის შექმნაზე მუშაობს. დასამუშავებელი მასალა დაყოფილია თემატურ ჯგუფებად, რომელთა

შორისაცაა მანქანის ნაწილების ტერმინებიც. დღესდღეობით ამ თემატური ჯგუფისათვის არ მოგვეპოვება გამართული ლექსიკონი. ჩვენი მუშაობის მიზანია, მრავალდარგოვან ტერმინთა ლექსიკონისათვის შევქმნათ მანქანის ნაწილების ორენოვანი (ინგლისურ-ქართული) ლექსიკონი, რათა ამოვავსოთ ქართულ ლექსიკოგრაფიაში არსებული სიცარიელე.

აღნიშნული თემატური ჯგუფის დასამუშავებლად ვეყრდნობით ქართული ტერმინთბანკის მასალას, ძველ დარგობრივ ლექსიკონებს (რომლებიც, ძირითადად, რუსულ-ქართული და ქართულ-რუსულია). სამწუხაროდ, მანქანის ნაწილების აღმნიშვნელი ტერმინები არცთუ ისე ბევრია ჩვენს ხელთ არსებულ ლექსიკონებში. მასალაზე მუშაობა ხშირად მოითხოვს სამეცნიერო კვლევას რამდენიმე ენის ფარგლებში, თავს იჩენს სამსჯელო და მოსაგვარებელი საკითხების მთელი რიგი.

ერთ-ერთი საინტერესო საკითხი, რომელიც მანქანის ნაწილების ტერმინოლოგიაზე მუშაობისას იკვეთება, არის ეგრეთწოდებული ხელოსნური ენა. ერთი შეხედვით, თითქოს, მასში ჭარბობს ბარბარიზმები და მათზე ყურადღების გამახვილება მეცნიერულად არ ღირს, მაგრამ კვლევისას გამოვლინდა ლექსიკონებში არსებული ტერმინების უფრო მოხერხებული და სხარტი შესატყვისები, რომელთა განხილვა, ვფიქრობთ, რომ აუცილებელია. შესაძლოა, დაისვას კიდევ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე არსებული ტერმინის ხელოსნურ ენაში გაჩენილი ვარიანტით ჩანაცვლების საკითხი.

ირინა გოგონაია

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრი, თბილისი
irinagogonaia@manuscript.ge

მინერალური წარმოშობის სამკურნალწამლო საშუალებების განმარტებითი ლექსიკონის შესახებ (ქართული საექიმო წიგნებისა და კარაბადინების მიხედვით)

კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში 2017-2022 წწ. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი „სამედიცინო და ვეტერინარული ხელნაწერები საქართველოსა და უცხოეთის სიძველეთსაცავებში“ (გრანტი HE 17-54). პროექტის ფარგლებში ერთ-ერთ საკვლევ ამოცანას წარმოადგენდა ფუნდამენტურ სამედიცინო თხზულებებში (ქანანელის „უსწორო კარაბადინი“, ხოჯაყოფილის „წიგნი სააქიმოდ“, ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი-კარაბადინი“, დავით ზაგრატიონის, დაუთხანის „იადიგარ დაუდი“) მოცემული სამკურნალწამლო საშუალებების შესწავლა.

აღნიშნული თხზულებების მიხედვით ცხოველური და, განსაკუთრებით მცენარეული ნედლეული, უხვად გამოიყენება სამკურნალწამლო საშუალებებად, ამასთან, აღმოჩნდა, რომ მინერალური წარმოშობის ნივთიერებებიც აქტიურად გამოიყენებოდა მკურნალობის მიზნით. კვლევის შედეგად სამედიცინო წიგნებისა და კარაბადინების მიხედვით გამოიყო 40-ამდე მინერალური წარმოშობის საშუალება, მათი სამკურნალო ფუნქციის მითითებით.

მაგალითისათვის: კარაბადინებში გილი არმანი, გილერმანი (ტალახი, თიხა, მიწა სომხური, *Bolus Armenica/Bolus Armenus* – წვრილმარცვლოვანი რკინოვანი თიხა დამახასიათებელი ყვითელი ან მოყავისფრო-წითელი ფერის, ძლიერი შემკვრელი თვისებებით) და/ან გილი მახთუმი (თეთრი თიხა, *Bolus Alba* - ბუნებრივი სილიციუმშემცველი ენტეროსორბენტი, რომელიც შედგება კაოლინიტის $(Al_4[Si_4O_{16}](OH)_8$ ჯგუფის ერთი ან რამდენიმე მინერალისაგან, მითითებულია, როგორც რთული შედგენლობის სამკურნალწამლო საშუალებების ერთ-ერთი კომპონენტი ისეთ შემთხვევებში, როგორებიც არის: სისხლის დენა, კუჭ-ნაწლავის დაავადება, ფაღარათი, მოწამვლა, კანის დაავადება და სხვ. „იადიგარ დაუდში“ ცხვირიდან სისხლის დენის შეჩერების წამალი ასე არის აღწერილი: „ბურჰამან აქიმმან თქუა: თუ ესე წამალი, სისხლის დაწყუეტისათვის ბევრჯელ მიქნია, და დამიცადიაო. მოიტანე თოვლისა, ბაზარუჯისა და კიტრის გულის წყლები და ამა წყლებშიგა გილი არმანი გააყენეთ და ცოტა ქაფურიცა გაურიეთ, და ორსავე ცხვირშიგა უნდა ჩაასხან“ (ბაგრატიონი 1985).

მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია მინერალური წარმოშობის სამკურნალწამლო საშუალებების განმარტებით ლექსიკონზე, რომელიც აღნიშნული კვლევის შედეგად მომზადდა.

ლიტერატურა

ბაგრატიონი 1985 – დავით ბაგრატიონი, იადგარი დაუდი, რედ. ლადო კოტეტიშვილი, თბილისი.

ნანა გონჯილაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
nanagonjilashvili@yahoo.com

ნესტან სულავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
nestansulava@rambler.ru

ივანე ჯავახიშვილი ძველი ქართული მწერლობის კლასიფიკაციისა და თხრობის სტილის შესახებ

ივანე ჯავახიშვილის ფუნდამენტური ნაშრომის, „ძველი ქართული საისტორიო მწერლობის“, შესავალი წარმოადგენს კვლევას ძველი ქართული მწერლობის ძეგლების თხრობის სტილის შესახებ, რომელსაც, საზოგადოდ, ქართული სასულიერო და საერო ლიტერატურის, საისტორიო მწერლობის კონცეპტუალური საკითხების შესწავლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მან არსებითად პირველმა მიაქცია ყურადღება და ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებები საისტორიო და სასულიერო სამწერლო ტრადიციებში გამოყენებული მთხრობელისა და თხრობის შინაარსის შემცველი ტერმინოლოგიის შესახებ, რაც ძველი ქართული მწერლობის თხზულებათა კლასიფიკაციის საკითხების პარალელურად განიხილა. ესენია: მწერლობის ორ მიმართულებად – საეკლესიოდ და სამოქალაქოდ – განყოფის საკითხი, სასულიერო და საის-

ტორიო მწერლობაში გამოყენებული „ჭეშმარიტისმეტყველების“ მეთოდი, რაც თვალთხილულის აღწერას გულისხმობს, თხზულებათა წინასწარმემუშავებული გეგმის მიხედვით შექმნა, თხრობის სტილის საკითხი, რომელთა საფუძველზე დასმულია ამბის აღმწერლის პრობლემატ. ტერმინთა სიმრავლე განაპირობა ძველი ქართული მწერლობის ძეგლების შინაარსობრივმა და ჟანრობრივმა მრავალფეროვნებამ. ივანე ჯავახიშვილმა თავისი ტერმინოლოგიური დაკვირვებები საისტორიო თხზულებათა შესახებ წარმართა, თუმცა, მათი უმეტესობა ფილოლოგიური-ლიტერატურათმცოდნეობითი თვალთახედვითაცაა განსახილველი.

სწორედ ამიტომ მოხსენებაში განიხილება სხვადასხვა რიგის საკმაოდ მრავალრიცხოვანი ტერმინი, კერძოდ, ჟანრობრივი თვალსაზრისით: *მოთხრობა, წარმოჩენა, უწყება, ჯსენება, აღწერა, ისტორია, ხრონოგრაფი, წარმოთქმა*; ავტორი: *თვითმხილველი, გამომთქმელი, ჟამთა-აღმწერელი, სიტყვსმოქმედი, მემატიანე*; თხრობის სტილის მიხედვით: *წესი თხრობისაჲ, ნემტი თხრობისაჲ, საზღვარი სიტყვსაჲ, გზა სიტყვსაჲ, სიტყვათა სარბიელი, პირველდაწყებული სიტყვა და ზემოდატევებული ამბავი*; თხრობის თანმიმდევრობა: *შემდგომითი შემდგომად, შეუწყობლად და განზნულად, ლიტონი სიტყვა, რიტორული ხელოვნებითა და ჯეროვანი რიტორობით აღწერილი ამბავი*; სტრუქტურული თვალსაზრისით: *ხელნაწერი წიგნის ზანდუკი და ანდერძი*. ამ საკითხთა შესახებ გამოტანილ დასკვნათა უმრავლესობა სამეცნიერო სივრცეში საყოველთაოდაა აღიარებული და დამკვიდრებული, ნაწილი – შევსებული, გაღრმავებული და ახალი ინტერპრეტაციებით წარმოდგენილი. მოხსენებაში საუბარია ყოველ წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით არსებულ განსხვავებულ მოსაზრებათა შესახებ ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევების საფუძველზე თანამედროვე ეტაპზე.

ჩვენს ნაშრომში წარმოჩენილია ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი შუა საუკუნეების ეპოქის სააზროვნო სივრცის კონტექსტში ძველი ქართული მწერლობის რაობის, კლასიფიკაციის, ჟანრის, თხრობის სტილის, ავტორისა და სახელწოდებათა არსის გააზრების შესახებ თანამედროვე ფილოლოგიურ-ლიტერატურათმცოდნეობითი მეცნიერების მონაცემების საფუძველზე.

ლიტერატურა

ჯავახიშვილი 1977 – ივანე ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზულებათა მე-8 ტომი, თსუ გამომცემლობა, თბილისი;

თამარ გუჩუა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი
me.tamuna@gmail.com

რიტუალი და მისი ცნებით-ტერმინოლოგიური განზომილებები¹

სოციოტერმინოლოგია, რომელიც მე-20 საუკუნის 80-იან წლებში ჩამოყალიბდა, ერთეულთა დესკრიპტული ანალიზით შემოიფარგლება და ყურადღებას ამახვილებს ტერმინოლოგიურ ვარიაციებზე მათი სხვადასხვა კონტექსტში პოვნის გათვალისწინებით. ვარიაციის

¹ კვლევა [PHDF-21-091] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით.

პარამეტრები სოციალურ და ეთნიკურ კრიტერიუმებზეა დამყარებული, რაც ხშირად ერთი და იმავე ტერმინის რამდენიმე განმარტების გაჩენას განაპირობებს.

ზემოაღნიშნულ მიდგომაზე დაყრდნობით წინამდებარე მოხსენებაში უნდა განვიხილოთ რიტუალი (1) როგორც ტერმინი და (2) როგორც ცნება.

(1) *რიტუალის*, როგორც ტერმინის, ფესვების ძიებას ძველინდურ ჰიმნოგრაფიასთან მივყავართ. სხვადასხვა ეტიმოლოგიური ლექსიკონისა და ენციკლოპედიის თანახმად, ტერმინის წარმომავლობა ასეთია: პროტო-ინდო-ირანული *hrtás* (*ჭეშმარიტება*) → სანსკრიტული *ṛtá* (*სამყაროს წესრიგი*) → ლათინური *ritus* (*ჩვეულება*). სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ აღნიშნული ტერმინი რიგგედას ყველაზე მნიშვნელოვან რელიგიურ კონცეფციას წარმოადგენს და მისი ისტორია ძვ.წ. 1600 წლიდან იწყება. ამ ფაქტით უნდა აიხსნას ის გარემოებაც, რომ განმარტებებში მას პრესკრიპტულად ცალსახად რელიგიური შინაარსი მიეწერება (ენციკლოპედია ბრიტანიკა 1771-1910; კათოლიკური ენციკლოპედია 1907; ინგლისური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი 1921, 2006; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1960; უცხო სიტყვათა ლექსიკონი 1989 და ა.შ.).

(2) *რიტუალის*, როგორც ცნების, ისტორია თავდაპირველად მისი ტერმინოლოგიური გაგების კვალდაკვალ განვითარდა: იგი განიხილებოდა არადასავლური კულტურებისათვის დამახასიათებელ საკვანძო კატეგორიად და მხოლოდ რელიგიური და მაგიური პროცედურების განხილვით შემოიფარგლებოდა. მე-20 საუკუნის დასაწყისში ემილ დიურკემის სოციოლოგიურ კონცეფციაში მომწიფდა იდეა სეკულარული რიტუალების შესახებ, რომელიც მე-20 საუკუნის 60-იან წლებში ირვინგ გოფმანმა „სოციალური დრამატურგიის“ საკითხად აქცია. სტრუქტურალიზმის ტრადიციაში რიტუალი წარმოდგენილია როგორც სემიოლოგიური სისტემის ელემენტი; რიტუალია ყველა ის სამეტყველო მოვლენა, რომელიც მეტნაკლებად სტანდარტიზებულია (მაგალითად, მისაღმება-დამშვიდობების რიტუალები და სხვ.).

მოხსენების მიზანია *რიტუალის* სოციოტერმინოლოგიურ ჩარჩოში წარმოდგენა და ამ ერთი ლექსიკური ერთეულის მაგალითზე პრესკრიპტული და დესკრიპტული ანალიზების სხვადასხვაობის ჩვენება. საილუსტრაციო მასალად, სხვადასხვა დროისა და ენის ლექსიკონებისა თუ ენციკლოპედიების გარდა, გამოყენებული იქნება ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან ამოკრებილი შესაბამისი კოლოკაციური მაგალითები.

ლიტერატურა

ენციკლოპედია ბრიტანიკა 1771 – Encyclopaedia Britannica: or, a Dictionary Of Arts and Sciences compiled upon a new Plan. By National Library of Scotland, first Edition, Vol. III. Edinburgh: Encyclopaedia Britannica.

ენციკლოპედია ბრიტანიკა 1910 – The Encyclopaedia Britannica: or a dictionary of arts, sciences, literature and general information. By Chisholm Hugh, eleventh Edition, Vol. XXIII. Cambridge, England: The University Press.

კათოლიკური ენციკლოპედია 1907 – The Catholic encyclopedia; an international work of reference on the constitution, doctrine, discipline, and history of the Catholic Church. By Charles George Herbermann, Edward A. Pace, Condé Benoist Pallen, Thomas J. Shahan, and John J. Wynne ed. (1913), Vol 13. New York: The Encyclopedia Press.

პარტოიჯი 2006 – Origins: A Short Etymological Dictionary of Modern English by Eric Partridge. London and New York: Routledge.

უიკლი 1921 – An etymological dictionary of modern English by Weekley, E. London: J. Murray.
ჩიქობავა 1960 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. არნოლდ ჩიქობავას რედაქციით, ტ. VI. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
ჭაბაშვილი 1989 – ჭაბაშვილი, მ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. თბილისი: „განათლება“.

ნინო დათეშიძე,

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
ninodate@gmail.com

ნათელა მუზაშვილი

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
natelamuza@yahoo.com

მარინე ოსაძე

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
marineosadze50@gmail.com

აფიქსოდიან ტერმინთა სტრუქტურული ჯგუფები

ტერმინთა სისტემაში გამოყოფენ ელემენტებს, რომლებსაც *ტერმინელემენტებს* უწოდებენ. მათ აქვთ მკვეთრად გამოხატული ტერმინოლოგიური მნიშვნელობა და მიუთითებს განსაზღვრულ ტერმინოლოგიურ ველზე. ტერმინელემენტებს აქვს სემანტიკური, სტრუქტურული და ფუნქციური თვისებები. შეიძლება ითქვას, რომ ეს ელემენტები ტერმინთა შექმნისათვის მზამზარეულ სტანდარტულ მაწარმოებლებს წარმოადგენს. მათ შორის უნდა გამოვყოთ აფიქსოიდები. აფიქსოდიანი ტერმინები ყველა ენაშია დამკვიდრებული. ამ ტერმინთა შესახებ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს. ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს – აფიქსოდიანი ტერმინები, რთული სიტყვებია თუ ნაწარმოები.

თეორიულ კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ორთოგრაფიული საკითხების გადასაწყვეტად. ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულად შესწავლილია ეს საკითხი, აფიქსოდიან ტერმინებს არაერთი მკვლევარი შეხებია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ საკითხის შესწავლა არ ამოწურულა, მოსაწესრიგებელი და გადასაწყვეტია.

აფიქსოდიანი ტერმინები უნდა დაჯგუფდეს სხვადასხვა კლასიფიკაციის მიხედვით. ცალ-ცალკე უნდა გაიმიჯნოს პრეფიქსოდიანი და სუფიქსოდიანი, უცხო წარმომავლობისა და ქართულაფიქსოდიანი ტერმინები, ასევე, ცალკე უნდა გამოიყოს ჰიბრიდული ტერმინები.

საერთაშორისო აფიქსოიდებს, რა თქმა უნდა, შეესატყვისება ქართული ეკვივალენტები. ფაქტობრივად, ისინი სიტყვასიტყვით ითარგმნება, სემანტიკურად იდენტური მნიშვნელობით იხმარება და ხშირად ჩაენაცვლება საერთაშორისო აფიქსოიდებს. გარდა ამისა, ქართულ ენაში შეინიშნება ზოგიერთი ქართული ფუძის აფიქსოიდად ქცევის ტენდენციაც. ეს საკითხი ამ კუთხით დამატებით კვლევას მოითხოვს.

ტერმინოლოგიური მუშაობის სრულყოფისათვის აუცილებლად მიგვაჩნია ტერმინთბანკში ყველა აფიქსოიდი იყოს წარმოდგენილი თავისი ეტიმოლოგიით. ეს მოაწესრიგებს იმ

სიჭრელეს, რომელიც აფიქსიდიანი სიტყვების გაფორმებისას გვხვდება. მაგ.: წინასწარ დაძაბული(ტექნ.) ცალ-ცალკე დაიწეროს თუ ერთად, ასევე – შიგამოდრაობა, ნახევრად აფიქსიდიტ გაფორმებული ლექსიკური ერთეულები, მაგ., ნახევრად ბმული შდრ. ნახევარსიბრტყე. ქართული ამგვარი აფიქსიდიტების სიმრავლიტ გამოირჩევა და ეს საკითხი შესასწავლია.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ზოგ ენაში აფიქსიდიტა ლექსიკონი არსებობს, სამწუხაროდ, ასეთი ლექსიკონი ქართულში არ მოგვეპოვება. სწორედ ამიტომ განსაკუთრებით საყურადღებოა აფიქსიდიტა სტრუქტურულ ჯგუფბად დალაგება, რაც გამოკვეთს იმ სირთულეებს, რომლებიც ამ საკითხთან არის დაკავშირებული, ასევე, მათი გადაჭრის გზებსაც, ეს კი საშუალებას მოგვცემს, შევქმნათ აფიქსიდიტა ლექსიკონი, რომელიც ქართულში ჯერჯერობით არ გამოცემულია. უნდა აღინიშნოს, რომ აფიქსიდიტანი წარმოება მეტად ცოცხალი პროცესია, მეცნიერების სხვადასხვა სფერო ახლაც აქტიურად იყენებს აფიქსიდიტებს ახალი ტერმინების შესაქმნელად, ამიტომ ლექსიკონი დიდ დახმარებას გაუწევს მეცნიერებს, უფრო აქტიურად გამოიყენონ აფიქსიდიტები, როგორ უცხოური, ასევე ქართული, რადგან ისინი უფრო მოკლედ და ზუსტად გადმოსცემენ ცნების არსს.

ქეთევან დათუკიშვილი

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
datukishvili510@gmail.com

ნაწილაკდართულ ნაცვალსახელებთან და რიცხვით სახელებთან დაკავშირებული ტერმინებისთვის

როდესაც *მე, ვე, ლა* და *ღაც* ნაწილაკები დაერთვის ნაცვალსახელებს, ანდა *ვე* ნაწილაკი – ნაცვალსახელებს ან რიცხვით სახელებს, გვაქვს პარალელური ფორმები (*ვინმეს // ვისმე, რაღას // რასღა, ორივემ // ორმავე...*), რომლებიც საენათმეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია შემდეგი ტერმინებით:

- ნაწილაკშეზრდილი და ნაწილაკშეუზრდელი (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე...)
- ნაწილაკშეხორცებული და ნაწილაკშეუხორცებელი (არნოლდ ჩიქობავა, ვ. თოფურია, ა. არაბული...)

ამ ორ სახეობას ასხვავებენ იმის მიხედვით, თუ როგორია მიმდევრობა ნაწილაკსა და ბრუნვის ნიშანს შორის:

- ტერმინები *ნაწილაკშეუზრდელი* ან *ნაწილაკშეუხორცებელი* გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ნაწილაკი მოსდევს ბრუნვის ნიშანს (ან თანდებულს): *ვი-ს-ღა, რა-ს-მე, სამ-მა-ვე, ხუთ-ის-თვის-ვე...*
- ტერმინები *ნაწილაკშეზრდილი* ან *ნაწილაკშეხორცებული* გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ნაწილაკი წინ უსწრებს ბრუნვის ნიშანს (ან თანდებულს): *ვი-ღა-მ, რა-მე-ს, სამი-ვე-მ, ხუთი-ვე-ს-თვის...*

პირველი სახის ფორმები (*ვისღა, რასმე...*) გამოიყენებოდა ძველ ქართულში, თანამედროვე ქართულში კი ძირითადად მეორე ვარიანტია (*ვიღამ, რამეს...*) გავრცელებული.

ე. წ. ნაწილაკშეუზრდელნაცვალსახელებსა და რიცხვით სახელებში (ისევე, როგორც არსებით და ზედსართავ სახელებში) ნაწილაკი დაერთვის ბრუნვის ფორმებს:

	შდრ.	
სახ.	რაღა	მთა-ღა
მოთხ.	რა-მ-ღა	მთა-მ-ღა
მიც.	რა-ს-ღა	მთა-ს-ღა
ნათ.	რ-ის-ღა	მთ-ის-ღა
მოქმ.	რ-ით-ღა	მთ-ით-ღა
ვით.	რა-დ-ღა	მთა-დ-ღა

ნაწილაკი დაერთვის თანდებულიან ფორმებსაც: *რას-თან-ღა, რის-გან-ღა, რის-თვის-ღა...* შდრ.: *მთას-თან-ღა, მთის-გან-ღა, მთის-თვის-ღა...*

როგორც ცნობილია, *მთაღა, მთამღა, მთასღა... მთასთანღა, მთისგანღა...* ფორმები ნაწილაკიანი არსებითი სახელებია. ჩვენი აზრით, *რაღა, რამღა, რასღა... რასთანღა, რისგანღა...* ნაცვალსახელებიც ნაწილაკიანი ფორმებია და არა ნაწილაკშეუზრდელი. ეს უკანასკნელი ტერმინი (ნაწილაკშეუზრდელი) *ნაწილაკშეზრდილის* მიხედვით არის წარმოებული.

რაც შეეხება ე. წ. *ნაწილაკშეზრდილ* ფორმებს, ჩვენი აზრით, აქ ნაწილაკი ფუძესთან შეზრდილი კი არ არის, არამედ *ნაწილაკდართული* ფორმა გამოყენებულია ფუძედ, რომელსაც ბრუნვის ნიშნები დაერთვის. ამ შემთხვევაში ნაწილაკი გამოიყენება დერივაციული ფუნქციით სხვა ფლექსიური აფიქსების (ბრუნვის ნიშანი, თანდებული) მსგავსად, რომლებიც, როგორც ცნობილია, შეიძლება შეგვხვდეს წარმომქმნელი აფიქსის როლში.

მაგალითად: *ორ-ი-ვე* → ფუძე *ორივე*: *ორივე-მ, ორივე-ს...*

რა-ღა → ფუძე *რაღა*: *რაღა-მ, რაღა-ს...*

შდრ.: *გულ-ად* → ფუძე *გულად*: *გულად-ი, გულად-მა, გულად-ს...*

ფარ-ის-ებრ → ფუძე *ფარისებრ*: *ფარისებრ-ი, ფარისებრ-მა, ფარისებრ-ს...*

როგორც აღვნიშნეთ, ზემოთ დასახელებულ რიცხვით სახელებსა და ნაცვალსახელებში (*ორივე-მ, რაღა-მ...*) სახელის ფუძედ გამოყენებულია ნაწილაკიანი რიცხვითი სახელი ან ნაცვალსახელი. მაშასადამე, ამ სიტყვებს ნაწილაკიანი ფუძე აქვთ. შესაბამისად, მათ შეიძლება *ნაწილაკფუძიანი* ან *ფუძენაწილაკიანი* სახელები ვუწოდოთ (ნაცვლად ნაწილაკშეზრდილისა ან ნაწილაკშეზრცებულისა). ვფიქრობთ, ტერმინი *ნაწილაკფუძიანი* უკეთესად გამოხატავს ამ პროცესის არსს. იგი ნაწარმოებია კარგად ცნობილი ტერმინების – *ხმოვანფუძიანისა* და *თან-ხმოვანფუძიანის* – ანალოგიით.

ნაწილაკფუძიანი სახელები განსხვავდება ნაწილაკიანი სახელებისაგან. ნაწილაკიან სახელებში ნაწილაკი დაერთვის ბრუნვისა და თანდებულიან ფორმებს, ნაწილაკფუძიან სახელებში კი გვაქვს წარმოქმნილი ფუძე, რომელიც შეიცავს ნაწილაკს. ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნაწილაკიანი შეიძლება იყოს ყველა სახელი: არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი, ნაწილაკფუძიანი კი მხოლოდ რიცხვითი სახელები და ნაცვალსახელებია.

ნაწილაკიანი ნაცვალსახელები: *ვი-ს-მე, რომელ-ს-ა-მე, რა-მ-ღა...*

ნაწილაკფუძიანი ნაცვალსახელები: *ვინმე-ს, რომელიმე-ს, რაღა-მ...*

მაშასადამე, წარმოების თვალსაზრისით გამართლებულია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ტერმინების ნაცვლად ახალი ტერმინების შემოტანა:

- *ნაწილაკიანი* – ნაცვლად *ნაწილაკშეუზრდილისა* და *ნაწილაკშეზრცებულისა*
- *ნაწილაკფუძიანი* – ნაცვლად *ნაწილაკშეზრდილისა* და *ნაწილაკშეზრცებულისა*

თამაზ დევიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია,
ქუთაისი

tazodevidze@gmail.com

ლიტურგიკული ტერმინოლოგია „მარხვანის“ ქართულ რედაქციებში

სასულიერო ლიტურატიურის ქართულ ენაზე თარგმნას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ეს პროცესი ასახავს ტიპიკონის განვითარების ეტაპებს. „მარხვანის“ ქართული თარგმანები, რომლებიც სხვადასხვა საღვთისმეტყველო-სალიტურატურო სკოლაში შეიქმნა, საინტერესო ტერმინოლოგიურ მასალას გვაძლევს და წარმოაჩენს ქართული ლიტურგიკული ტერმინოლოგიის განვითარების ხანგრძლივ ისტორიას.

ქართული ლიტურგიკული ტერმინოლოგიის შესახებ საინტერესო მასალა დასტურდება კ. კეკელიძესთან, რომელმაც ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში გამოსცა იერუსალიმური კანონარი (კეკელიძე 1912). აღსანიშნავია ენრიკო გაბიძაშვილის ნაშრომის „ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლების“ V ტომი, რომელიც ლიტურგიკასა და ჰიმნოგრაფიას ეძღვნება. მაგალითად, აქ ვხვდებით მსჯელობას ტერმინ *ხუედრნის* შესახებ (გაბიძაშვილი 2011).

ჩვენი მიზანია „მარხვანის“ ქართულ რედაქციებში გამოვლენილი ლიტურგიკული ტერმინოლოგიის აღწერა-ანალიზი, მისი შედარება თანამედროვე საღვთისმსახურო პრაქტიკასთან, ლიტურგიკული ტერმინთშემოქმედების პროცესის ზოგადი ტენდენციის განსაზღვრა. ამის საფუძველს გვაძლევს ის მასალა, რომელიც ჯერ კიდევ შეუსწავლელი და გამოუცემელია, მაგალითად K-79, K-16 და K-38 ხელნაწერები.

ქართული საღვთისმსახურო წიგნები ძველბერძნულიდან ითარგმნა, შესაბამისად, ქართული ლიტურგიკული ტერმინოლოგია ჩამოყალიბდა ძველბერძნულ ტერმინთა საფუძველზე. გამომდინარე აქედან, არცთუ იშვიათად ქართული შესატყვისის ნაცვლად მკვიდრდებოდა ძველბერძნული ვარიანტები (*Μετάνοια* – *მეტანია*, *Ακράθιστος* – *აკათისტო...*). ხშირად დასტურდება პარალელიზმი – გამოიყენება როგორც ბერძნული, ასევე, ქართული ვარიანტიც.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საღვთისმსახურო პრაქტიკა საშუალებას გვაძლევს, ვისაუბროთ იმ ცვლილებებზე, რომლებიც ლიტურგიკულმა ტერმინოლოგიამ განიცადა. მაგალითად, დღეს დამკვიდრებული *მეტანიის* ნაცვლად მარხვანის ქართულ რედაქციებში არაერთგზის დასტურდება თხზული ტერმინი *მუხლთმოდრეკა*.

„მარხვანის“ ქართულ რედაქციებში, ისევე, როგორც, ზოგადად, საღვთისმსახურო წიგნებში, გამოიყოფა ტერმინთა საინტერესო ჯგუფი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ შემოკლების შედეგად მიღებული ტერმინები: *შეგჳწყალენი*; *ყოვლად წმიდისა...* მაგალითად, *შეგჳწყალენი* არის გასუბსტანტივებული ფორმა მრჩობლი კვერექსის მესამე მუხლისა. მისი გამოყენება შეპირობებულია იმით, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ამ კვერექსის პირველი და მეორე მუხლები არ იკითხება.

ტიპიკონურ მითითებებში წმინდა წერილის ციტატები უმეტესწილად მოცემულია დასაწყისების სახით, რამდენიმე სიტყვით. მსგავს შემთხვევებში საინტერესოა მთარგმნელ-რედაქტორის დამოკიდებულება ბიბლიის წიგნთა თარგმნის ტრადიციის მიმართ. დიდი პარასკევის მწუხრის განგებაში, როცა იკითხება ვნების 12 სახარება, მთარგმნელი არ ეყრდნობა მანამდე არსებულ რედაქციებს და გვთავაზობს ახალ თარგმანს. მაგალითად, „Οὐ δὲ σπρατῖται ἀπῆγαγιν

αὐτὸν ἔσω τῆς ἀσλῆς“ (Mark. 15:16) ამ მუხლში, ყველა ქართული რედაქციის მიხედვით, ძველ-ბერძნული სიტყვა *σπαρῖται* გადმოტანილია უთარგმნელად – *სტრატოტოა*, ხოლო K-79 ხელნაწერში მას შეესატყვისება *მჯედართა* [K-79: 221v]. ეს გარემოება, ბუნებრივია, ტერმინშემოქმედების პროცესზე გვიქმნის წარმოდგენას.

ლიტერატურა

გაბიძაშვილი 2011 – ენრიკო გაბიძაშვილი, ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები 5, ლიტურგიკა, ჰიმნოგრაფია, თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის გამომცემლობა.

კეკელიძე 1912 – კორნელი კეკელიძე, VII საუკუნის იერუსალიმური კანონარი [Иерусалимский канонар VII века]. არქიმანდრიტი ნაზარის გამომცემლობა, თბილისი.

ირინე დემეტრადე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
irinad72@hotmail.com

მეტაფორა, სპეციალიზაცია და განზოგადება სამშენებლო ტერმინოლოგიაში (ინგლისური, ქართული და რუსული ენების მასალაზე)

მოხსენებაში შესწავლილია სამშენებლო ინდუსტრიასთან დაკავშირებული ტერმინები. რამდენადაც სამშენებლო ინდუსტრია ჩვენს დროში ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი დარგია, სამშენებლო ტერმინოლოგია მდიდარი და მრავალფეროვანია. სამშენებლო ინსტრუმენტების და მასალების სახელები ხშირად მეტაფორულია. მოხსენებაში ეს სპეციალური ტერმინები გაანალიზებულია ინგლისური, ქართული და რუსული ენების მონაცემებზე დაყრდნობით.

თეორიული მასალა ემყარება ზ. კოვეჩესის (2010), ლეიკოვისა და ჯონსონის (1980), ბროხნერის (2009), გინზბურგის (1979), ნურგალეევას (2016) და სხვათა ნაშრომებს. ემპირიული მასალა აღებულია სამივე საანალიზო ენის განმარტებითი და ეტიმოლოგიური ლექსიკონებიდან, ასევე სამშენებლო ტერმინების ლექსიკონებიდან და ზეპირი მეტყველებიდან.

სამშენებლო მეტაფორები გაანალიზებულია ორი კუთხით:

- მეტაფორის როლი სამშენებლო ტერმინების შექმნაში.
- სამშენებლო ტერმინების მეტაფორული გამოყენება სასაუბრო ენაში.

სამშენებლო ლექსიკა შესწავლილია ორი ენობრივი მოვლენის გათვალისწინებით: სპეციალიზაცია (სიტყვა სასაუბრო ენიდან გადადის სპეციალიზებულ ლექსიკაში და იძენს ახალ მნიშვნელობას) და განზოგადება (სიტყვა გადადის სპეციალიზებული სფეროდან ზოგად მოხმარებაში).

კვლევამ აჩვენა, რომ მრავალი სამშენებლო ტერმინი მიღებულია ზოგადი ლექსიკიდან გარკვეულ მეტაფორულ კომპონენტზე დაყრდნობით. ეს მოვლენა ეხმარება პროფესიული სფე-

როს თავისებურებების გამოხატვას და აღქმას, რადგან მყარდება კონცეპტუალური კავშირი ყოველდღიური რეალობის ამსახველ ობიექტებსა და სამშენებლო ხელსაწყოებსა და მასალებს შორის.

მრავალი სამშენებლო ტერმინი მიღებულია მეტაფორული გავრცობით, ორ ობიექტს შორის არსებული მსგავსების საფუძველზე. ამ კუთხით, მოხსენებაში გამოყოფილია შემდეგი ჯგუფები: *სხეულის ნაწილები, საოჯახო ნივთები, ცხოველები და ფრინველები*, საზღვაო ტერმინები.

მოხსენებაში ასევე განხილულია სამშენებლო ტერმინების მეტაფორული, იდიომატური გამოყენება სასაუბრო ენაში. კვლევამ აჩვენა, რომ სამშენებლო ტერმინების მეტაფორიზაცია ხშირი და საინტერესო მოვლენაა სამივე საანალიზო ენაში.

ლიტერატურა

ბროხნერი (2009) – Bröchner J. (2009). Construction Metaphors in Aristotle: knowledge, purpose, process. Pages 515-523 |Received 12 Jan 2009, Accepted 23 Mar 2009, Published online: 03 Jun 2009; <https://doi.org/10.1080/01446190902915643>

გაინუტდინოვა დ. (2018) – მეტაფორის როლი არქიტექტურულ-სამშენებლო ტერმინთა შექმნაში, (რუსულ ენაზე); https://revolution.allbest.ru/languages/01050362_0.html

გინზბურგი, ხიდეკელი, კნიაზევა, სანკინი – (1979) A Course in Modern English Lexicology. “Visshaya Shkola”.

გუზენკო ო. (1991) – სამშენებლო ტერმინოლოგიის შემადგენლობა და ფუნქციონირება განსხვავებული სტრუქტურის ენების სპეციალურ და არასპეციალურ ტექსტებში, (რუსულ ენაზე), სადოქტორო დისერტაცია. სარატოვი.

დვალი, ღამბაშიძე (1982) – ტექნიკური ტერმინოლოგია: ქართულ-რუსული ნაწილი /საქ. სსრ მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინ-ტი; რ. დვალისა და რ. ღამბაშიძის რედ. - თბ.: მეცნიერება; კოვეჩესი ზ. (2010) – Metaphor. A Practical Introduction. Oxford University Press.

ლეიკოვი ჯ. ჯონსონი, ძ. (1980) – Metaphors We Live By. Chicago: The University of Chicago Press.

ლოტე დ. (1971) – სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინების შემოკლებული ფორმები, (რუსულ ენაზე), „ნაუკა“, მოსკოვი.

ნურგალეევა გ. ფროლოვა ო. (2016) – მეტაფორიკა ტერმინთა სისტემაში სამშენებლო დისკურსის ტექსტებში, რუსულის, როგორც უცხოური ენის კუთხით სამშენებლო უმაღლეს სკოლებში, (რუსულ ენაზე), Pedagogical Journal 2016, vol 6. Is 5A.

რეფორმატსკი ა. (1968) – ტერმინი როგორც ენის ლექსიკური სისტემის ნაწილი] (რუსულ ენაზე), Problems of Structural Linguistics. „ნაუკა“, მოსკოვი.

ვინოკური გ. (1939) – სიტყვათწარმოების ზოგიერთი ასპექტი რუსულ ტექნიკურ ტერმინოლოგიაში, (რუსულ ენაზე), Collection of Papers of Moscow Institute of History, Philosophy and Literature. Volume 5. pp. 3-54. „ლიტერა“, მოსკოვი.

მანანა ერქომაიშვილი

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
erkomaishvilimanana@gmail.com

რძის პროდუქტების სახელდებისათვის

პროდუქტების, განსაკუთრებით მსუბუქი მრეწველობის საკვები პროდუქტების, სახელდებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ სახის ნაწარმს ყველა ყიდულობს. შესაბამისად, მათი სახელწოდება დაუბრკოლებლად და ფართოდ ვრცელდება. მოხსენებაში განვიხილავთ რამდენი ტერმინს, რომლებიც, ჩვენი აზრით, არასწორადაა დამკვიდრებული თანამედროვე ქართულ ენაში:

ა) *გამომცხვარი რძე*

რძის პროდუქტების მწარმოებელი არაერთი კომპანია ამ ბოლო ხანებში ამზადებს ე.წ. *გამომცხვარ რძეს*. მაგ. კომპანია „სოფლის ნობათი“ გვთავაზობს *გამომცხვარ რძეს*, მაწონს, არაჟანს. ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ *გამომცხვარ რძეზე*. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „გამოცხობა“ არ უკავშირდება თხევად პროდუქტებს, მითუმეტეს რძეს.

რძისა და რძის პროდუქტების წარმოებას ქვეყანაში არეგულირებს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა: *საქართველოს მთავრობის დადგენილება N 152, 2015 წ. 3 აპრილი, თბილისი*; „*რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე*“.¹ მითითებულ დოკუმენტში შესაბამის მუხლებში განმარტებულია როგორც ტექნოლოგია, ასევე ტერმინოლოგია. აღნიშნულ დოკუმენტში არსად არ გვხვდება *გამომცხვარი რძე*.

კომპანია „სოფლის ნობათი“ გვაცნობს თავის ტექნოლოგიას და წერს: „*რძის გამომცხვარი პროდუქტების მომზადების პროცესი ერთი დიდი ცერემონიაა. მისი ცხობა ღუმელში მთელი 6-8 საათი მიმდინარეობს, შემდეგ კი მთელი ღამის განმავლობაში აჩერებენ სპეციალურ ჭურჭელში*“.

მამასადამე, ამ განმარტების მიხედვით: *გამომცხვარი რძე* არის პროდუქტი, რომელიც რძის თერმული დამუშავებით, კონკრეტულად კი ღუმელში მასზე ზემოქმედებით მიიღება. რძის უბრალოდ თერმული დამუშავება თავისთავად არაფერს გვაძლევს. მაგ., პასტერიზება ან ადუღება რძის თერმული დამუშავებაა, მაგრამ არც პასტერიზებითა და არც ადუღებით განსხვავებული პროდუქტი არ მიიღება. რძე ისევ რძედ რჩება.

გამომცხვარი რძე არის ინგლისური დასახელების *baked milk* პირდაპირი თარგმანი. ეს არის რძის ნაწარმი, რომელიც გავრცელებული იყო და მზადდებოდა (შესაბამისად, ახლაც მზადდება და გავრცელებულია) რუსეთში, უკრაინასა და ბელორუსიაში. კერძოდ, რუსული: *топлёное молоко*, უკრაინული: *п्राжене молоко*, ბელორუსული: *адтопленае малако*. ინგლისელები განმარტავენ ასევე, რომ ეს პროდუქტი მიიღება *simmering*-ის გზით და არა *baking*-ით. *Simmer* – *ნელ ცეცხლზე დუღილი, ხარშვა*. *Bake* – „გამოცხობა“. *Simmer* იგივე პროცესია, რაც რუსული *топление* (რაც, თავის მხრივ, *томление*-დან მოდის, ანუ ნიშნავს *დიდხანს დაყოვნებას, ხანგრძლივ პროცესს*).

რუსულ-ქართულ ლექსიკონში შემდეგი განმარტებაა:

¹ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე; დოკუმენტი N 152
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2803085?publication=0>

2. топить, топлю, топят

უსრ. что 1./და/დნობა (ადნობს), გადადნობა, გამოდნობა:

2. რძის ჟრობა:

ასევე, იმავე ლექსიკონში გაქვს: *топленный, топленая, топленое* დამდნარი, გამდნარი, გადადნარი, გამოდნობილი, გალბობილი; *ნაჟრობი, მჟრალი*:

т. *воск* გამდნარი ცვილი; т-ое *молоко* ნაჟრობი, მჟრალი რძე, т-ое *масло* ერბო¹

ჟრობა – გვხვდება ქართულ კილოებში, მაგ. გურულში და ნიშნავს ნელ ხარშვას.²

როგორც ხედავთ, ქართულში გვაქვს შესაბამისი შესატყვისი – *მჟრალი რძე, ან ნაჟრობი რძე*.

ზემოთ მითითებულ მთავრობის დადგენილებაში გვაქვს ტერმინი *რძემჟრალი*. ეს ტერმინი გამოიყენება რძის პროდუქტის, კერძოდ *ვარენეცის* განმარტებისას. *ვარენეცი* მჟრალი რძისგან მიღებული პროდუქტია.

ასევე: „გადადნობა, ჟრობა – დაყოვნება მაღალ ტემპერატურაზე დამახასიათებელი სპეციფიკური ორგანოლეპტიკური თვისებების – ფერის, სუნის, გემოს და სტრუქტურის (ტექსტურა) მიღწევამდე“.³

რატომ გამოიყენეს ინგლისელებმა *ცხობა* ეს ჩვენი განხილვის საგანს არ წარმოადგენს. ქართულში კი გვაქვს ზუსტი შესატყვისი და სასურველი იქნებოდა შესაბამისად გამოეყენებინათ და არ მიგველო გაუგებარი *გამომცხვარი რძე*.

ბ) *სალი რძე*

რძისა და რძის ნაწარმის ტექნიკურ რეგლამენტში არსად არ დასტურდება ასეთი სიტყვათშეთანხმება – *სალი რძე*, რძის პროდუქტებზე კი გვხვდება წარწერები, რომლებიც გვამცნობს, რომ პროდუქტი დამზადებულია სალი რძისაგან. რას გულისხმობს ეს ტერმინი?

ვფიქრობთ, ისევე, როგორც *გამომცხვარი რძე*, ეს სიტყვათშეთანხმება ინგლისურის შესაბამო თარგმანის შედეგია. ინგლისურ ტერმინს *whole milk* შეესაბამება რუსული *цельное молоко*. ეს არის რძე, რომელიც არანაირად არ მუშავდება, ანუ მოწველის შემდეგ მისი ქიმიური შემადგენლობა არ იცვლება. მასობრივი წარმოების შემთხვევაში იგი მხოლოდ უმნიშვნელოდ მუშავდება თერმულად. *whole milk*-ის გარდა, ინგლისურში ასევე გამოიყენება *full-cream milk* და *not skimmed/unskimmed milk* ეს უკანასკნელი სიტყვასიტყვით *მოუხდელს* ნიშნავს.

რუსულ-ქართული ლექსიკონის მიხედვით:

цельный, цельная, цельное – 1. მთლიანი, ერთიანი; 2. შუმი; მოუხდელი:

ц-ое вино შუმი, თავანკარა ღვინო; *ц-ое молоко* მოუხდელი რძე.

რეგლამენტში არის ეს ტერმინი შესაბამისი განმარტებებით, გვხვდება რამდენჯერმე, მაგალითად: „*რძე მოუხდელი სასმელი – თერმულად (თბურად) დამუშავებული რძე, რომელიც შეიძლება იყოს სტანდარტული და არასტანდარტული*“.

¹ <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=9&t=54073>

² შარაშიძე გიორგი. გურული ლექსიკონი;

ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. წ. 1, 2. ღლონტი, ალექსანდრე. - თბილისი : განათლება, 1974.

³ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე; დოკუმენტი N 152

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2803085?publication=0>

⁴ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე; დოკუმენტი N 152

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2803085?publication=0>

სალი სულ სხვა მნიშვნელობების მქონე განსაზღვრებაა (ჯანმრთელი, დაუავადებელი, უზადო, ჯანსაღი, სწორი, მართებული, გონივრული და სხვ.¹ რომელიც, ვფიქრობთ, რძესთან ნაკლებად გამოგვადგება, მითუმეტეს, როცა არსებობს ზუსტი შესატყვისი.

მაშასადამე, *სალი რძის* ნაცვლად *მოუხდელი რძე* უფრო მართებულია როგორც ენობრივად, ასევე ტექნოლოგიურად.

დაბოლოს, მთავრობის იმავე დადგენილებიდან მოვიყვანთ ამონარიდს: „ბაზარზე განთავსებული რძის, რძის ნაწარმის და რძის შემცველი პროდუქტის ეტიკეტმა, აღწერილობამ და წარდგენამ შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს მომხმარებელი“.

ზურაბ ვახანია

დირექტი უზნადის სახელობის საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოება, თბილისი
uznadzepsinst@gmail.com

ქართული ენის წესების დარღვევით წარმოებული უცხოძირიანი ფსიქოლოგიური ტერმინები

ფსიქოლოგიაში, ისევე როგორც მეცნიერების სხვა დარგებში, ასეულობითაა უცხოძირიანი ტერმინები. მათგან ათეულობით ტერმინია, რომლებიც ქართული ენის წესების დარღვევითაა წარმოებული. დარღვევების ოთხი ძირითადი ჯგუფია: 1. ბოლოსართის მცდარად მოკვეცა, მაგ.: *დინამიური*, *სპეციფიური*; 2. ზედმეტი დეფისის ან შუალედის ჩართვა წარმოებულ სიტყვებში, მაგ.: *მიზეზ-შედეგობრივი*, *გეშტალტ-თერაპია*; 3. ზედმეტი ბოლოსართის გადმოტანა უცხო ენიდან, მაგ.: *ემბრიონალური*, *ანალიტიკური*, *პრობლემატური*; 4. ბოლოსართის მცდარად გადმოღება, მაგ.: *დეკლარატიული*, *კონვერგენტული*, *რეტროსპექტული*, *კოგნიტური*. საუბედუროდ, ტერმინებს უფრო ხშირად ის პირები ამკვიდრებენ და ავრცელებენ, რომლებმაც არც ფსიქოლოგია იციან ღრმად, არც ქართული და არც ინგლისური ენა. შემდეგ კი ეს მცდარი ტერმინები ყოველდღიურ მეტყველებაში მკვიდრდება.

¹ ქველი. <https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>

რუსუდან ზექალაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
rusudan.zekalashvili@tsu.ge

განტერმინება ანუ დეტერმინოლოგიზაცია, როგორც ლექსიკის გამდიდრების საშუალება (სამედიცინო ტერმინთა მაგალითზე)

ამა თუ იმ სამეცნიერო დარგის ენაში, გარდა ზოგადი სალიტერატურო ლექსიკისა, გამოყოფენ რამდენიმე ლექსიკურ შრეს: 1. ყველა სამეცნიერო დარგისთვის საერთო ზოგად ცნებათა სახელებს (რომელთა რაოდენობა პროცენტულად ყველაზე მეტია); 2. ახლოს მდგომ დარგებთან საერთო სპეციალურ ლექსიკას; 3. კონკრეტულად ამ დარგში გამოყენებულ ვიწრო სპეციალურ ტერმინოლოგიას.

ლინგვისტიკისთვის საინტერესოა სხვადასხვა ლექსიკური ერთეულის მიგრაცია სალიტერატურო ენიდან ტერმინოლოგიაში და პირიქით. ეს პროცესი დამახასიათებელია ნებისმიერი სამეცნიერო დარგისთვის, რადგან ყველაზე დინამიკური სწორედ ლექსიკაა.

ამ დროს ლექსიკაში შეინიშნება სემანტიკური ძვრები: ვიწროვდება ან ფართოვდება ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობა, ზოგჯერ კი მეტაფორულად იცვლება.

სამედიცინო ტერმინოლოგიისთვისაც დამახასიათებელია ე. წ. განტერმინება (დეტერმინოლოგიზაცია), როცა სპეციალური ტერმინები გადმოდის სალიტერატურო ენაში – მასმედიისა თუ მხატვრულ ტექსტებში. შეიძლება ითქვას, რომ ეს პროცესი უნივერსალურია და მეტ-ნაკლებად ახასიათებს ყველა ენის სპეციალურ ლექსიკას.

ქართულ ლინგვისტიკაში დეტერმინოლოგიზაციას ყურადღება მიაქცია გ. კვარაცხელიამ, როცა განიხილა სამეცნიერო და პუბლიცისტურ ფუნქციურ სტილთა მახასიათებლები. სხვადასხვა სამეცნიერო დარგის ლექსიკასთან ერთად მან დაასახელა პუბლიცისტიკის ენაში გამოყენებული სამედიცინო ტერმინებიც (*აგონია, ალერგია, არითმია, დოზა* და სხვ.) და ხაზი გაუსვა ამ სიტყვებისთვის უარყოფით-შემფასებლური ელფერის დამატებას.

თანამედროვე მასმედიის ენაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ დღესაც უფრო ხშირად დეტერმინოლოგიზაციას (განტერმინებას) განიცდის იგივე ლექსიკური ერთეულები: დაავადებების, სინდრომებისა და სიმპტომების აღმნიშვნელი ლექსიკა. როგორც ჩანს, ამ ლექსიკური ფენის მეტაფორული პოტენციალი საკმაოდ დიდია და წინ წამოწეულია მათი უარყოფითი შეფერილობა. დადასტურდა კიდევ რამდენიმე უცხოური წარმოშობის სამედიცინო ტერმინის მეტაფორული გამოყენება (*ატროფია, ბაქტერია, მიკრობი, დიაგნოზი, ნარკოტიკი, ტოქსიკოზი, შიზოფრენია, შოკი...*). განტერმინება შეეხო ზოგიერთ ქართულ სამედიცინო ტერმინსაც: *კიბო, ჭლექი, დამბლა, გულყრა...*

გადატანითი მნიშვნელობით სამედიცინო ლექსიკა დასტურდება სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის ტექსტებში. მაგ., *აგონია* დაკავშირებულია შემდეგ მსაზღვრელებთან: რეჟიმის, ხელისუფლების, ეკონომიკის, რელიგიის, ქალაქის; *კოლაფსი* – სისტემის, ინსტიტუციების, განათლების, დოლარის, ევროს, ურბანული, კრიმინოგენული, სატრანსპორტო, ფინანსური, სამართლებრივი; *მეტასტაზი* – საზოგადოების, საბჭოურ-კომუნისტური, რუსოფობიური, სიყვარულის; *ეკონომიკის დამბლა*; *ეკონომიკის ნევროზი*; *წინასაარჩევნო ფსიქოზი* და სხვ.

განტერმინებული ლექსიკა ქმნის მყარ სიტყვათმეხამებებსაც არაპირდაპირი მნიშვნელობით გამოყენებისას: დამბლა დაეცა, დამბლა დასცეს, დამბლა მოუვიდა; ჭლექი გაუჩინა, თავბრუ დაახვია, ფსიქოზს ნერგავენ, ნევროზს აიკიდებს... ზოგიერთმა ლექსიკურმა ერთეულმა პოეტურ ენაშიც კი შეაღწია (მაგ., *დეკემბრის აგონია*, *სულის აგონია*, *ფოთლების აგონია*, *ტბის აგონია*, *ქარის აგონია*, *სიყვარულის ტრანსპლანტაცია* და სხვ.).

ნებისმიერი სამეცნიერო დარგის (მათ შორის – სამედიცინო) ტერმინთა დეტერმინოლოგიზაცია ანუ განტერმინება მეტაფორიზაციის ერთ-ერთი გამოვლინებაა, რაც ამდიდრებს სალიტერატურო ენის ლექსიკას და ზრდის მის ექსპრესიულობას.

დავით იობიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი
d.yo777bi@gmail.com

გელათელი ანონიმი მწიგნობრის ტერმინთშემოქმედებითი ძიებანი ერთი გელათური ხელნაწერის (K14) მიხედვით

ქართული საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური აზრის განვითარების ისტორიაში გელათის სალიტერატურო-მწიგნობრულ სკოლას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი გამოირჩევა თავისი ულტრალინოფილური მთარგმნელობითი მიმართულებით, რაც გულისხმობს ისეთი ქართული თარგმანის შექმნას, რომელიც მორფემულ-ლექსიკურ-სინტაქსურ სიბრტყეზე ზედმიწევნით ასახავს ორიგინალ ტექსტს.

ფორმალური ეკვივალენტის მთარგმნელობითი პრინციპებით არის შესრულებული წმინდა მაქსიმე აღმსარებლის თხზულებათა შემცველი ერთი გელათური ხელნაწერი კოდექსი (K14). მასში განთავსებული 24 თხზულებიდან ერთ-ერთი არის „წმინდა მაქსიმეს პასუხები თალასეს შეკითხვებზე“ (*Quaestiones ad Thalassioum*).

XII საუკუნეში, როდესაც გელათური ხელნაწერი შეიქმნა, არსებობდა წმინდა წერილის არაერთი რედაქცია: წინათონური, ათონური და ელინოფილური. ბუნებრივია, დასახელებული რედაქციების ტექსტები გელათელი ანონიმი მთარგმნელისათვის ცნობილი იქნებოდა, მაგრამ იგი მაქსიმე აღმსარებლის ტექსტში არსებული წმინდა წერილის ფრაგმენტების გადმოღებისას არ იყენებს მათ და ქმნის ტექსტის ახალ, მისეულ ვერსიას.

ჩვენს კვლევაში წმინდა წერილის ქართულ რედაქციათა ტექსტების ურთიერთშეჯერებისა და ორიგინალი ბერძნულენოვანი ტექსტის საფუძველზე ნაჩვენებია გელათელი მთარგმნელ-მწიგნობრის ტერმინთშემოქმედებითი მოღვაწეობა. ქართულ ტექსტებთან დაკავშირებული განხილვები გამყარებულია წმინდა წერილის ებრაული და ბერძნული ტექსტების ჩვენებებით.

გელათელი მწიგნობარი ხშირ შემთხვევაში უარს ამბობს წმინდა წერილის ქართულენოვან რედაქციებში დამკვიდრებულ ტერმინებზე და გვთავაზობს ახალ ტერმინებს. მაშინაც კი, როდესაც გელათელი მთარგმნელი ბერძნულ ტერმინს *μῶδος* (პროდუქტის საზომი ჭურჭელი (=1/6 მედიმნა)) (დვორეცკი 1958) ვერ უძებნის ადეკვატურ ქართულ შესატყვისს, მაინც უარს ამბობს ქართულ რედაქციებში უკვე დამკვიდრებულ ტერმინზე *ხჯირი*, და უთარგმნელად

გადმოაქვს ბერძნული ტერმინი *μόδιος* – მოდი.

ერთგან წმინდა პავლე მოციქულის ფილიპელებს სწერს: *κατὰ σκοπὸν δάκω εἰς τὸ βραβεῖον τῆς ἄνω κλήσεως...* (Φλ. 3, 14) (Aland 1993). დამოწმებულ ფრაზას ბერძნულ ვერსიებში არ უდასტურდება ვარიანტები. აღნიშნული ფრაზა „*Quaestiones ad Thalassium*”-შიც უცვლელადაა დამოწმებული. წინათონურ ვერსიაში სინტაგმა *κατὰ σκοπὸν* გადმოტანილია როგორც *კრძალულებით*. *კრძალულებით ვსდევ გვრგვზსა მას ზეცისა ჩინებისა* (AB). ეს ხარვეზი გიორგი მთაწმინდელისეულ რედაქციაში არ არის გასწორებული. ამ სახით გადავიდა იგი ეფრემისეულ ვერსიაშიც: *და კრძალულებით ვსდევ გვრგვზსა მას ზეცისა ჩინებისა* (CD). გელათელი მთარგმნელი იძლევა ადეკვატურ თარგმანს: *იჭკსაებრ ვსდევ გვრგვზისა მიმართ ზენაძსა ჩინებისაძსა* (K-14, 16r). *Quaestiones ad Thalassium*-ის ტექსტი: *κατὰ σκοπὸν δάκω πρὸς τὸ βραβεῖον τῆς ἄνω κλήσεως* (Laga, Steel 1980).

Quaestiones ad Thalassium-ის გელათური თარგმანის ტერმინოლოგია აშკარად უპირისპირდება წმინდა წერილის სხვა ქართულენოვან რედაქციებში წარმოდგენილ ტერმინოლოგიას.

Quaestiones ad Thalassium-ის ბიბლიური ტექსტების გელათური თარგმანის მონაცემები მნიშვნელოვანი წყაროა ბიბლიის ზოგიერთი პასაჟის მართებულად გაგებისათვის, რადგან, როგორც ზემოთ გამოჩნდა, ზოგჯერ ქართული ტრადიციული იკითხვისები აცდენილია ორიგინალ ტექსტს და უმართებულო თარგმანს გვიჩვენებს.

ლიტერატურა

დვორეცკი 1958 – ი. დვორეცკი, ძველბერძნულ-რუსული ლექსიკონი [Древнегреческо-русский словарь], ტომი 1. მოსკოვი.

Aland 1993 – Aland, B. Aland, K. Karavidopoulos, J. Martini, M. Metzger, M., The Greek New Testament, Stuttgart: Fourth Revised Edition;

Laga, Steel 1980 – Laga, C., & Steel, C., *Maximi Confessoris, Quaestiones ad Thalassium*. Brepols: Leuven university press;

გიორგი კაკაბაძე

შპს ტამ მენეჯმენტი, თბილისი

g.kakabadze@ssu.edu.ge

ქართული ტერმინოლოგიის სირთულეები აეროკოსმოსურ დარგში

გასულმა ასწლეულმა გვაჩვენა, რომ სამყაროს ყველაზე სწრაფად განვითარებად და ტექნოლოგიურად მოწინავე დარგად ჩამოყალიბდა აეროკოსმოსური ინჟინერია, რომელიც ერთმანეთში აერთიანებს საავიაციო და კოსმოსურ მეცნიერებებს. ტექნოლოგიურ წინსვლასთან ერთად ჩნდება სრულიად ახალი ტერმინები, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში რიგი ენები ვერ ეწევა, შესაბამისად, უთარგმნელად ან მცდარი ფორმები მკვიდრდება უცხო ტერმინები. ქართულ ენაში ბარბარიზმების მოჭარბებაა, ხშირად ტერმინები პირდაპირაა თარგმნილი რუსულიდან და

არასწორადაა გადმოტანილი ცნებები, შესაბამისად, უკვე არსებული ქართული შესატყვისები ხშირად ვერ გადმოსცემენ თანამედროვე ტერმინების არსსა და მნიშვნელობას.

ბოლო პერიოდში ჩატარებული სამუშაოების განმავლობაში გამოიკვეთა რამდენიმე ტერმინი, რომლებიც საჭიროებს დამუშავებას როგორც მათი ქართული შესატყვისის შექმნის, ასევე უკვე გადათარგმნილი და დამკვიდრებული ტერმინის შესწორების მხრივ, რათა ქართული ვერსიის მნიშვნელობა არ იყოს დამახინჯებული, მაგალითად: *3D printing, additive manufacturing, radome, ramjet* და *scramjet*.

ტერმინი *3D printing* ქართულ ენაში დამკვიდრდა როგორც ბარბარიზმი, მას სხვადასხვა სახით იყენებენ ქართულში: *3დ პრინტერი, 3დპრინტერი* და სხვ., თუმცა მისი ქართული შესატყვისის შექმნა არ უნდა იყოს რთული.

ტერმინი – *additive manufacturing* – საერთოდ არაა ქართულ ენაში დამკვიდრებული, თუმცა ის აერთიანებს სხვადასხვა მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ მიმართულებას, მათ შორის პირველ ტერმინსაც და ტექნოლოგიური წინსვლის გათვალისწინებით აუცილებელია მისი დამკვიდრება ჩვენს ენაში.

ტერმინი – *Radome* – რუსული შესატყვისის მიხედვითაა ნათარგმნი, შედგება რამდენიმე სიტყვისგან, რაც მას ძალიან მოუქნელს ხდის გამოსაყენებლად. ქართულ ენაში დამკვიდრებულია როგორც *რადიოლოკატორის ანტენის გარსშემომდენი*.

ტერმინი – *Ramjet* – გადათარგმნილია ქართულად, თუმცა აშკარად რუსული შესატყვისის არასწორი განმარტებით, რაც სრულიად ამახინჯებს მის მნიშვნელობას.

ტერმინი – *Scramjet* – საერთოდ არაა დამკვიდრებული ქართულ ენაში და ხშირად იგივდება მეოთხე ტერმინთან, რაც ტექნიკური თვალსაზრისით არასწორია.

მოხსენებაში დაწვრილებით განვიხილავთ აღნიშნული ტერმინების არსებული და სავარაუდო ქართულ შესატყვისებს, მათი ცვლილების ან შექმნის შესაძლებლობებს, რათა ისინი აზრობრივად უფრო დაუახლოვდნენ პირველსაწყის მნიშვნელობებს და არ იყვნენ რუსული არსის გავლენის ქვეშ, რომელიც ხშირ შემთხვევაში ამახინჯებს როგორც მათ ტექნიკურ შინაარსს, ასევე ართულებს მათ გამოყენებას ქართულ ტექსტებში.

ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, თბილისი

v.kelikhashvili@ssu.edu.ge

ანდრო მაისურაძე

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, თბილისი

maisurazeandro@yhoo.com

რობერტ ხაჩიძე

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, თბილისი

r.khachidze@gmail.com

ტექნიკური ტერმინოლოგიის პრობლემები და გამოწვევები ავიაციის დარგში

ქართული საავიაციო დარგი ათეულობით წელს ითვლის, ამასთან ერთად, საქართველოში საფრენ აპარატებს მრავალი წელია, აპროექტებდა და აწარმოებდა ცნობილი საავიაციო ქარხანა, სადაც ყოველგვარი საქმისწარმოება მიმდინარეობდა მხოლოდ რუსულ ენაზე. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქარხანა გაიყო რამდენიმე სხვადასხვა იურიდიული სტატუსის, მაგრამ ანალოგიური პროფილის მქონე ორგანიზაციად და აუცილებელი გახდა საქმისწარმოება სახელმწიფო, ანუ ქართულ ენაზე. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ მომავალი ავიატორები იზრდებიან საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში, სადაც სასწავლო ლიტერატურის დიდი ნაწილი უცხოურ ენაზეა. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია მომავალმა ავიატორებმა ზუსტად შეისწავლონ ტექნიკური ტერმინები ეროვნულ, ქართულ ენაზე. აღნიშნული პროცესების სრულყოფილად განხორციელება დაკავშირებულია გარკვეულ ენობრივ სირთულეებთან სრულყოფილი საავიაციო ტექნიკური ტერმინოლოგიის უქონლობის გამო. ამ დარგში საავიაციო ტერმინოლოგიის განვითარება და გაუმჯობესება დღესაც აქტუალურია.

ქართული საავიაციო ტერმინოლოგიისათვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა რუსული ენიდან შემორჩენილი ტექნიკური ბარბარიზმების, გაუმართავი ფორმების, არასწორი ინტერპრეტაციის, ქართულ ენაზე დაუზუსტებელი ცნებებისა და ასევე არაერთგვაროვანი ტერმინოლოგია. ავიაციის დარგის სპეციალისტებისა და ენათმეცნიერების ერთობლივი მუშაობით ნორმატიულ ტერმინებზე შეთანხმება და ამის საფუძველზე საავიაციო ტერმინთა სასწავლო ილუსტრირებული ქართულ-ინგლისური ლექსიკონის დამუშავება დარგისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. ლექსიკონში ძირითადი საავიაციო ცნებები წარმოდგენილი იქნება თემატურად, ილუსტრირებულად და ენობრივად გამართული ქართული ტერმინებით. ლექსიკონის შექმნა წარმოადგენს ქართული საავიაციო ტერმინოლოგიისა და ენობრივი რესურსების განვითარებისკენ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს, რაც შეესაბამება სახელმწიფო ენის სტრატეგიის მიზნებს და ხელს შეუწყობს ქართული ენის სრულფასოვან ფუნქციონირებასა და დაცვას.

რეგინა კვაშიტე

ლატვიური ენის ინსტიტუტი, ლატვიის უნივერსიტეტი, ლატვია
regina.kvasyte@su.lt

ტერმინთა ლექსიკონები ლატვიურ და ლიეტუვურ ენათმეცნიერებასა და ლიტერატურათმცოდნეობაში: შედარებითი კვლევა

კვლევა ეხება საბჭოთა პერიოდამდელი, საბჭოთა და (ახლანდელი) დამოუკიდებლობის პერიოდების ტერმინოგრაფიას – ლატვიასა და ლიეტუვაში გამოცემული ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის ტერმინების ლექსიკონებს. საკვლევად შერჩეული პერიოდების განმავლობაში გამოცემულ ლექსიკონებში გარკვეული განსხვავებებია. კერძოდ, ეს ეხება პოპულარული ტიპისა და დომინანტური ენების თარგმნით ლექსიკონებს.

საბჭოთა პერიოდამდელ ლატვიაში სამეცნიერო ტერმინოლოგიის ლექსიკონის (1922) 20 თემატური ჯგუფიდან ერთ-ერთია ლინგვისტიკის ტერმინები, რომლებიც მომზადდა პირველი ტერმინოლოგიური კომისიის (1919–1921) მიერ (მასში არ არის ლიტერატურათმცოდნეობის ტერმინები). ლიეტუვაში კი განსახილველი პერიოდის განმავლობაში, ანუ 1940 წლამდე, არ არსებობდა ლინგვისტიკის ან ლიტერატურული ტერმინების ლექსიკონები.

საბჭოთა პერიოდში ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის ტერმინოლოგიის კომისიამ გამოსცა სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიური ბიულეტენები, რომლებიც დაიბეჭდა დანართების სახით ჟურნალში *Latvijas Zinātņu Akadēmijas Vestis* [ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის ბიულეტენი]: 1956 წელს, *Valodniecības terministic projects* (ბიულეტენი № 18) და *Literatūrinātnes terminu projekti* [ლიტერატურათმცოდნეობის ტერმინოლოგიური პროექტები] (ბიულეტენი № 21). 1963 წელს გამოიცა ლატვიურ-რუსული და რუსულ-ლატვიური ლინგვისტიკური ტერმინების თარგმნითი ლექსიკონი. ამავე პერიოდში შეერთებულ შტატებში დაიბეჭდა ენათმეცნიერების პირველი ლიეტუვური ლექსიკონი – (*ლინგვისტიკური ტერმინოლოგიის ლიეტუვურ-ინგლისური ლექსიკონი*, 1971), ხოლო ლიეტუვაში – ინგლისური ენის განმარტებით-თარგმნითი სასწავლო ლექსიკონი „ლექსიკოლოგიური ტერმინები და განმარტებები“.

ლატვიაში გამოიცა ლ. ტიმოფეევისა და ნ. ვენგროვის რუსულიდან თარგმნილი ლიტერატურათმცოდნეობის ლექსიკონი სტუდენტებისთვის (1957; 1962). ლიტერატურათმცოდნეობის ტერმინების ასეთივე ლექსიკონი გამოიცა 1961 წელს ლიეტუვაში, ხოლო 1962 წელს გამოვიდა ლიეტუველი ავტორების (ჯ. პეტრონისის, ვ. ვანაგასის და ა. ზალატორიუსის) ორენოვანი რუსულ-ლიეტუვური თარგმნითი ლექსიკონი.

ლინგვისტიკური ტერმინების სასწავლო ლექსიკონი, რომელიც გამოიცა 1990 წელს, დამოუკიდებლობის პერიოდში, ჯერ კიდევ ერთადერთია ლიეტუვაში, ხოლო ლატვიაში ძირითადი ლინგვისტიკური ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი მხოლოდ 2007 წელს გამოიცა. ლიეტუვაში არსებობს დარგობრივი ტერმინების ლექსიკონები და საცნობარო წიგნები ენათმეცნიერების გარკვეულ დარგებში: ფონეტიკა (2008), ფონოლოგია (2011), ტერმინოლოგია (2005), ტექსტის ლინგვისტიკა (2007), თარგმანთმცოდნეობა (2014), ტერმინები გაერთიანებულია ერთ სასწავლო მასალაში გაერთიანებული ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის ტერმინები. ლიეტუვური ენის ენციკლოპედიის ორი გამოცემა (1999; 2008) შეიძლება ჩაითვალოს ლინგვისტიკური ტერმინოლოგიის წყაროდ. ლატვიაში გამოიცა ლექსიკოლოგიური ტერმინების ორი სამენოვანი (ფრანგულ-ლატვიურ-ინგლისური) ლექსიკონი (1996; 2002). ტერმინოლოგიის

უახლესი წყაროები, რომლებშიც არაერთი ენობრივი ტერმინი („ენის სწავლების ტერმინების ლექსიკონი“) გამოქვეყნდა თითქმის ერთდროულად: 2011 წელს ლატვიაში, 2012 წელს ლიეტუვაში.

ლიეტუვაში გამოიცა ლიტერატურული ტერმინების რამდენიმე ლექსიკონი (რომანასი [რომანი] (1995), ეილედარა [პოეზია] (1998)), ასევე სასწავლო ლექსიკონი, საცნობარო წიგნები და ენციკლოპედიები (1998; 2000; 2001; 2011). ზოგიერთი ტერმინოლოგიური გამოცემა თარგმნილია ინგლისურიდან და გერმანულიდან. ლატვიაში ი. კურსიტეს „პოეზიის ლექსიკონი“ (2002) ეძღვნება ლიტერატურათმცოდნეობის ტერმინოლოგიას ისევე, როგორც მისი წინამორბედის დანართი „პოეტური ტერმინების ლექსიკონის“ (1996). ამ სფეროში მეტი ტერმინოგრაფიული ნაშრომი ჯერ არ გამოცემულა.

ლატვიაშიც და ლიეტუვაშიც მე-20 საუკუნის დასაწყისიდან გამოიცა ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის ტერმინების ლექსიკონები, მაგრამ ამ ქვეყნებში გარკვეული განსხვავებებია: ლიეტუვაში ლიტერატურათმცოდნეობის ტერმინოლოგიას მეტი ყურადღება ექცევა, ასევე, სპეციალიზებულ ლინგვისტიკური ტერმინების მრავალგვარი ლექსიკონია გამოცემული, ლატვიური ლინგვისტიკური ტერმინების ზოგადი ლექსიკონი კი 20 წლით გვიან (1990, 2007 წლებში) გამოიცა.

ჯონი კვიციანი

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ს/ს ინსტიტუტი, თბილისი
joni.kvitsiani@tsu.ge

„ქართველიანი“, როგორც საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული და ადამიანთა მრავალეროვნული ერთობის აღმნიშვნელი ტერმინი

საქართველოში, დემოკრატიული რეფორმების გადრმავების, სამოქალაქო ერის ფორმირების პროცესში, თანასწორუფლებიან ადამიანთა კონსოლიდაციის საკითხი სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს. შესაბამისად, აქტუალური ხდება ასეთი პოლიეთნიკური ერთობის აღმნიშვნელი ტერმინის – „ქართველიანის“ – დამკვიდრება, რომელშიც გამოხატული იქნება ეთნიკური და სოციალური, ეროვნული და კოსმოპოლიტური შინაარსი, რომელიც ქართული კულტურის მრწამსს წარმოადგენს. ამავე დროს, მოქალაქე, რომელიც ამგვარი სუპერეთნიკური ერთობის წევრია, მისი ეროვნული და ეთნიკური კუთვნილება უცვლელი დარჩება. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში აგრარული, ინდუსტრიული და ინფორმაციული ცივილიზაციების სუპერეთნიკურ ერთობათა ტერმინოლოგიის საკითხები ისტორიოგრაფიულად შეუსწავლელი რჩება.

აღნიშნული პროცესის წარმატებულად განხორციელება თანამედროვე საქართველოში ბევრად არის დაკავშირებული ჩვენი ტრადიციული საზოგადოების ტრანსფორმაციის ბუნებრივი პროცესის აღდგენასთან, შესაბამისი ღირებულებების სინთეზით (ადამიანის ღირსების, სამართლიანობის, გენდერული თანასწორობის და ა.შ დაცვა). გაერთიანებული საქართველოს წარმოქმნა ისტორიული ქართლის კულტურული და პოლიტიკური გავლენის მოპოვებასთან არის დაკავშირებული. ქართლის კულტურის დომინირებით შექმნილმა სახელმწიფომ განაპი-

რობა ახალი ეთნიკური სისტემის ხალხთა ერთობის ჩამოყალიბება, რომელიც რამდენიმე სხვადასხვა ეთნოსისგან შედგებოდა. მათი კონსოლიდაციის ფაქტორს კი საერთო მენტალობის არსებობა განაპირობებდა, რომელიც კავკასიის ხალხთა კულტურულ-ისტორიული ერთობის საფუძვლებზე ჩამოყალიბდა. მასში ეთნოსებს აერთიანებდა ერთიანი ტერიტორია, ეკონომიკური ცხოვრების ერთობა, ცხოვრების წესი, კულტურის სიახლოვე, საერთო ისტორიული ბედი და სამომავლო ინტერესები.

იმისათვის, რომ მომავალში შემცირდეს საქართველოში ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული პრობლემები, საჭიროა, შემუშავდეს ქართულ გარემოში ახალი „ზეთნიკური“ ერთობის მოდელი ან პროექტი, რომელიც დაფუძნებული იქნება როგორც ისტორიული თანაცხოვრების გამოცდილებაზე, ისე დღევანდელი გამოწვევების ობიექტურ გააზრებაზე. ასეთ „ზეთნიკური“ ერთობის მოდელს, *ქართველიანი* (მრავლობითში *ქართველიანები*) შეიძლება ეწოდოს, რომლის არსი, ქართული იდეის გათვალისწინებით, სწორედ რომ საქართველოში მცხოვრები ყოველი ეთნოსის საყოველთაო სამოქალაქო ინტეგრაციაა. მით უმეტეს, რომ ისტორიულად ამ ტერმინის ერთგვარ წინასახეს წარმოადგენდა სახელი *ქართლოსიანი*, რომელშიც მოიაზრებოდა არა მხოლოდ ქართლოსის შთამომავლები, არამედ სრულიად საქართველოს ყველა მკვიდრი, მიუხედავად მისი ეთნიკური და სუბეთნიკური კუთვნილებისა.

გარკვეული ლინგვისტიკური სირთულეები ახლავს ისეთ შესიტყვებებს, რომლებიც დღეს გამოიყენება ამ მნიშვნელობით, კერძოდ: საქართველოს მოქალაქე, საქართველოს მაცხოვრებელი, საქართველოს მოსახლე და ა.შ., რომლებიც აღწერთი ფრაზეოლოგიური წარმოებისაა. ტერმინი *ქართველიანი* კი, გარკვეულწილად, ლაკონიურად მიგვანიშნებს საქართველოს საზოგადოების სამომავლო სოციალურ-კულტურული, ეკონომიკური ინტეგრაციის ხასიათზე.

ამგვარად, საზოგადოების ყოველი წევრი (ეროვნული კუთვნილების მიუხედავად) მოტივირებული იქნება, ხელი შეუწყოს ქვეყნის დემოკრატიზაციის შემდგომ განვითარებას, რის შედეგადაც, ეთნოსთა შერწყმის გარეშე, წარმოიქმნება გარკვეული კულტურული, სულიერი, სოციალურ-ეკონომიკური ერთობა ეთნოსის ძირითადი მახასიათებლების შენარჩუნებით.

მაია კიკვაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

maia.kikvadze@bsu.edu.ge

რამდენიმე ტერმინი ტაოს ქართულიდან

თურქეთში მცხოვრებ ძირძველ თუ მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების მეტყველების შესწავლას ამ ბოლო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება, რაც დადასტურებულია ლინგვისტიკური კვლევებით.

ჭოროხის აუზის ქართული მოსახლეობის დღევანდელ მეტყველებაზე დაკვირვება და ანალიზი ადასტურებს იმას, რომ აქაურთა ცხოვრების წესი, ტრადიციები, საოჯახო თუ სამეურნეო საქმიანობა და მათი ამსახველი ლექსიკა ერთიანი ქართული კულტურულ-ისტორიული სივრცის განუყოფელი ნაწილია.

ჭოროხის აუზის „ქვეყნებიდან“ (*იმერხევი, კლარჯეთი, შავშეთი, ტაო*) განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ტაოს ქართული და მასში შენახული უძველესი სიტყვა-ფორმები, ტერმინები.

მესაქონლეობა, მიწათმოქმედება, მეფუტკრეობა, მეთევზეობა – ეს ის დარგებია, რომლებსაც ოდითგანვე მისდევდა (და დღესაც ასეა) ტაოს მექართულე სოფლების მოსახლეობა. დასახელებული დარგებიდან ჩვენს ყურადღებას იპყრობს რამდენიმე ტერმინი:

კოდი, კოდი გურგვალი – საფუტკრე სახლი, განსხვავდება ერთმანეთისაგან ფორმის მიხედვით (ტერმინი *კოდი* ტაოში სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება, ერთი მნიშვნელობა კი მეფუტკრეობას უკავშირდება);

ლაფერი / შეში კოვზი – თაფლის ამოსაღები/თაფლის ჩასაწური;

(მ)კედი – ძაფი (ანკესზე მიბმული ძაფი);

ფხად – თევზის ძვალი;

კალტავარი – სათივე;

საყელო – ძროხის საბმელი;

მაჭა – გუთნის ტარი;

საფორჩხელი – ფოცხი;

საწური – ყველის გასაწური, დასაწური...

სახილაჲ – თაფლის, სკის სახილავი დანა; *გამობილვა* – ფულუროდან თაფლის გამოტანა;

ჭოროხის აუზის მექართულე სოფლების მეტყველების შესწავლა გრძელდება. საინტერესოა ტაოს ქართველთა მეტყველებაში დადასტურებული ტერმინების აღწერა, შედარება ქართული ენის სამხრული და სხვა კილოების მასალასთან, რასაც მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა ჩვენს მოხსენებაში. სწორედ ეს განაპირობებს ჩვენი კვლევის სიახლესა და აქტუალობას. ამასთან, იგი ხელს შეუწყობს და გაამდიდრებს ქართული ენის სამხრული კილოების შესწავლის მიზნით ერთიანი სურათის შექმნას.

ზაალ კიკვიძე

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
zaal.kikvidze@tsu.ge

გლოსონიმი/გლოტონიმი, ლინგვონიმი/ლინგვანიმი და სხვ.: ენათა სახელწოდებების აღმნიშვნელი ტერმინების სოციოტერმინოლოგიური მიმოხილვა

ენათა სახელწოდებების აღმნიშვნელ ტერმინებთან დაკავშირებულ ერთ-ერთ მთავარ პრობლემას მათი სიჭარბე წარმოადგენს. არსებული მრავალფეროვნებიდან უპირატესის გამოსავლენად სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიყენება სხვადასხვა კრიტერიუმი, მათ შორის, ფორმოზრივი და შინაარსობრივი შესატყვისობა ცნებასთან მიმართებით, სიძველე, სიხშირე და ა.შ. აღნიშნული თავისებურებების გასაანალიზებლად უთუოდ შესაფერის პლატფორმად მივიჩნევთ სოციოტერმინოლოგიას, რომელიც უპირატესობას ანიჭებს აღწერით მიდგომას.

სხვა ერთეულებთან შედარებით გაცილებით ხშირად გვხვდება ტერმინები *გლოსონიმი* (იონ. ბერძნ. *γλῶσσα + ὄνομα 'სახელი'*) და *გლოტონიმი* (ატ. ბერძნ. *γλῶττα + ὄνομα 'სახელი'*). მათ შორის ოდენ ეს, მინიმალური განსხვავება არსებობს. რაც შეეხება, სამეცნიერო მიმოქცევაში მათს პოპულარობას, აქამდე არსებული მონაცემებით, *გლოტონიმი* ყველაზე ადრე დასტურდება 1976 წელს ჰ. კეჰენის ნაშრომში. ფაქტია, რომ წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით ძნელია რომელიმე მათგანისათვის უპირატესობის მინიჭება.

ქრონოლოგიურად უადრესია ტერმინი *ლინგვონიმი* (ლათ. *lingua 'ენა'* + ბერძნ. *ὄνομα 'სახელი'*). თავდაპირველად იგი გვხვდება ა. დულიჩენკოს ნაშრომში, რომელიც ესპერანტოს ენაზე გამოქვეყნდა 1973 წ. ამ ტერმინის საწინააღმდეგოდ არსებობს არგუმენტი, რომ იგი ჰიბრიდული (ლათინურ-ბერძნული) წარმოებაა (მსგავსი, ჰიბრიდული ტერმინები არაერთია ენათმეცნიერებაში და, რა თქმა უნდა, სხვა დარგებშიც). რაც შეეხება მის პარალელურ წარმოებას *ლინგვანიმს*, იგი იმავე კომპონენტებისაგან შედგება, განსხვავება კი იმაში მდგომარეობს, რომ აქ მოკვეცილია მეორე კომპონენტის თავკიდური ბგერა (რაც, როგორც წესი, იშვიათად გვხვდება ონომასტიკურ ლიტერატურაში). კიდევ ერთ თავისებურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ზემონახსენებ ერთეულებს შორის იგი ყველაზე იშვიათად იხმარება.

რადგანაც ენათა სახელწოდებების უმრავლესობა მომდინარეობს (და, ამის კვალად, ემთხვევა) შესაბამის ტოპონიმებს, ჯ. მატისოვმა შემოგვთავაზა ახალი ტერმინოლოგიური ერთეული: *ლოკონიმი* (ლათ. *locus 'ადგილი'* + ბერძ. *ὄνομα 'სახელი'*); იგი აღნიშნავს ისეთ ტოპონიმს, რომელიც ამავე დროს ენის ან დიალექტის სახელწოდებადაც გამოიყენება.

ტერმინოლოგიური მრავალფეროვნებისა და არაერთგვაროვნებისათვის თავის არიდების ერთგვარი მცდელობა გახლდათ ტერმინ *ლოგონიმი* შემოღება (ბერძ. *λόγος 'სიტყვა'* + *ὄνομα 'სახელი'*) (მ. კლამერი).

ამ ორმა უკანასკნელმა ერთეულმა თავი ვერ დაიმკვიდრა. უნდა აღინიშნოს, რომ კიდევ რამდენიმე ტერმინი თუ ტერმინოიდი გვხვდება სხვადასხვა პუბლიკაციაში, თუმცა ამ მცდელობებს თითქმის არანაირი ხელშეხება შედეგი არ მოჰყოლია.

რაც შეეხება *ენის სახელწოდებას*, როგორც ტერმინოლოგიურ ერთეულს, მისი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ქართულია, თუმცა ორკომპონენტანია; პრობლემატურია ის ფაქტიც, რომ ჩვენთვის საინტერესო ცნება არა მხოლოდ საკუთრივ ენის, არამედ ენათა გენეტიკური და არეალური დაჯგუფებების, ასევე ენის ნაირსახეობების და მისთანათა სახელწოდებებსაც მოიცავს.

ესმა კუნჭულია

„გასტრონომიული მუზეუმის“ დამფუძნებელი, თბილისი
esmakunchulia@gmail.com

სამზარეულოში შენახული ენა და „გაქვავებული სიტყვები“

მოხსენებაში განვიხილავთ ორ საკითხს:

- 1) ეროვნულ სამზარეულოს, როგორც ეროვნული თვითმყოფადობის ერთ-ერთ სიმბოლოს;
- 2) ეროვნულ სამზარეულოში შენახულ ენას, ტერმინებს, კერძების სახელებს, რომელთა

III საერთაშორისო კონფერენცია
ტერმინოლოგია – მემკვიდრეობა და თანამედროვეობა

შეგროვებაც და დაცვაც, ისეთივე ეროვნული საქმეა, როგორც თავად ერის სიმბოლო-
თა დაცვა.

განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ „ქართული სამზარეულოს“ გამოცემა 1874 წელს ემთხვევა ქართველი ერის კონცეპტუალიზაციის პერიოდს¹. სწორედ ნაციონალიზმის ეპოქაში მოხდა ის, რაც ამ ეპოქამდე არ მომხდარა: სხვადასხვა კუთხის სამზარეულო ერთიანდება ერთ წიგნში და ქართული სამზარეულო პირველად იქცევა ეროვნული თითმყოფადობის სიმბოლოდ, მამასადამე, XIX საუკუნიდან იწყება ქართული სამზარეულოს ბიოგრაფია და ის, როგორც ეროვნულობის სიმბოლო, როგორც „იდენტობის მშენებელი ტექსტი“, სცდება სამზარეულოს ფარგლებსა და დიდ, ემოციურ როლს ასრულებს.

რაც შეეხება ეროვნული სამზარეულოს ენას, მასში შენახულ ტერმინებს, მათი შეკრება და ანალიზი, ზოგიერთი დავიწყებული სახელის გაცოცხლება დიდად დაეხმარება ქართულ ენას „თავდაცვაში“ – თანამედროვე კულინარიული ბარბარიზმების ქართული ტერმინებით ჩანაცვლებაში. ამ საქმეს კი სჭირდება დიდი შრომა, ლიტერატურული ძეგლების, ისტორიული, ეთნოგრაფიული ნაშრომებისა და სხვა წყაროების მეცნიერული შესწავლა. სწორედ ამ საკითგს ეხება მოსე ჯანაშვილი წიგნში „ფარსადან გორგიჯანიძე და მისნი შრომანი“².

წიგნის წინათქმაში მოსე ჯანაშვილი იმეორებს 1895 წელს, გაზეთი „ივერიის“ N55-ში გამოქვეყნებულ თავისსავე წერილს, რომელშიც ვკითხულობთ: „იმისთანა ერს იყვარებენ და პატივს სცემენ, რომელსაც აქვს თავისი ისტორია და ძველადგანვე შეძენილი სახელი და კულტურა... ჩვენდა სასიხარულოდ, ძველს ქართველებს ჩვენთვის დაუტოვებიათ იმგვარი ფასდაუდებელი საუნჯე, თუმცა სახელი ქართველებისა ციაგშია, დაჩრდილულია. და ამის მიზეზი კი, არის ის, რომ ჩვენ ჩვენი „სამკვიდრო“ ჯერ არა გვაქვს რიგიანად შესწავლილი“.

მოსე ჯანაშვილი მიიჩნევს, რომ „რიგიანადაა“ შესასწავლი მრავალი დარგი და ქვედარგი, მათ შორის, მაგალითად, *სამხედრო ისტორია, ხუროთმოძღვრება, ფილოსოფია, ღვთისმეტყველება და სხვ.*³

ამავე წიგნში გამოქვეყნებულია ლექსიკონი, სათაურით: „კაკ-ელისენში შეკრებილი სიტყვები, რომელთაგან ზოგი აღარ მოიპოვება ქართულს ლექსიკონში და ზოგი გადასხვაფერებით იხმარება“. ლექსიკონს წინასიტყვაობად ახლავს მოსე ჯანაშვილის სტატია, რომელიც ასევე 1895 წელს „ივერიაში“ იყო დაბეჭდილი: „ქართველები და ქართული ენა“. სწორედ ამ წერილში ახსენებს მოსე ჯანაშვილი ეგრეთწოდებულ *გაქვავებულ-გაუქმებულ სიტყვებს*. იგი წერს: „არ არის ისეთი ენა, რომ მას თვისის წინმსვლელობის დროს, მრავალი სიტყვა არ გაჰქვავებოდეს და ამ სხვა ახალი (ხშირად უცხო ენის) სიტყვა არ შემოიღოს ხმარებაში“.

მოსე ჯანაშვილი მოუწოდებს ყოველ ქართველს, რომ „აღნიშნული საქმე... წმინდაა“ და ყოველი შეგნებული ქართველი მოვალეა, „უსასყიდლოდ დაეხმაროს სამშობლოს სიტყვიერებას“. სიტყვას „უსასყიდლოდ“ მოსე ჯანაშვილი იყენებს იმიტომ, რომ ეს ის დროა, როდესაც „რუსეთის სამეცნიერო აკადემიამ პროვინციალურ სიტყვების ჩამწერლებს ყოველი ახალი სიტყვის აღმოჩენისათვის ორ-ორი შაური დაუწესა“⁴.

XIX საუკუნეში მოსე ჯანაშვილის წიგნში დასმული საკითხი ახლაც მნიშვნელოვანია,

¹ მარიამ ჩხარტიშვილი, ქეთევან მანია „ქართველი ერის კონცეპტუალიზაცია და ე. რენანის რა არის ერი?“ „ქართული წყაროთმცოდნეობა“, XIII-XIV, უნივერსალი, 2011-2012. გვ.: 73.

² „ფარსადან გორგიჯანიძე და მისნი შრომანი“, გამოცემა მ. ჯანაშვილისა, ტფილისი, 1896

³ გორგიჯანიძე, ტფილისი, 1996: 3.

⁴ იქვე, გვ.: 87.

დღემდე არ არის მოძიებული დიალექტებში შემონახული ძველი ქართული სიტყვები. ჩემ მიერ ჰერეთში ჩაწერილი რეცეპტების ენაში ჩარჩენილი სახელები და ტერმინები ბევრ რამეს ამბობენ ქართული სამზარეულოს უცნობი ისტორიის შესახებ. თითოეულ ამ „გაქვავებულ-გაუქმებულ“ სიტყვაში დაფარული ისტორიაა მოსაძიებელი, რადგან მათში ქართული სამზარეულოსა და, მამასადამე, საქართველოს კულტურაა შემონახული.

სწორედ „კაკ-ელისენში შეკრებილი სიტყვების“ ლექსიკონიდან უნდა გავარკვიოთ, რას ნიშნავს სიტყვა *გირცი* და არის თუ არა ის ხინკლის ქართული სახელი?

ჰენრი კუპრაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი

henrikupra@yahoo.com

ტერმინის მეტამორფოზა („იბერია“ და „ივერია“)

მრავალი ხალხის ენის ლექსიკაში აღიბეჭდა უძველეს ბერძნულ ცივილიზაციასთან ზიარების კვალი. ეს კი საშუალებას იძლევა, დადგინდეს, ისტორიის რომელ მონაკვეთში განიცადა ამა თუ იმ ხალხმა ძველი ბერძნული ენის მეტ-ნაკლები გავლენა. ამის გასარკვევად მრავალი ფაქტორის განხილვა შეიძლება. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ ბერძნულ ენაში თანხმოვან *ბ* – ბეტას გამოყენების ზოგიერთ ასპექტზე. ძველ ბერძნულში, ანუ ძვ. წ. მეორე ათასწლეულის შუა ხანებიდან ახ. წ. IV საუკუნემდე, იხმარებოდა *ბ* თანხმოვნის შემცველი ტერმინები, მაგალითად, *ბაბილონი* (*Βαβυλών*), *ბარბაროსი* (*βάρβαρος*), *ბასილი* (*βασίλειον*), *იბერია* (*Ἰβηρία*) და სხვ. ძველი ბერძნები რომ კარგად იცნობდნენ ქართულ ტომობრივ გაერთიანება იბერიას, მოწმობს კლასიკურ ბერძნულ წყაროებში ამ ტერმინის მრავალგზის გამოყენება. ძველი ავტორები სამივე იბერიას – კავკასიის, პირენეისა და ნისლიანი ალბიონის სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს – მოიხსენიებენ მხოლოდ ტერმინით „იბერია“. ასევე, ლათინურ წყაროებშიც იხმარება *Hiberia*. მოგვიანებით ბერძნული ენის ფონეტიკამ ცვლილებები განიცადა. შუა საუკუნეების, ანუ ბიზანტიური ხანის (ახ. წ. IV-XV საუკუნეები), ბერძნულში თანხმოვანი *ბ* (β ბეტა) თანდათან დაიკარგა და გამოთქმაში დაემსგავსა *გ*-ს (ქართულ ვინს). მაგალითად, ძველ საბერძნეთში ბერძენისათვის მეფის აღმნიშვნელი სიტყვა გამოითქმებოდა, როგორც ბასილეუს (ქართულად – ბასილი). ბიზანტიური ხანის ბერძნულში უკვე, როგორც ვასილეუს (რუსულად ვასილი, მისი გავლენით ქართულში – ვასილი, ვასო). ქართველები იმ უძველეს ხალხთა კატეგორიას განეკუთვნებიან, რომლებმაც ბერძნულ სამყაროსთან ადრეულ ეპოქაში დაამყარეს ურთიერთობა (ოქროს საწმისის მითი ცარიელ ნიადაგზე არ შექმნილა). ძველ ბერძნულ ცივილიზაციასთან ზიარების კვალი ჩანს ქართული ენის ლექსიკაში, რასაც მოწმობს უძველესი პერიოდიდან ქართულ ენაში დამკვიდრებული უამრავი ტერმინი: ბარბაროსი, ბასილი, ლიბანი, ბაბილონი და სხვა მრავალი (ჩვენ დავთვალეთ ასამდე). იგივე ტერმინები აღმოსავლეთ სლავებში ქართველებთან შედარებით უფრო გვიან, დაახლოებით 2 ათასი წლის (!!!) შემდეგ, იწყებს დამკვიდრებას შუა საუკუნეების ბიზანტიური ბერძნულიდან: *Варвар*, *Василий* და სხვა. მოკლედ, ბერძნული „იბერია“, რომელიც ბიზანტიურში „ივერიად“ იქცა, ბიზანტიურიდან (დაახლოებით, ახ. წელთაღრიცხვის IX-X საუკუნეების შემდეგ) კიევის სამთავროს გავლით „ივერიის“

ფორმით დამკვიდრდა მოსკოვის სამთავროსა და რუსულ ენაში. რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაპყრობისა და ქართულ-რუსული ურთიერთობების გაღრმავების შემდეგ რუსულის გავლენით ქართველებში ფეხს იკიდებს და პოპულარული ხდება ტერმინი „ივერია“. ჩვენი აზრით, უმჯობესია, გამოვიყენოთ იბერია, როგორც ეს ძველ ბერძნულსა და ქართულში იხმარებოდა და არა – ივერია, როგორც ეს ბიზანტიურსა და რუსულშია. მსოფლიოშიც ხომ სწორედ ტერმინი „იბერია“ არის ძალზე პოპულარული.

თამარ მახარობლიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
Tamar.makharoblidze@iliauni.edu.ge

ტერმინოლოგიის საკითხები ქართულ ჟესტურ ენაში

ქართული ჟესტური ენის წარმოშობის შესახებ წერილობითი მასალები ან რაიმე ისტორიული წყაროები არ მოიპოვება. ჩატარებული ლინგვისტიკური კვლევებით დგინდება, რომ ეს არის ბუნებრივი ენა, მაგრამ ჟესტური ენები ზეპირი კომუნიკაციის ენებია და, ცხადია, არსად მოიპოვება ტექსტური სახის ჩანაწერები. არც ამ ენის კორპუსი არ არის ჯერ შექმნილი. ამდენად, ლინგვისტიკური კვლევების დროს ძირითადად ენის წყაროებს – ყრუ პირების ჟესტურ მეტყველებას ვეყრდნობით. ქართულ ჟესტურ ენასთან დაკავშირებული ისტორიული ან დიაქრონიული მსჯელობა, ცხადია, გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული ზემოთ მოხსენებული მიზეზების გამო.

სხვა ჟესტური ენების მსგავსად, ქართულ ჟესტურ ენაში სიტყვაწარმოება ანუ ჟესტწარმოება უნდა განხილული იქნეს, როგორც გარკვეული სახის შემოქმედებითი პროცესი. საგულისხმოა, რომ ამ ენის მომხმარებლებს არ ჰქონდათ რიგი სიტყვების მოხმარების საჭიროება და შესაბამისად, არც არსებობს ენაში ასეთი სიტყვები (მაგალითად, *ეგ ზიტენციალიზმი, კუბიზმი, დადაიზმი, გავეშებული, განარნარებული, გასისინებული, წიწინი, პოლიფონია* და სხვ.) დრო და ეპოქა, ასევე ყრუთა თემის შემდგომი განვითარება ითხოვს ახალი სიტყვა-ჟესტების წარმოქმნას. განსაკუთრებით კი პრობლემურია ტერმინთა წარმოქმნა ამ ენაში. როგორც ყველა ბუნებრივი ენა, ჟესტური ენებიც უნდა იცავდნენ ტერმინშემოქმედების იმ სავალდებულო ნორმებს, რომლებიც ასე მნიშვნელოვანია ზოგადად ტერმინოლოგიისათვის. არსებობს აპრობირებული მოდელები, რომელთა შესახებაც ვისაუბრებ მოხსენებაში. ეს მოდელები წარმატებით გამოიყენება ჟესტური ენების ტერმინების შესაქმნელად. სასურველია ამ მულტიპროფესიული მოდელების დანერგვა ქართული ჟესტური ენის ტერმინთა წარმოებისას.

ვფიქრობ, რომ ქართული ჟესტური ენის ტერმინთა წარმოება, სასურველი იქნება, თუ ქართული ენის ტერმინოლოგიური ქოლგის ქვეშ აღმოჩნდება. აქვე გასათვალისწინებელი იქნება ამ ენის დამახასიათებელი სპეციფიკური გარემოებები და, ცხადია, სავალდებულო უნდა იყოს სათანადო ლინგვისტიკური კვალიფიკაციის ქონა ჟესტური ენის ტერმინოლოგიაზე მომუშავე ადამიანებისთვის.

დამანა მელიქიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
damanamel@yahoo.com

ქართული ტერმინშემოქმედების ისტორიიდან

1. ტერმინოლოგია სპეციალური დანიშნულების ენაა, რომელიც მოწესრიგებული ფორმალურ-სემანტიკური სისტემურობით ხასიათდება. ტერმინოლოგიის განვითარების დონე პირდაპირი მაჩვენებელია ამა თუ იმ მეცნიერული დარგის განვითარების დონისა.

ქართული სამეცნიერო-ფილოსოფიური ტერმინოლოგია და ტერმინოლოგიური მოდელები საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა: ამ პროცესს შეიძლება თვალი გავადევნოთ პიველი ქართული წერილობითი ძეგლებიდან, V საუკუნიდან მოყოლებული.

2. XI-XII საუკუნეები, „ელინოფილური“ მიმართულების ხანა ქართული ენის (თარგმანის) ისტორიაში გამოირჩევა ცნებითი ღირებულების მქონე ლექსიკის აქტიური შემოქმედებით: ამ ხანისათვის დამახასიათებელმა ინტერესმა ეგზეგეტიკისადმი, როგორც ბიბლიური ტექსტების, ისე ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხასიათის ლიტერატურის მიზანდასახულმა თავმნადამუშავებამ მოითხოვა ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზრისა და ხედვის ზუსტად გადმოცემა, ცნებათა დიფერენცირებისათვის საჭირო ტერმინოლოგიური მოდელების შექმნა და დამუშავება, რასაც შედეგად მოჰყვა ქართული სპეციალური, მეცნიერული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბება და სისტემაში მოყვანა, ქართული სამეცნიერო ენის შექმნა.

3. ტერმინოლოგიურ მოდელებზე დაკვირვების შედეგად გამოიკეთა ძირითადი პრინციპები, როლითაც ხელმძღვანელობდნენ ელინოფილური მიმართულების მოღვაწენი:

- ა) ტერმინი უნდა შეიქმნას ქართული ძირებისა და აფიქსების საშუალებით;
- ბ) ტერმინი განსხვავებული (გამორჩეული) უნდა იყოს ყოფითი ლექსემისაგან ფორმალურ-სემანტიკური სისტემურობით;
- გ) ტერმინმა ზუსტად უნდა ასახოს შესაბამისი ცნების შინაარსი: უნდა იყოს მოტივირებული და გამჭვირვალე;
- დ) ტერმინი უნდა იყოს მონოსემანტური: ცნებასა და ტერმინს შორის ცალსახა მიმართება უნდა იყოს;
- ე) უპირატესობა ენიჭება მოკლე, სუბსტანტივის მოდელს (*მე-ე, მა-ე, მო-ედ, სა-ე, სა-ო, ნა-ევ...*).

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ოდენ პრეფიქსიანი, სუფიქსიანი, კონფიქსიანი (*სა, მე, მე-ე, სა-ე, უ-ო...*), თუ ზმნური ფორმების გასუბსტანტივების გზით მიღებული (*არს-ი, იყო-ე, იყოს-ი, მრწამს-ი...*) აბსტრაქტული სახელების ზმნური სუფიქსებით (*-ებ-ა, ობ-ა*) ნაწარმოები ტერმინები; ასევე, სახელის ბრუნვის ნიშნის დერევატით (*-ით-ი, ად-ი*), თანდებულისანი (*მი-ერ-ი-გან-ი, ებრივ-ი*), წინდებულისანი (*უკუ-, წინა-*) თუ ნაცვალსახელოვანი კომპოზიციის გზით შექმნილი ტერმინოლოგიური მოდელები, რომელთა გამოყენებით დღესაც მდიდრდება ქართული მეცნიერული ტერმინოლოგია.

დავით მეშველიშვილი

საქართველოს პრეციზიული სროლის ფედერაცია, თბილისი
david.meshvelishvili@gmail.com

ფრიდონ ბეროშვილი

საქართველოს პრეციზიული სროლის ფედერაცია, თბილისი
pridon@gmail.com

**ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებული ქართული ტერმინოლოგიის
დახვეწის პროექტი**

საქართველოს პრეციზიულ მსროლელთა საზოგადოებას, რომელიც 2 ათწლეულია არსებობს საქართველოში, აქვს საგანმანათლებლო აქტივობები, მათ შორის მთარგმნელობითი, პროფესიული სემინარები და სასწავლო კურსები, რომელთა დროსაც ნათლად ჩანს ტერმინოლოგიური პრობლემები. ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებული ტერმინოლოგიური ლექსიკონი არასდროს გამოცემულა, მართალია, ცალკეული ტერმინები იძებნება სხვადასხვა ქართულ ტერმინოლოგიურ ლექსიკონში, სიმწირე ამ დარგში ადვილი შესამჩნევია. სანამ საქართველოში ამ ტერმინოლოგიურ სიჭრელესა და გაურკვევლობაში ვართ, ვითარდება სამყარო და, მათ შორის, ვითარდება თანამედროვე ხრახნილლულიანი ცეცხლსასროლი იარაღიც, იცვლება ფორმა, დეტალები, იქმნება სპორტის ახალი სახეობები, შესაბამისად, დარგის განვითარებას კვალდაკვალ მიჰყვება ახალ ცნებათა და მათ შესაბამის ტერმინთა გაჩენა ინგლისურსა თუ სხვა ენებში. ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებული ქართული ტერმინოლოგიის სრულყოფა და განახლება გადაუდებელი საქმეა. საქართველოს პრეციზიული სროლის ფედერაციამ შექმნა ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებული ქართული ტერმინოლოგიის დახვეწის პროექტი და ტერმინოლოგიის დასახვეწად შექმნა პროგრამული უზრუნველყოფის საგანგებო პლატფორმა, რომელიც გვინდა გავაცნოთ ტერმინოლოგიურ კონფერენციაზე შეკრებილ საზოგადოებას. ვისაუბროთ პროექტის განვითარების გეგმებზე.

ანა მიქაძე-ჩიკვაძე

ყველის მწარმოებელთა გილდია, თბილისი
Gate_an@yahoo.com

სიტყვა კვეთში შენახული ყველის ისტორია

საქართველოს ყველის სამშობლოდ მიჩნევას ორი რამ ადასტურებს: 1) არქეოლოგიური მასალა და 2) სიტყვებში/ტერმინებში შენახული ისტორია.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ინახება 80 საუკუნის წინანდელი ყველის ჭურჭელი, მცხეთის მუზეუმში კი – 28 საუკუნისა. ქართულ ენაში შემონახულია ქართული ყველის მრავალფეროვანი სახელწოდებები, რძის ნაწარმის უმდიდრესი სიტყვიერი მასალა, რძისა და

ყველის ტერმინები. უამრავ საინტერესო ტერმინს ვხვდებით მაყვალა გალდავადის მოხსენებაში, რომელიც მან ენათმეცნიერების ინსტიტუტის საჯარო სხდომაზე 1949 წლის ნოემბერში წაკითხა: „რძე და რძის შესადედებელი მასალები საქართველოში“ (გალდავაძე 2000).

რძის მდიდარ ტერმინოლოგიაში განსაკუთრებით საინტერესოა რძის შედედების აღმნიშვნელი ტერმინები, რომლებიც, მართალია, ტექნოლოგიურად ერთსა და იმავე პროცესს ასახავს, მაგრამ სხვადასხვა დიალექტში სხვადასხვანაირად გვხვდება. მაგალითად, რძის შესადედებელს ქართლში *ყველის დედას* უწოდებენ, ხევსურეთსა და ფშავში – *ყველის წამალას* ან *სადვრიტას*, თუშურში – *შაბოშს*, მთიულურში – *წამალას*, შიდა კახურში – *შილდანს*, ზემო და ქვემო იმერეთში – *საბნიერს*, რაჭასა და ლეჩხუმში *საკიდელს* ან *ხაშს*, იმერულში, გურულსა და მეგრულში – *კვეთს*, მეგრულში ასევე – *ნაწს* და სხვა.

ვფიქრობთ, განსაკუთრებით საინტერესოა სიტყვა კვეთი, რომელიც დასტურდება სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“: „სამკვეთო – ყველის შესადედებელი“. მ. გალდავადის თვალსაზრისით, კვეთი ზმნური მიმღობაა და მომდინარეობს ზმნისგან „მ-კვეთ-ი“ – მოგვიანებით იქცა არსებით სახელად. ლაზურში მაწვნის დედას ეწოდება მ[რ]კათი.

სიტყვა „კვეთზე“ სხვა მოსზრება აქვს ენათმეცნიერ გიორგი კლიმოვს, წიგნში „ქართველური ენების უძველესი ინდოევროპეიზმები“ (კლიმოვი 1994). კლიმოვი წერს, რომ 1963 წელს ვარლამ თოფურიას მიხედვით, სიტყვა „კვეთი“ მესაქონლეობის სფეროში ერთ-ერთი ტერმინია, რომელიც დასავლეთ საქართველოში გამოიყენება და მასთან ერთად გამოიყენება მისგან ნაწაროები სიტყვა „საკვეთი“. ვარაუდობენ, რომ მისი ქართველური საწყისი სიტყვა იყო ლაზურში შემორჩენილი „ხსენი“ [*qsan-], რომელიც ასევე გვხვდება აღმოსავლურ დიალექტებში (ფენრიხი-სარჯველაძე 1990).

კლიმოვი ერთმანეთს უკავშირებს ორ სიტყვას: ქართულ *კვეთსა* და ინდოევროპულ *kuat(h)-ს, რომელიც „დამჟავებას“, „დუღილს“ ნიშნავს. ის ამ სიტყვის ცვლილებას ქართველური ენების ისტორიული მექანიზმის – უმლაუტიზაციის – მოქმედებით ხსნის.

რადგანაც სიტყვა *კვეთი* დასტურდება წინარეინდოევროპულ ენათა ლექსიკონში და ის დღემდე აქტიური ტერმინია ქართულ მეყველეობაში, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ტერმინი იმ ეპოქისაა, როდესაც წინარექართველურ ტომებს მჭიდრო კონტაქტები ჰქონდათ წინარეინდოევროპელებთან. ეს კი, დაახლოებით VI-V ათასწლეულებია ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ამ თარიღს კი მივყავართ ეროვნულ მუზეუმამდე, სადაც 80 საუკუნის, ანუ 8 ათასი წლის, ყველის ჭურჭელი ინახება.

ლიტერატურა

- გალდავაძე 2000 – ქართველური მემკვიდრეობა, ტომი IV, თბილისი;
კლიმოვი 1994 – გიორგი კლიმოვი, ქართველური ენების უძველესი ინდოევროპეიზმები [Древнейшие Индоевропейзмы Картвельских Языков], მოსკოვი;
ფენრიხი-სარჯველაძე 1990 – ჰაინც ფენრიხი, ზურაბ სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თსუ გამომცემლობა, თბილისი;

მაია ნაჭყებია

თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი
evanachkebia@yahoo.com

ენა და ლიტერატურათმცოდნეობის ტერმინოლოგია XVII საუკუნის საფრანგეთსა და საქართველოში (შედარებითი კვლევა)

მთელი რიგი ერების ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ისეთ ჟანრს, როგორც არის ენის ქება. ჩვენი დაკვირვებით, ამ ტიპის თხზულებები ყოველ ერში მისთვის გარდამტეხ პერიოდში იქმნებოდა. ქრონოლოგიურად სხვა ქრისტიანი ერების ენის ქებას წინ უსწრებს „ქება და დიდება ქართულისა ენისა“, თუმცა ამჯერად მასზე არ შევჩერდებით და ყურადღებას გავამახვილებთ ფრანგული რენესანსის უმნიშვნელოვანეს ტექსტზე, პირველ ლიტერატურულ მანიფესტად აღიარებულ ტრაქტატზე „ფრანგული ენის დაცვა და ხოტბა“ (*Défense et illustration de la langue française*) (1549). ტრაქტატის ავტორი დიუ ბელე უპირისპირდება იმ მოსაზრებას, რომ თითქოს ფრანგული ენა „ბარბაროსული“ ენაა და არ არის მორგებული დახვეწილი აზრების გადმოსაცემად ისე, როგორც ბერძნული ან ლათინური. მანიფესტის ავტორი განმარტავს, რომ ფრანგული ენა საკმაოდ მოქნილი, კეთილხმოვანი და ძლიერია და საჭიროა მისი მხოლოდ გამდიდრება და გაკეთილშობილება. პირველ რიგში, იგი ილაშქრებს ლათინურ ენაზე დაწერილი პოეზიის წინააღმდეგ და ფრანგული ენის უფლებებს იცავს. ფრანგული ენის შესახებ მსჯელობისას ნათელია, თუ რამდენად სწამს მას მშობლიური ენის შესაძლებლობებისა. დიუ ბელე მკითხველს შეახსენებს, რომ ოდესღაც ბერძნული და ლათინური ენებიც მოუქნელი იყო და სრულყოფას მათ ხანგრძლივ მეცადინეობათა შედეგად მიაღწიეს. ასეთივე გზა უნდა განვლოს ფრანგულმა ენამაც, მისი გამდიდრების საუკეთესო გზა ძველი ენებიდან სიტყვების და გამოთქმების სესხებაა, მაგრამ სესხება გონივრულად უნდა მოხდეს და უნდა შეესაბამებოდეს მშობლიური ენის სულს/სულისკვეთებას, რათა ისინი ბუნებრივად ჟღერდნენ. გარდა ამისა, ფრანგული ენის გამდიდრების წყარო უნდა იყოს არა მხოლოდ ანტიკურობა, არამედ ხელოსნების, მეზღვაურების, მხატვრების ენა და დიალექტები. „ფრანგული ენის დაცვა და ხოტბა“ განმსჭვალულია სამშობლოსადმი სიყვარულით, სიამაყით, მის მიერ მიღწეული წარმატებების გამო, რომლებიც თავისი სიძლიერით მოიპოვა და სიამაყით მისი ამოუწურავი შინაგანი შესაძლებლობებისადმი. დიუ ბელე ოცნებობს იმაზე, რომ ფრანგულმა ენამ და ლიტერატურამ აყვავების ისეთ დონეს მიაღწიოს, რომელიც შესაბამისი იქნება ქვეყნის საზოგადოებრივი, ეკონომიკური და სულიერი განვითარებისა.

რენესანსის ეპოქა ბაროკოს ეპოქამ შეცვალა, უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდის ფრანგული ლიტერატურული ცხოვრება უადრესად საინტერესოა თავისი ლიტერატურათმცოდნეობითი ტერმინოლოგიით, რომელიც ცალკეული ჟანრისათვის წაყენებული მოთხოვნების წიაღში ყალიბდებოდა. მაგალითად, ეპოპეასთან, ანუ ჰეროიკულ ეპოსთან დაკავშირებით იხსენიება შემდეგი ტერმინები: *სიმართლე (verite)*, *გამონაგონი (fiction)*, *ტყუილი (mensonge)*, *არაჩვეულებრივი/გასაოცარი (merveilleux)* ან *სასწაული (miracle)*, *ზეზუნებრივი/არაჩვეულებრივი (surnaturel)*, *არაჩვეულებრივი ღვთისმოსაობა (surnaturel devot)*. რომანთან დაკავშირებით გამოჩნდა ცნება *დასაჯერებელი, სარწმუნო (Vraisemblable)* ანუ ის, რაც შეესაბამება სინამდვილეში მომხდარ წარმოდგენას. 1670 წელს დაიწერა პიერ-დანიელ უეს „ტრაქტატი რომანების შესახებ“

(Pierre-Daniel Huet, *Traite de l'origine des romans* (1670)), რომელიც საინტერესოა რომანსა და ეპოპეას შორის არსებული განსხვავებების კლასიფიკაციის შესახებ გამოთქმული მოსაზრებების გამო. აქ გვხვდება შემდეგი ტერმინები: *გამოგონილი სასიყვარულო თავგადასავლები (fictions d'aventures amoureuses)*, *გამონაგონი (des fictions)*, *ნამდვილი (veritable)*, *გასაოცარი (merveilleux)*, *დასაჯერებელი (vraisemblables)*.

ფრანგული ბაროკოს ეპოქის ლიტერატურათმცოდნეობით ტერმინოლოგიას საინტერესო პარალელები ეძებნება ქართული ბაროკოს, ანუ ე.წ. აღორძინების ხანის ქართულ ლიტერატურაში: არჩილის „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასების“ პროზაულ წინათქმვაში არჩილი ლაკონურად აყალიბებს თავის ლიტერატურულ შეხედულებებს: „...არა ხოტბა, არამედ მართალი (...) ვითარც მოწყენილის კაცის წესია რაგინდარას მოგონება და ჯავრის დაუმორჩილებლობა, სხვას ზღაპრულს ამბავს – ესევე მართალი ამბავი ვარჩიე გასალექსავად. და არცა ამაში ტყუილი სწერია ერთის – მეფისა და რუსთველის პირდაპირ გაბაასების – მეტი“. მოხსენებაში წარმოდგენილი არჩილის ლიტერატურათმცოდნეობითი ტერმინოლოგია – *მართალი, ზღაპრული, ამბავი* – განხილულია „სიტყვის კონის“ (1685–1716) ფონზე, ანუ იმ განმარტებათა ასპექტში, რომელსაც ის პერიოდი გვთავაზობს.

სალომე ომიადე

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
salomiadze@yahoo.com

კვეთი, ყველი – მსგავსი მოტივაციის მქონე ორი ლექსემა-ტერმინი

სალიტერატურო ენის ლექსიკური ფონდის ერთეულთა მონაწილეობა ტერმინოლოგიურ სისტემათა შექმნაში უნივერსალური მოვლენაა. ბუნებრივია, რომ კვების სფეროსთან დაკავშირებული ქართული ყოფითი ლექსიკის დიდი ნაწილიც გასტრონომიის, როგორც სპეციალური დარგის, ტერმინთსისტემის კუთვნილება ხდება. საერთო ენიდან ტერმინოლოგიურ სისტემაში სიტყვათა მიგრაციას ხშირად ახლავს მნიშვნელობის ცვლა, გაფართოება-დავიწროება თუ მნიშვნელობის განვითარების სხვა გამოვლინებები (შდრ. *ჯიბე*, რომელიც სალიტერატურო ენაში ტანსაცმელზე მიკერებულ რაიმეს შესანახ პატარა პარკს აღნიშნავს და ანატომიური ტერმინი *ჯიბე*, რომელიც, მაგალითად, სტომატოლოგიაში ტერმინოლოგიურ შესიტყვებას – „პათოლოგიურ ჯიბეს“ – ქმნის. შესადაარებლად მოხმობილ ერთეულებში მნიშვნელობის გაფართოება მსგავსებით შედარებას ემყარება – კბილღრძილოვანი შეერთების სიმჭიდროვის დარღვევა წარმოშობს ჯიბისმაგვარ ღრუს, რომელშიც საკვების ნარჩენები გროვდება).

ჩვენ მიერ განსახილველი ორი ერთეული – *კვეთი* და *ყველი* – ერთი სისტემიდან მეორეში ისე გადადის, რომ არც განსხვავებულ ფუნქციას იძენს და არც სემანტიკურ ცვლილებას განიცდის. პირველი უფრო გამჭვირვალე შინაფორმის ლექსემაა, *კვეთის* დაკავშირება ზმნა *კვეთასთან* რიგით ენის მატარებელსაც არ გაუჭირდება, თუ მას ყველის ამოყვანა უნახავს ან ამ პროცესზე რაიმე სმენია: *კვეთის* საშუალებით რძე გაიკვეთება, ანუ აიჭრება (შდრ. *კვეთა – ჭრა* – „მთლიანობის დარღვევა“). ამდენად, *კვეთი* გასუბსტანტივებული მიმღეობაა: *კვეთი* ← *მ-კვეთ-ი* – „რაც კვეთს რასმე“, რომე-

ლიც რძისაგან ყველის წარმოების ტექნოლოგიური პროცესით არის მოტივირებული. ასევე ტექნოლოგიური პროცესი უდევს საფუძვლად ამ პროცესის შედეგად მიღებული რძის პროდუქტის – ყველის – სახელდებას, რაზედაც მოხსენებაში ვრცლად ვისაუბრებთ.

სიგიტა რაცკევიჩიენე

მიკოლას რომერის უნივერსიტეტი, ჰუმანიტარული მეცნიერებების ინსტიტუტი, ლიეტუვა
sigita.rackeviciene@mruni.eu

ლიუდმილა მოცკიენე

მიკოლას რომერის უნივერსიტეტი, ჰუმანიტარული მეცნიერებების ინსტიტუტი, ლიეტუვა
liudmila@mruni.eu

კიბერუსაფრთხოების სფეროს ტერმინოლოგია: ყველაზე ხშირად გამოყენებული ინგლისური და ლიეტუვური ტერმინების წარმოების ყალიბები ორენოვან სპეციალურ კორპუსებში

XXI საუკუნეში, რომელიც ციფრული გარდაქმნებითა და გლობალური ურთიერთკავშირით გამოირჩევა, კიბერუსაფრთხოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც რუსეთის ფედერაციამ აღმაშფოთებელი ომი წამოიწყო უკრაინის წინააღმდეგ; ეს ომი არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ ვირტუალურ სივრცეშიც მიმდინარეობს. ქსელებსა და საინფორმაციო სისტემებზე თავდასხმა, მონაცემების მოპარვა და ციფრული სერვისების მუშაობის შეფერხება ყოველდღიურ პრობლემად იქცა. კიბერუსაფრთხოების ტერმინოლოგია მუდმივად გამოიყენება ახალ ამბებსა და მედიაში და ყოველდღიური ენის ნაწილად იქცევა.

მოხსენებაში წარმოვადგენთ კიბერუსაფრთხოების სფეროში 200 ყველაზე ხშირად გამოყენებული ტერმინის ანალიზის შედეგებს. აღნიშნული ტერმინები მოხმობილია სპეციალური ინგლისურ-ლიეტუვური კორპუსებიდან. ანალიზის მიზანია, დადგინდეს ის ყველაზე ხშირად გამოყენებული ლექსემები, რომლებიც ქმნიან კიბერუსაფრთხოების ტერმინოლოგიას, ასევე, გამოვავლინოთ ინგლისური და ლიეტუვური ტერმინების ძირითადი სინტაქსური მოდელები.

სპეციალური კორპუსები მოიცავს კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ინგლისურ და ლიეტუვურ ტექსტებს, რომლებიც შედგენილია 2010-2021 წლების შუალედში. ეს ტექსტები ეხება ოთხ მიმართულებას: საკანონმდებლოს (სამართლებრივ აქტებსა და მათთან დაკავშირებულ დოკუმენტებს), ადმინისტრაციულსა და საინფორმაციოს (კიბერუსაფრთხოების სპეციალისტების მოხსენებებსა და რეკომენდაციებს), აკადემიურს (სამეცნიერო სტატიებს, წიგნებსა და თეზისებს), და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს (მასობრივი და სპეციალიზებული მედიის სტატიებს). ინგლისურენოვანი კორპუსის მოცულობაა 2,885,344 სიტყვა, ხოლო ლიეტუვური კორპუსისა – 2,806,635 სიტყვა.

შერჩეული 200 ტერმინის ანალიზმა აჩვენა, რომ ორივე ენაში ყველაზე ხშირად გამოიყენებულ ტერმინებში ჭარბობს პოლილექსიკური ტერმინები (მრავალსიტყვიანი ტერმინები, რთული სიტყვები და აბრევიატურები: ინიციალები და აკრონიმები). რაც შეეხება მონოლექსიკურ ტერმინებს (ერთფუძიან სიტყვებს აფიქსებით ან მათ გარეშე), ისინი მოცემული სიის მცირე რაოდენობას შეადგენენ.

ლექსემა *ინგლ. cyber / ლიეტ. kibernetinis* შერჩეულ 200 ტერმინს შორის ყველაზე ხშირად გამოიყენება როგორც ინგლისურ, ისე ლიეტუვურ ენაში. აღნიშნული მსაზღვრელები შეგვიძლია კიბერუსაფრთხოების სფეროს ძირითად ლექსიკურ მაჩვენებლად მივიჩნიოთ. სხვა ლექსემები, რომლებიც ამ 200 ტერმინის ჩამოყალიბებაში მონაწილეობენ, არის: *ინგლ. security / ლიეტ. saugumas, sauga, apsauga, ინგლ. information / ლიეტ. informacija, informacinis, ინგლ. data / ლიეტ. duomenys, ინგლ. attack / ლიეტ. ataka*.

ორივე დასახელებულ ენაში შერჩეული ტერმინებიდან, სხვა სინტაქსურ კონსტრუქციებთან შედარებით, ბინარული პრეპოზიციური მოდიფიკაციის მოდელი ჭარბობს. მოცემულ სიას ახასიათებს კიდევ ერთი თავისებურება – სიტყვათშემოკლებათა სიხშირე. ორივე ენაში შერჩეული 200 ტერმინის მნიშვნელოვან ნაწილს ინიციალები და აკრონიმები შეადგენს. ისინი ან დამოუკიდებელ ტერმინებადაა მოცემული, ან უფრო რთული ტერმინების შემადგენელ ნაწილებად. მაგალითად: *ინგლ. DDoS attack – ლიეტ. DDoS ataka*.

მოსხენებაში წარმოვადგენთ ტერმინთა რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზის შედეგებს და წარმოვაჩინოთ იმ ტენდენციებს, რომლებიც კიბერუსაფრთხოების ინგლისური და ლიეტუვური ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების პროცესში გამოვლინდა. ვიმედოვნებთ, აღნიშნული კვლევა ხელს შეუწყობს კიბერუსაფრთხოების ტერმინოლოგიის უკეთ გააზრებას და დაეხმარება მკვლევრებს ახალი ტერმინების შექმნაში, რაც მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ლიეტუვურ ენაში აღნიშნული სფეროს ტერმინები მწირია¹.

ციური რამიშვილი

თსუ პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი, თბილისი

tsiuri.ramishvili@tsu.ge

ვლადიმერ ციციშვილი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი

v.tsitsishvili@gmail.com

ქიმიაში, ნანომეცნიერებასა და ნანოტექნოლოგიაში გამოყენებული ზოგიერთი ქართული ტერმინის შესახებ

ჰალოგენ (V)- და ჰალოგენჟანგბადიანი (VII) მჟავების ქართულენოვანი სახელწოდებები, კერძოდ, *ქლორის, ბრომისა და იოდის* შემთხვევაში, როგორც ჩანს, რუსულენოვანი ეკვივალენტის შესაბამისადაა დამკვიდრებული ქართულ ქიმიურ ლიტერატურაში [საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. ქიმიის სერია, 2009]; თეორიული და გამოყენებითი ქიმიის საერთაშორისო კავშირის (International Union of Pure and Applied Chemistry) რეკომენდაციის [IUPAC recommendations, 2005] შესაბამისად ისინი უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად: HClO₃ – *ქლორმჟავა*, HClO₄ – *პერქლორმჟავა*, HBrO₃ – *ბრომმჟავა*, HBrO₄ – *პერბრომმჟავა*, HIO₃ –

¹ აღნიშნული კვლევა ჩატარდა შემდეგი პროექტის ფარგლებში COST Action CA18209 „ევროპული ქსელი ინტერნეტზე კონცენტრირებულ ენობრივ მონაცემთა მეცნიერებისათვის (NexusLinguarum)“, კიბერუსაფრთხოების ტერმინოლოგიაზე დაყრდნობით.

ოდმჟავა, HIO_4 – პერიოდმჟავა (მეტაპერიოდმჟავა), H_5IO_6 – ორთოპერიოდმჟავა, $\text{H}_7\text{I}_3\text{O}_{14}$ – ტრიპერიოდმჟავა, $(\text{HIO}_4)_n$ – პოლიპერიოდმჟავა.

ჩვენ მიერ 2011-2014 წლებში ჟურნალში „Nano Studies“ გამოქვეყნდა ოთხენოვანი (ინგლისურ-გერმანულ-რუსულ-ქართული) ლექსიკონის: „ნანოქიმიის და ნანოტექნოლოგიის მოკლე ლექსიკონი (გლოსარი)“ ოთხი ნაწილი. მასში მოყვანილია აღნიშნული დარგის სამასზე მეტი ქართულენოვანი ტერმინი განმარტებებითა და ილუსტრაციებით. ჩვენ შევეცადეთ ინგლისურენოვანი ტერმინებისთვის მოგვერგო ადეკვატური ქართული შესიტყვებები. მაგალითად, *Quantum dot*-ის – ქვანტური წერტილის ნაცვლად – მიღებული სიტყვა *კვანტური*; *Zigzag SWNT-SWNT*-ის ნაცვლად – *იკანკლური* (ზიგზაგისებურის ნაცვლად) სტრუქტურა; *ნანოფიჭის*, *ნანოდრეების* პარალელურად გამოყენებულია *ნანოფიტა*; *Molecular beam epitaxy*-ის ნაცვლად – *მოლეკულურ-სხივური დაშრეება*; *Molecular imprinting*-ის (*stamping*) ნაცვლად – *მოლეკულური ანაბეჭდების მიღება*; *Nanoindenter*-ის ნაცვლად – *ნანოანალიზატორი*; *Disintegration*-ის ნაცვლად – *დანაწილაკება*; *Nanowhisker*-ის ნაცვლად – *ნანობუსუსი*; *Nanoplotter*-ის ნაცვლად – *ნანოჩანახაზავი*; *Shok way synthesis*-ის ნაცვლად – *დარტყმით-ტალღური სინთეზი*; *Carbon nanobud*-ის ნაცვლად – *ნახშირბადის ნანოლივი/ნანოკვირტი*.

სვეტლანა როდინაძე

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, ბათუმი
svetarodinadze75@gmail.com

თამილა მიქელაძე

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, ბათუმი
t.mikeladze@bsma.edu.ge

ქრისტინე ზარბაზოია

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, ბათუმი
k.zarbazoiia@bsma.edu.ge

სულხან საბას „სიტყვის კონა“, როგორც ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის პირველწყარო და მისი როლი თანამედროვე ქართულ საზღვაო ტერმინოლოგიაში

ზღვაოსნობას საქართველოში დიდი ხნის ისტორია და კულტურა აქვს, გამომდინარე მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან, რამაც თავისთავად განაპირობა ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის არსებობის საჭიროება. სწორედ მისი აქტუალობიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში საზღვაო ტერმინები განმარტებული აქვს სულხან-საბას თავის განმარტებით ლექსიკონში „ლექსიკონი ქართული“, ანუ „სიტყვის კონა“. დიდი ქართველი მწერალი და მეცნიერი სულხან-საბა ორბელიანი დაინტერესებული იყო ქართული ენის განვითარებით. ლექსიკონის დანიშნულება ენის სიმდიდრისა და სიწმინდის დაცვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა. სწორედ ენის დასაცავად შეიქმნა „სიტყვის კონა“.

ეს ლექსიკონი ენციკლოპედიურ და განმარტებით ხასიათს ატარებს. ლექსიკონში ასევე თავმოყრილია სიტყვები შესაბამისი განმარტებებით – სხვადასხვა სახელწოდება, გეოგრაფიული ადგილმდებარეობების დასახელებები, სიმაღლე-სივრცის მაჩვენებლები და ა.შ. სულხან-

საბას ლექსიკონში ახსნილი და განმარტებულია სიტყვები, ხოლო მაგალითები მოყვანილია სხვადასხვა ლიტერატურული წყაროდან, ბიბლიიდან და ა.შ.

აღნიშნულ ლექსიკონში საკმაოდ საიტერესოაა განმარტებული საზღვაო ტერმინები. საყურადღებოა ლექსიკონში შეტანილი შემდეგი საზღვაო ტერმინები:

ანკრა – ნავის ღუზა ლათინურად. ნავის სამართია სავალად;

აფთიონი – ნავის სამართი ტიმონი;

ზღუა – შესაკრებელი წყალთა;

ზღვის ღმერთი – ნეპტუნ;

ღუზა – ხომალდის კავი. ხომალდის დასაყენებელი რკინ(ა). ხომალდის რკინა;

ხომალდი – დიდი ნავი. დიდი ნავთაგანია;

ჯალამბარი – დიდი ქვის მაღლა ასატანი.

თანამედროვე ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ეს სიტყვები ასეა განმარტებული:

ავრა – ხომალდის (ნავის) ანძაზე მიმაგრებული საგანგებო ტილო ხომალდის ასამოძრა-ვებლად ქარის ძალის გამოყენებით;

ხომალდი – დიდი საზღვაო გემი;

ზოგ შემთხვევაში სულხან-საბა ორბელიანის განმარტებები გამოყენებულია თანამედ-როვე განმარტებით ლექსიკონშიც. მაგ.:

ვრაქია – თხელი ადგილი ზღვაში, ზღვის ქვეშა კლდე. (საბა);

კოპანო – ნავია ერთგვარი, ვარცლზე დიდი, კარაპაზე მცირე. (საბა);

კარაპა – მომცრო ნავი (საბა).

ზოგ შემთხვევაში „სიტყვის კონაში“ განმარტებულ სიტყვას დამატებული აქვს მეორე მნიშვნელობა, რომელიც გამოხატავს სხვადასხვა ტექნიკურ ტერმინს. მაგ.:

მუხრუჭი – ტექ. მოწყობილობა მანქანების ამოძრავებისთვის, მოძრაობის შესანელებ-ლად ან გასაჩერებლად;

ლილვი – ტექ. სხვადასხვა მანქანის ნაწილი – ცილინდრი, რომელიც ბრუნავს თავისი ღერძის გარშემო;

ჯალამბარი – ბლოკის სახის მქონე საგანგებო მოწყობილობა, რომელსაც იყენებენ სიმ-ძიმეთა ასაწევად.

თანამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სულხან-საბას „სიტყვის კონამ“ უდიდესი როლი ითა-მაშა ქართული ენის შემდგომ განვითარებასა და ჩამოყალიბებაში. საფუძველი ჩაუყარა ქართუ-ლი საზღვაო ტერმინოლოგიას და უნდა უთქვას, რომ სულხან-საბას „სიტყვის კონაში“ მოცემუ-ლი ტერმინები დღესაც გამოიყენება საზღვაო სფეროში.

მანანა რუსიეშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
manana.ruseishvili@tsu.ge

ლია ქაროსანიძე

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
L.karosanidze@gmail.com

მანანა ხაჩიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
manana.khachidze@tsu.ge

**ვრცელი ქართულ-ინგლისური თემატური ლექსიკონი
(ახალი პროექტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში)**

ქართული მასალა თემატურად პირველად სულხან-საბას ლექსიკონშია წარმოდგენილი. სულხან-საბა ორბელიანის (1958-1725) „სიტყვის კონა“ ციფრულ ეპოქაში განსხვავებულ ყურადღებას იქცევს, მისი აგების პრინციპები საინტერესოა თანამედროვე ციფრული ლექსიკონების შემუშავებისას. ღირებული და მნიშვნელოვანია დღემდე სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი სამეცნიერო ტერმინოლოგიის დამუშავებისას.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნული, სულხან-საბას ლექსიკონში ცნებათა ბუდეებია. საბა იღებს (როდესაც ეს შესაძლებელია) გვარეობითი ცნების აღმნიშვნელ სიტყვას და მასთან ათავსებს სახეობითი ცნების აღმნიშვნელ სიტყვებს განმარტებითურთ. სემანტიკურად ახლო მდგომი ბუდეები საბას თავმოყრილი აქვს ასამდე ბუდეში. ამ ბუდეთა სასათაურო სიტყვებია, მაგალითად, *ბადე, გიჟი, გულისწყრომა, ზოდიაქო, ზღუდე, თმა, კაცი, სიცივე, სიციხე, ურემი, ღვინო, ჭურჭელი, ხიდი* და სხვ.

სალიტერატურო ქართულის ლექსიკური ფონდის შესასწავლად უმნიშვნელოვანესია სულხან-საბა ორბელიანის მიერ გამოყოფილი ცნებათა თემატური ჯგუფები, რომლებიც მე-20 საუკუნეში შეივსო და ახლებურად დამუშავდა. 30-იან წლებში ივანე ჯავახიშვილმა შეადგინა სათანადო პროგრამა, სახელწოდებით „შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის მასალების შეგროვების წესი“, ეს პროგრამა ითვალისწინებდა შემდეგი დარგების მიმოხილვას: *აღმშენებლობა, თავდაცვითი ნაგებობანი, ავეჯი, საკრავები, ჭურჭელი, ქსოვა და ხელსაქმე, ტანისამოსი, თავსახურავი, ფეხსამოსი და ფეხსაცმელი, პურის ცხობა, დიასახლისობა, საჭმლის მომზადება, მესაქონლეობა, მეაბრეშუმეობა, სასოფლო-სამეურნეო იარაღების კეთება, მეზოსტნეობა და მებაღეობა, მევენახეობა და მეღვინეობა, მერწყველობა და მეწისქვილეობა, მეთევზეობა, მონადირეობა, კრამიტის, აგურისა და წყლის მიღების გაკეთება, მჭედლობა, ოქრომჭედლობა, მეტივეობა, მეშუმეობა, მენახშირეობა.*

ცალკეული თემატური ჯგუფების შესწავლა ივანე ჯავახიშვილის შემდეგაც გაგრძელდა. ენათმეცნიერების ინსტიტუტში შეისწავლეს ნათესაობის სახელები, ზოოლოგიური ნომენკლატურა, სხეულის ნაწილთა სახელწოდებანი. აღწერილ-დახასიათებულია ცალკე დარგების ლექსიკა, პურეულისა, მევენახეობა-მეღვინეობისა.

ენათმეცნიერების ინსტიტუტში მომზადდა და 1987 წელს გამოიცა ბიძინა ფოჩხუას მნიშვნელოვანი ნაშრომი „თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონი“. „იდეოგრაფიული ლექსიკონი“ არსებითად განსხვავდება ყველა სხვა ტიპის ლექსიკონისაგან. მასში

სიტყვები ლაგდება არა ანბანთრიგის მიხედვით, არამედ თემატურად, საგნობრივი მნიშვნელობის საფუძველზე.

საინტერესო და განსხვავებულია ბიძინა ფოჩხუასეული ცნებათა სისტემები, მაგალითად, ადამიანი თემატური ჯგუფებისა და ქვეჯგუფების მიხედვით ასეა წარმოდგენილი:

ადამიანი – ფიზიკური არსება: 1. სქესი, 2. რასა, 3 გარეგნობა, 4. ორგანოები, 5. ორგანოთა ფუნქციები, 6. მოძრაობა, 7. აქტივობა.

ადამიანის სიცოცხლე – 1. დაბადება, 2 ასაკი, 3 სქესობრივი ცხოვრება, 4. ორგანოები, 5. ორგანოთა ფუნქციები, 6. მოძრაობა, 7. აქტივობა სხვის მიმართ.

ადამიანის სულიერი ცხოვრება – 1. ჭკუა, ნიჭი, 2. აღქმა, წარმოდგენა, 3. აზროვნება, 4. გრძნობები, 5. ნებელობა, 6. მორალი, 7. რწმენა, 8. ხელოვნება.

ფორმა, საქმიანობა – 1. მეოჯახეობა, 2. მიწათმოქმედება, 3. მესაქონლეობა, 4. ხელოვნება, 5. ხელოვნება, 6. ვაჭრობა, 7. ტრანსპორტი, 8. კავშირგაბმულობა.

საზოგადოება – 1. ოჯახი, 2. ტომი, ენა, 3. ურთიერთობა, 4 სახელმწიფო, 5. ადმინისტრაცია, 6. განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაცია, 7. სასამართლო, 8. საგარეო ურთიერთობა, 9. სამხედრო საქმე.

ქართული ენის სალექსიკონო ფონდი, შეიძლება ითქვას, რომ კარგადაა შესწავლილი საქართველოში, თუმცა თანამედროვე სალიტერატურო ენის მასალაც მისამატებელია და ამ მხრივ მუშაობა უნდა გაგრძელდეს. სწორედ ამ უნიკალურ მასალებს უნდა ეყრდნობა ვრცელი ქართულ-ინგლისური თემატური ლექსიკონი, რადგან თარგმნით ლექსიკოგრაფიაში ამ უიშვიათესი ღირებულების მასალის ინგლისური შესატყვისების დადგენა, უმნიშვნელოვანესი იქნება ქართული ენის ლექსიკურ ფონდში ასახული ქართული კულტურის სრულად წარმოსაჩენად, თანამედროვე ციფრულ სამყაროში ქართული ენის ადგილის დასამკვიდრებლად.

პროექტს, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020 წელს დაიწყო, საგანგებოდ „საბასეული“ ვუწოდებთ სწორედ იმიტომ, რომ სულხან-საბა ორბელიანის მე-17 საუკუნეში შექმნილი უმნიშვნელოვანესი ლექსიკონი ქართული ენის ცნებებად დამუშავების პირველი ცდაა. ვრცელი ქართულ-ინგლისური თემატური ლექსიკონის შექმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თარგმნითი ლექსიკონებისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა მიმართულებების მეცნიერთა თანამშრომლობით მიმდინარეობს. პროექტში სტუდენტების, პროფესორებისა და ენათმეცნიერების მკვლევრების ჩასართავად მუშავდება საგანგებო პროგრამა, რომელიც საშუალებას მოგვცემს, სალექსიკონო მასალაზე მუშაობა სასწავლო პროცესში გამოვიყენოთ, რედაქტირებული მასალა კი – ვრცელი ქართულ-ინგლისური ლექსიკონის ელექტრონულ ვერსიის შესაქმნელად, რომელსაც თანდათან გამოვაქვეყნებთ კიდეც.

ირაკლი სალია

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, თბილისი
iraklisalia5@gmail.com

რა ენობრივ ერთეულებს უნდა ეწოდოს ომონიმი?

ომონიმის შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში ომონიმია არაერთგვაროვნადაა დახასიათებული. მეცნიერთა ნაწილი საანალიზო ერთეულებად სიტყვებს მიიჩნევს, ნაწილი – ლექსიკურ ერთეულებს ან ზოგადად ენობრივ ერთეულებს, ნაწილი ბგერით შემადგენლობაზე საუბრობს, სხვები კი წერილობით ფორმებზეც ამახვილებენ ყურადღებას. ომონიმის ზოგიერთ განმარტებაში საკვალიფიკაციო კრიტერიუმად მნიშვნელობებს შორის კავშირის არარსებობაც სახელდება. ამის გამო შეუძლებელია გარკვევა:

- რა ტიპის ენობრივი ერთეულები შეიძლება მიიჩნეოდეს ომონიმებად;
- საანალიზო ერთეულების კვალიფიკაციის დროს მხოლოდ წარმოთქმა გასათვალისწინებელი თუ იმავდროულად მათი დაწერილობაც;
- როგორ უნდა დადგინდეს მნიშვნელობების განსხვავებული წარმოშობა, დამოუკიდებლობა.

კონსენსუსის არარსებობა მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ პრობლემას ქმნის არა მარტო ომონიმის, არამედ პოლისემიის კვალიფიკაციისთვის. თუ არ დადგინდა, როგორ უნდა გაიმიჯნოს დამოუკიდებელი მნიშვნელობები ერთი მნიშვნელობის ვარიანტებისგან, შეუძლებელი იქნება ომონიმისა და პოლისემიის გამიჯვნაც. აქედან გამომდინარე, თუ არ მოიძებნა ზემოთ დასმულ კითხვებზე პასუხი, ომონიმის ნებისმიერი ასპექტის კვლევა მოკლებული იქნება ლოგიკურ საფუძველს, არ იქნება სრულფასოვანი და თანმიმდევრული.

მოხსენებაში გავაანალიზებთ საკითხის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს, არსებულ თეორიებს, ომონიმისა და პოლისემიის გამიჯვნის მეთოდებს და წარმოვადგენთ ჩვენს თვალსაზრისს, რა ენობრივ ერთეულებს უნდა ეწოდოს ომონიმი.

გივი სანაძე

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, თბილისი
givisanadze@yahoo.com

ქართული საავიაციო ტერმინების სარედაქციო საკითხები

ქართული საავიაციო ტერმინოლოგიის ფორმირება დაკავშირებული იყო მე-18 და მე-19 საუკუნეებში საქართველოში ჰაერნაოსნობისა და ავიაციის საწყისებთან. ჯერ კიდევ საფრანგეთში 1783 წელს ძმები ჟოზეფ და ეტიენ მონგოლფიერების საჰაერო ბუმტით ადამიანის პირველ გაფრენას ქართველებიც ესწრებოდნენ. ეს დასტურდება ვინმე დავითის მიერ მეფე ერეკლესადმი გამოგზავნილი ხელნაწერ წერილში. წერილს თან ახლავს მონგოლფიერების საჰაერო ბუმტის ნახატი და აღწერილობა. დავითი დაწვრილებით აღწერს ქართულ ენაზე საჰაერო ბუმტის აგებულებას, საწვავსა და სხვა დეტალებს.

ერთ-ერთი პირველი წარმატებული ტერმინოლოგიური ლექსიკონი გამოიცა 1945 წელს პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით (ლექსიკონი 1945). აღნიშნული ლექსიკონი დღევანდელი მდგომარეობითაც ერთ-ერთ საფუძვლიან და გასათვალისწინებელ წყაროდ ითვლება.

ქართული საავიაციო ტერმინოლოგიის საკმაოდ მდიდარი მასალის მიუხედავად, იკვეთება პრობლემური საკითხები, რომლებიც სამ ძირითად მიზეზს ეფუძნება: ერთი და იმავე ცნების აღნიშვნელი რამდენიმე ტერმინის ერთდროულად დამკვიდრება; საავიაციო ტექნოლოგიების სიახლეებით გამოწვეული ახალი ტერმინების ფორმირება; ქართული შესატყვისებისათვის ამოსავლად რუსული და ინგლისურენოვანი საავიაციო ტერმინების გამოყენება. წარმოგიდგენთ ზოგიერთ მაგალითს:

- დახრა, დაგვერდება;
- ფრთისწინი, ფრთაწინი, ფრთაწინა;
- შევულმფრენი, ვერტმფრენი, ჰელიკოპტერი;
- გადატვირთვა, გადამეტვირთვა;
- დარტყმითი ტალღა, შემჭიდროების ნახტომი;
- საჰაერო ხრახნის ფრთა, ლაპოტი;
- ავიამეთვალყურე, ავიადისპეტჩერი;
- აერნაოსანი, აერონავიგატორი, შტურმანი.

აღნიშნული პრობლემისა და თემატიკის აქტულობიდან გამომდინარე, საავიაციო ტერმინოლოგია საფუძვლიანად შესწავლილი და მოსაწესრიგებელია. ამ პროცესში აუცილებელია ავიაციის ყველა სფეროს წარმომადგენელი აქტიურად ჩაერთოს (სამოქალაქო ავიაციის, სამხედრო ავიაციისა და საავიაციო მრეწველობისა) და შეთანხმდეს ერთიან, შეჯერებულ და ქართული ენის ნორმების მიხედვით გამართულ ტერმინოლოგიაზე.

ლიტერატურა

ლექსიკონი 1945 – საავიაციო ტერმინოლოგიური ლექსიკონი, რედ. ვ. ბერიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“, თბილისი;

რუსუდან საღინაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი
r_saginadze@yahoo.com

ნასესხებ ტექნიკურ ტერმინთა ვარიანტები ქართულში და სტანდარტის საკითხები

დარგობრივ ტერმინოლოგიას საქართველოში ხანგრძლივი ისტორია აქვს. ტერმინთმომოქმედთა ძალისხმევა ყოველთვის იყო მიმართული ქართულ ტერმინთა შექმნისა და დამკვიდრებისაკენ. მიუხედავად ამისა, თავიდან ვერ ავიცილეთ უცხოურ ტერმინთა სიჭარბე, რაც განსაკუთრებული სიმწვავეით დაჩნდება ტექნიკურ ტერმინოლოგიაში.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, როცა იქმნება ან შემოდის ქვეყანაში ახალი დარგები, ჯერ კიდევ არ არის სრულად დამუშავებული, ჩამოყალიბებული ტერმინთა შერჩევისა და დამკვიდრების მექანიზმი. ამიტომ ხშირ შემთხვევაში სტიქიური ხასიათი აქვს ამა თუ იმ დარგის შესაბამის ტერმინთა სესხებას. ამასთან, ითარგმნება ტექნიკური ხასიათის დიდძალი ლიტერატურა, ჩნდება ახალ-ახალი ტერმინები, მათ შორის, კალკირებული ან პირდაპირ, უთარგმნელად გადმოტანილი. ხშირად ახალთან ერთად არსებობას განაგრძობს ძველი ტერმინიც.

ჩვენი კვლევის ობიექტიც თანამედროვე ქართულ ტექნიკურ ტერმინოლოგიაში არსებული ერთ-ერთი მთავარი პრობლემა – ნასესხებ ტერმინთა ვარიანტების სტანდარტულობა, ნორმატიულობაა. ეს არ არის ახალი მოვლენა. ამ პრობლემაზე მიუთითებენ დღესაც სპეციალისტები: „ტერმინოლოგიური სიჭრელე მთავარი სირთულეა, რომლის გამო „ენის ზრდა“ ფერხდება“ (ქაროსანიძე 2020).

სალექსიკონო მასალისა და სხვადასხვა გამოცემაში არსებული მონაცემების მიხედვით გამოვყოფთ და გავანალიზებთ ნასესხებ ტექნიკურ პარალელურ ტერმინთა რამდენიმე ჯგუფს:

ძველი და ახალი ტერმინები: *ნახშირჟანგი* || *ნახშირბადის მონოქსიდი (CO)*; *ნახშირორჟანგი* || *ნახშირბადის დიოქსიდი (CO₂)*...

უცხო და ქართული ტერმინები: *ინტოქსიკაცია* || *მოწამვლა*; *ტოქსიკური* || *ტოქსიური* || *მომწამლავე* || *მომწამვლელი*; *ინტოქსირებული* || *მოწამლული*; *ტყვიის გლაზური* || *ტყვიის მოჭიქურება*...

კალკირებული ტერმინები: *მაცივარაგენტი* (რუს. *Хладагент*) || *სამაცივრო აგენტი* (რუს. *холодильный агент*) (ტექნიკური 1977)...

გვხვდება ქართულ (გაქართულებულ) ტერმინთა სხვადასხვა ფაქტორით შეპირობებული ვარიანტებიც:

ფონეტიკურად შეპირობებული: *შესხურება* || *შეშხურება* – მართებულია *შესხურება* (საღინაძე 2006)...

სხვადასხვა აფიქსით ნაწარმოები: *ენერგოეფექტურობა* || *ენერგოეფექტიანობა* – დარგის სპეციალისტთა მიერ მართებულად არის მიჩნეული ორივე (ჩომახიძე, ცხაკაია 2015)...

ნასესხებ ტექნიკურ ტერმინთა ვარიანტების ამსახველი უფრო ვრცელი მასალის გაანალიზება იძლევა სტანდარტის საკითხებისა და, საერთოდ, პრობლემათა დამლევის გზების დასახვის საშუალებას.

ლიტერატურა

საღინაძე 2006 – რუსუდან საღინაძე, ეკოლოგიური ტერმინოლოგიის პრობლემები, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 6, თბილისი;

ტექნიკური 1977 – ტექნიკური ტერმინოლოგია, თბილისი;

ქაროსანიძე 2020 – ლია ქაროსანიძე, სიტყვარი – ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის პირველი ლექსიკონი – 100 წლისაა, ტერმინოლოგიის საკითხები, IV, თბილისი;

ჩომახიძე, ცხაკაია 2015 – დემურ ჩომახიძე, ქეთევან ცხაკაია, კლიმატის ცვლილება: მდგომარეობა და გამოწვევები, ტერმინოლოგია, რედ. რ. საღინაძე, ქუთაისი;

ლიანა სუთიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი

l.sutidze@gtu.ge

ახალი დარგობრივი ტექნიკური ტერმინოლოგიის სარედაქციო საკითხისათვის

ამონაწერი 100 წლის წინანდელი „სიტყვარიდან“, რომელიც გამოსცა მაშინდელმა ტექნიკურმა საზოგადოებამ: „დასავლეთის ყველა ტერმინოლოგიების მდიდარ, მაგრამ მეტად ჭრელ მასალიდან საქართველოსთვის კოლექტიურად, მეცნიერულად და სისტემატიურად უნდა ამოირჩეს ყველა დარგების მჭიდრო კოორდინაციით ყველაფერი, რაც იქ საუკეთესო და უახლესია. ამ ამორჩევაში სამი საზომი უნდა ვიხმაროთ: ჩვენი ენის ხასიათი, მეცნიერების დღევანდელი შინაარსი და მისი ტერმინების ისტორიული პერსპექტივა“.

ეს სიტყვები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და 100 წლის შემდგომაც მისადაგება დღევანდელ რთულ ვითარებას, რომელიც ტექნიკის არნახულ პროგრესს უკავშირდება. მოთხოვნა ტერმინის მიმართ, რომ ის უნდა იყოს „მოკლე და გამჭვირვალე“, მისადაგება ზემოთ ჩამოთვლილი სამი საზომიდან პირველს. უპირველეს ყოვლისა, ტერმინი ცნების არსს ზუსტად უნდა ასახავდეს, ანუ, გარკვეულწილად, მიანიშნებდეს მის ფუნქციურ დანიშნულებას. ამ მიმართულებით ტერმინოლოგიის განვითარებაში შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადი ასპექტი:

1. უცხო ტერმინებისათვის ქართული შესატყვისების შექმნა;
2. ტერმინ-კომპოზიტების წარმოება;
3. უკვე არსებული ტერმინების განახლება და გამარტივება.

ცნობილია, რომ ბევრი ხელოვნურად შექმნილი ტერმინი იმავე „სიტყვარიდან“ ვერ და-
მკვიდრდა, ვერ გახდა, როგორც სულხან-საბა იტყოდა, „მოსახმარისი“. მაგალითად, *технология* – *მოქნგობა*; *фабрика* – *სამოქნარო*; *оптический завод* – *საჭვირმინოსნო*; *бензин* – *ბანჭვინი* და სხვ. ამგვარი ტერმინების გააქტიურება და თანამედროვე ტერმინთსისტემაში დამკვიდრება არ არის მიზანშეწონილი.

რაც შეეხება ტერმინ-კომპოზიტების წარმოებას, ქართულში სიჭრელეა. ხშირად და-
რღვეულია ორ- და სამსიტყვიანი კომპოზიტების მართლწერის წესები. უმეტესად ასეთი ტერ-
მინები ძნელად წარმოსათქმელია, მაგალითად, *სიტყვათმემოკლება*, *სიტყვათმეთანხმება*, *ზე-
დამხედველობამოკლებული*, *სწრაფადშესასრულებელი* და სხვა.

კომპოზიტში ხშირად უადგილოდ არის გამოყენებული ნართანინი ფორმა: *გვირაბთვა-
საყვანი*, *ტერმინთმემოქმედება*, *კომბაინთმშენებლობა* და სხვა.

ახალი დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონების რედაქცია გვერდს ვერ აუვლის არ-
სებულ ლექსიკონებში უკვე მოძველებულ ან უთარგმნელ ტერმინებს, როგორებიცაა: პოჭოჭიკი, მე-
ზარდი, მხუთრიანი, ბრემსბერგი, ვერპი, ვერსორი, გადამეტვირთვა, გადამეტხურება და სხვა.

თსუ არნ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაწყებულია ქართული
ტერმინთბანკის მასალაზე დაყრდნობით მრავალდარგოვან ტერმინთა ლექსიკონის სარედაქ-
ციო სამუშაოები. სასურველი იქნება, დროულად დაიგეგმოს სხვადასხვა დარგის სპეციალის-
ტებისათვის დაგზავნილი სარედაქციო მასალის ჯგუფური განხილვა. მოხსენებაში, შეძლებისდაგ-
ვარად, წარმოდგენილი იქნება ყველა ის ტერმინი, რომელთა შეცვლა აუცილებლად მიგვაჩნია.

ნინო ტონია

ა/ა/იპ საქართველოს საპატრიარქოს სამტრედიის მართლმადიდებლური სკოლა, სამტრედია
ninotonia@gmail.com

სამსონ თოფურის ევროპული მოღვაწეობა

მე-19 საუკუნის საქართველოში შექმნილი მძიმე ეროვნული მდგომარეობით, სამკურნალო დაწესებულების არარსებობით, პანდემიებისა და ეპიდემიების მასშტაბითა და სიხშირით იყო ნაკარნახევი თოფურიების ოჯახის ევროპული ორიენტაცია. ბესარიონ, სამსონ, ლუკა, მარიამ თოფურიების სამედიცინო მოღვაწეობის სტილი განისაზღვრა, ერთი მხრივ, სახალხო მკურნალობის მეთოდებთან სიახლოვით და, მეორე მხრივ, მეცნიერების მსოფლიო მიღწევების ღრმა წვდომით.

სამსონ თოფურის მიზნობრივი სწავლისა და მოღვაწეობის წლებში გერმანიასა და საფრანგეთში მოიპოვა აღიარება; თოფურის სამკურნალო ქუთაისში პირველი ევროპული სამედიცინო დაწესებულება იყო. რენტგენის აპარატისა და ცენტრალური გათბობის სისტემა წარმოადგენდა სიახლეს რუსეთის იმპერიაში; ეს იყო ხსნა და გადარჩენა ქართველი ერისთვის.

სამსონ თოფურია იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი და საქალაქო საბჭოს ხმოსანი – მზრუნველი ქართული კულტურის მტკივნეულ თემებზე, მათ შორის – სამედიცინო ტერმინოლოგიის განვითარებისათვის;

სამსონ თოფურის სკოლას, რომელშიც შედიოდნენ პროვიზორები: არჩილ გრიგოლია, ვანო და ბიქტორ მიქელაძეები, გიგინეიშვილი (ბათუმში მოღვაწე), ღამბაშიძე (ბავშვთა კურორტი ცემი), გედევანიშვილი, ნაზარიშვილი, წერეთელი (საირმე), უნდა განეგრძოთ ზრუნვა მედიკამენტებისა და აღჭურვილობის სახელწოდებების ქართულ ენაზე შემუშავებისა და შემოღების საქმისთვის, თუმცა სამსონ თოფურის მიერ შექმნილი და შემუშავებული ტერმინოლოგია ჯერჯერობით შესწავლილი არ არის. ქართული ტერმინოლოგიის ისტორიისათვის მნიშვნელოვანია თითოეული ასეთი მოღვაწის დამსახურების შესწავლა.

ნინო ფხაკაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი
nino.pkhakadze@atsu.edu.ge

ტერმინოლოგიური მოდელები პირველი ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკონის („სიტყვარის“) მიხედვით

პირველი ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკონი „სიტყვარი“ 100 წლის წინ შეიქმნა და მისი სამეცნიერო აქტუალურობა დღესაც თვალსაჩინოა. ლექსიკონი მკვლევართა ყურადღებას მრავალი ასპექტით იპყრობს. იგი მდიდარ მასალას გვაწვდის ტერმინთმემოქმედების ლინგვისტიკური კანონზომიერებების გასაანალიზებლად.

სამეცნიერო ლიტერატურაში ლექსიკონის მნიშვნელობის შესახებ არაერთხელ არის მითითებული. ვუკოლ ბერიძემ (ბერიძე 1952), როგნედა ღამბაშიძემ (ღამბაშიძე 1981) და სხვა მეცნიერებმა შეისწავლეს სამეცნიერო ენის შექმნაში ტექნიკური ტერმინოლოგიის შემუშავების მნიშვნელობა, პრინციპები და „სიტყვარის“ ავტორთა მიდგომები, ღია ქაროსანიძემ თავის ნაშრომში (ქაროსანიძე 2020) საფუძვლიანად განიხილა „სიტყვარის“ ავტორთა მუშაობის მეთოდოლოგიური საფუძვლები, სხვა ენათა მონაცემებისა და გამოცდილების გამოყენების მექანიზმები, ქართული ძირების მაქსიმალური აქტუალიზების შესაძლებლობები, სატერმინოლოგიო მუშაობის წინააღმდეგობრივი პროცესები და ტერმინთა შექმნისა და დამკვიდრების სამეცნიერო და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა.

ჩვენს სტატიაში კიდევ ერთხელ ესმება ხაზი „სიტყვარის“ მნიშვნელობას სამეცნიერო ენის შექმნაში. მასში, ცნობილ მკვლევართა ნააზრევის საფუძველზე, არის მცდელობა ტერმინთშემოქმედების კომპლექსური პრობლემური საკითხებიდან ყურადღება გამახვილდეს ტექნიკური ტერმინოლოგიური მოდელების რეალიზების შესაძლებლობებზე, გამოიყოს სტრუქტურული ჯგუფები, მოხდეს ერთგვარი სისტემატიზაცია და სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინაში რეალიზებულ მოდელებთან (შესაბამის ტერმინოლოგიურ ლექსიკონებთან) შედარების საფუძველზე გამოიყოს უნივერსალური და სპეციფიკური მახასიათებლები.

ტერმინოლოგიური ბაზის მოწესრიგება სამეცნიერო დისციპლინების განვითარების წინაპირობაა. ეროვნული მეცნიერება ეროვნული ტერმინოლოგიის სისტემატიზების საფუძველზე ვითარდება. დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას და საკუთარი ენობრივი რესურსის მაქსიმალურ გამოყენებას.

ტერმინოლოგიური ველების უნიფიცირებისა და სისტემატიზებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტერმინოლოგიურ ლექსიკონებს, რომლებიც ავტორთა თეორიულ მიდგომებს წარმოაჩენს და გვთავაზობს ლექსიკურ ერთეულებს სათანადო დარგის ტერმინოლოგიისათვის.

სწორედ ამ მხრივ არის გამორჩეული პირველი ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკონი „სიტყვარი“. იგი განსაკუთრებით ღირებულია იმით, რომ მისი შემდგენლები ეყრდნობოდნენ ქართული ტრადიციული ტერმინოლოგიური სკოლების მონაპოვარს, იზიარებდნენ არა მარტო რუსულ, არამედ მთლიანად ევროპულ და ამერიკულ გამოცდილებას და მაქსიმალურად ცდილობდნენ გამოეყენებინათ ქართული ენის მდიდარი რესურსი. „სიტყვარის“ ავტორთა ლინგვისტიკური მიდგომები დღესაც აქტუალურია.

ლექსიკონში წარმოდგენილია სხვადასხვა ტერმინოლოგიური მოდელი. საინტერესოა, რომ ზოგიერთი ტერმინი ხელოვნურად არის მიღებული, ბევრ შემთხვევაში გამოყენებულია ქართულისათვის ბუნებრივი სიტყვაწარმოებითი ყალიბები. ტერმინთა შედგენისას გათვალისწინებულია სემანტიკური გამჭვირვალობის პრინციპი, გამოყენებულია ხმაბაძვეითობის მეთოდიც, წარმოჩენილია ტერმინთა მოტივირებულობა, განსაკუთრებული დამოკიდებულება მჟღავნდება ტერმინთა თარგმნის მიმართ.

ლექსიკონში გვხვდება შემდეგი ტერმინოლოგიური მოდელები: მარტივფუძიანი, აფიქსური წარმოების, კომპოზიციით მიღებული, ტერმინოლოგიური შესიტყვებები. საინტერესოა სემანტიკური დერივაციის საკითხები.

თითოეული მოდელის შიგნით გამოიყოფა ქვეჯგუფები. მოხსენებაში კლასიფიცირებულია შესაბამისი მასალა, შედარებულია ზოგიერთ სხვა სამეცნიერო დისციპლინათა ტერმინოლოგიურ სტრუქტურებთან. წარმოჩენილია უნივერსალური და სპეციფიკური მახასიათებლები.

ლიტერატურა

ბერიძე 1952 – ვუკოლ ბერიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიისათვის, „მეცნიერება და ტექნიკა“, №7, თბილისი;

ქაროსანიძე 2020 – ლია ქაროსანიძე, სიტყვარი – ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის პირველი ლექსიკონი – 100 წლისა, ტერმინოლოგიის საკითხები, IV, თბილისი;

დამბაშიძე 1981 – როგნედა დამბაშიძე, პირველი ტექნიკური ლექსიკონი და მისი როლი ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებაში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. V, თბილისი;

ლია ქაროსანიძე

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი

l.karosanidze@gmail.com

ქართული ტერმინთბანკი და ტერმინოლოგიური მუშაობის ახალი ეტაპი საქართველოში

ქართული ტერმინოლოგიური მუშაობის ისტორიის შესწავლამ, სხვადასხვა დროის ტერმინთშემოქმედების წარმატება-წარუმატებლობის გაანალიზებამ, საქართველოში თანამედროვე მძიმე ტერმინოლოგიური ვითარების გათვალისწინებამ, ევროპულ ტერმინოლოგიურ საზოგადოებებთან თანამშრომლობამ, ციფრული ეპოქის გამოწვევებმა მნიშვნელოვანი ცვლილებებისა და განსხვავებული გეგმების დასახვის აუცილებლობა დაგვანახვა ქართულ ტერმინოლოგიურ მუშაობაში.

როგორ მოვერიოთ საბჭოთა თუ პოსტსაბჭოთა პერიოდის ტერმინოლოგიურ პრობლემებს, რომლებსაც თანამედროვე ემატება – ეს არის ის უმთავრესი კითხვა, რომელსაც დღეს დასაბუთებული, მეცნიერული პასუხი სჭირდება. საქართველოში არსებული მდგომარეობის შესწავლისა და ევროპულ ტერმინოლოგიურ სტანდარტებთან შედარებისას გამოიკვეთა შემდეგი:

1. ქართული დარგობრივი ლექსიკონებიდან ზოგი მხოლოდ სარედაქციოა (2000 წლის შემდეგ გამოსული ქართულ-ინგლისური ტერმინოლოგიური ლექსიკონები);

2. ზოგ დარგში საჭიროა ქართულ-ინგლისურ შესატყვისობათა დადგენა (რადგან საბჭოთა ეპოქაში შექმნილი ტერმინოლოგიური ლექსიკონები, უმეტესად, ქართულ-რუსული, რუსულ-ქართულია);

3. ზოგი კი თავიდანაა შესაქმნელი (ეს ეხება განსაკუთრებით ბოლო წლებში შემოსული დარგების ლექსიკონებს, რომლებშიც დარღვეულია ტერმინოლოგიური ლექსიკოგრაფიის

სტანდარტები. ასეთი სფეროა, მაგალითად, ქართული საბანკო ტერმინოლოგია, რაც გამოვლინდა საბანკო საქმის სახელმძღვანელოების შესწავლისას.

ამ პრობლემების გადაჭრაზე დამოკიდებული ქართული დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონების სტანდარტიზაციის საკითხი საქართველოში. საბჭოთა თუ თანამედროვე ტერმინოლოგიური პრობლემები ვერ მოგვარდება ქართული ტერმინოლოგიური მასალის ანალიზის გარეშე, რასაც აჩქარებს ტერმინთბანკში, ერთ ტერმინოლოგიურ ბაზაში თავმოყრილი ქართული ბეჭდური ლექსიკონების შესწავლა. საბოლოოდ კი ყველა შესატყვისის (სინონიმის, არასწორი ფორმების) გამოვლენა და მათგან შეთანხმებული ვარიანტების გამოკვეთა გახდება ტერმინთა სტანდარტიზაციის საფუძველი.

ცხადია, ამ ყველაფრის გათვალისწინებით იცვლება და სიახლეები შემოდის ტრადიციულ ტერმინოლოგიურ მუშაობაში. ციფრულ ეპოქაში ეს, რა თქმა უნდა, გასაკვირი არც არის, უპირველესად, მნიშვნელოვანი და აუცილებელია, დარგის სპეციალისტებსა და ენათმეცნიერებთან ერთად მუშაობდნენ ტერმინოლოგიურ სტანდარტებსა და პროგრამებში კარგად გარკვეული პროგრამისტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქართული ტერმინთბანკის საერთაშორისო მიდგომებით მუშაობას. გარდა ამისა, ცვლილებებს მოითხოვს სამეცნიერო მუშაობის დაგეგმვაც, კერძოდ, ქართული ტერმინთბანკის მასალის საბოლოოდ შესაჯამებლად საჭირო ხდება საგანგებო კითხვარების მომზადება *ისო 1087 სტანდარტის ე.წ. მისაღებობის მსაზღვრელის* მიხედვით.

ტერმინთბანკის მასალის გასაანალიზებლად და საბოლოოდ ნორმატიული ფორმის გამოსავლენად დარგის სპეციალისტების პასუხებს, მათ თვალსაზრისებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა კითხვარების შეჯამების შემდეგ საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად კიდევ რამდენიმე ეტაპია გასავლელი, რასაც გარკვეული ცვლილებები შეაქვს ტერმინოლოგიური განყოფილების მუშაობაში, თუმცა უმთავრესი მიდგომა, რომელიც ჯერ კიდევ ძველმა ქართველმა მთარგმნელებმა მე-10 საუკუნეში ჩამოაყალიბეს, უცვლელი რჩება.

სახელმწიფო ენის სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორი ტერმინოლოგიური მუშაობის დამკვიდრებაა საქართველოში, რაც გონივრულად დაგეგმვის შემთხვევაში ადვილად მისაღწევია იმ ქვეყანაში, სადაც ტერმინოლოგიურ საკითხებზე თეორიული და პრაქტიკული მუშაობის დიდი გამოცდილება არსებობს.

ლიტერატურა

საერთაშორისო სტანდარტი – ისო 1087, ტერმინოლოგიური მუშაობა და ტერმინოლოგიური მეცნიერება – ლექსიკონი, 2019-09;

ლ. ქაროსანიძე, 1. ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში, მე-12 კონფერენცია „ბერძნული ენა და ტერმინოლოგია“, ათენი, 2019, <http://www.eleto.gr/> 2. ქართული ტერმინთბანკი – მისი შექმნის ისტორია და მომავალი გეგმები, III საერთაშორისო კონფერენცია ტერმინოლოგიაში, ვილნიუსი, ლიეტუვა, 2019; 3. ქართული ენა და ციფრული სამყარო, ევროპული ტერმინოლოგიური საზოგადოების (EAFT) სამიტი, დუბლინი, ირლანდია, 2021 <https://www.gaois.ie/pdf/EAFT-Summit>; 4. ქართული ტერმინთბანკი – საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ტერმინოლოგიური პრობლემების გადაჭრის გზა, კონფერენცია „მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარება“, მონღოლეთი (ონლაინით) 2022.

ა. ხურცილავა, თანამედროვე ქართული საბანკო ტერმინოლოგიის პრობლემები, კრებული „ტერმინოლოგიის საკითხები“, 2016, გვ. 155-163 <http://termbank.ge/wp-content/uploads/2020/11/term2016.pdf>;

ნინო ქემერტელიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი

ninokemert@gmail.com

მერი გიორგაძე

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

maiagiorgadze@ymail.com

კომპიუტერული ტერმინები და მათი ქართული შესატყვისები

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ დასაბამი მისცა სხვადასხვა კომპიუტერული ტერმინის წარმოშობა-დამკვიდრებას. მოხსენების მიზანია კომპიუტერული ტერმინების ანალიზი და მათი ქართულ ეკვივალენტებთან შედარება – მათ შორის მსგავსებისა და განსხვავების გამოვლენა სტრუქტურული თვალსაზრისით. ასევე, იმის დადგენა, თუ რომელია წმინდა კომპიუტერული ტერმინი (ე. ი. თავიდანვე ამ სფეროში გამოსაყენებლად შეიქმნა) და რომელმა, უკვე დამკვიდრებულმა ლექსიკურმა ერთეულმა, შეიძინა დარგობრივი მნიშვნელობა.

50-ამდე ინგლისური კომპიუტერული ტერმინის გაანალიზებამ და მათ ქართულ ეკვივალენტებთან შედარებამ გამოავლინა ტერმინთა მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი სტრუქტურული ჯგუფები და კვლევაც სწორედ ამ მიმართულებით წარიმართა, კერძოდ, გამოიკვთა ტერმინთა ოთხი ჯგუფი: 1. მარტივი (*domain – დომენი*); 2. წარმოქმნილი (*folder – საქალაქი*); 3. რთული (*motherboard – დედაპლატა*) და 4. კოლოკაციები (*hard disk drive – მყარი დისკი*).

აღსანიშნავია, რომ პირველ ჯგუფში შემავალი ტერმინების უმეტესობა სტრუქტურულად ორივე ენაში ერთმანეთს ემთხვევა. მეორე ჯგუფში განხილული ინგლისურენოვანი წარმოქმნილი ტერმინების უმრავლესობას ქართულში მარტივი სტრუქტურა აქვს. განსხვავებული სურათია მესამე ჯგუფში, სადაც ინგლისურ რთულ ტერმინებს ქართულში სხვადასხვაგვარი სტრუქტურა შეესაბამება, ძირითადად, ჭარბობს კოლოკაციები. მეოთხე ჯგუფში კი ტერმინები ორივე ენაში კოლიკაციებითაა გადმოცემული.

თითოეული ჯგუფი დაიყო ქვეჯგუფებად იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება ინგლისურენოვანი კომპიუტერული ტერმინის სტრუქტურა ქართულ ვარიანტს. საყურადღებოა, რომ შეინიშნება ქვეჯგუფების ნაირსახეობა. შესწავლილი კომპიუტერული ტერმინების უმეტესობა გაერთიანებულია მეორე და მესამე ქვეჯგუფებში, ყველაზე ნაკლები კი – მეოთხეში.

გარდა სტრუქტურული ჯგუფებისა, ტერმინები ორ ჯგუფად გაიმიჯნა: 1. ტერმინები, რომლებიც მიიჩნევა წმინდა კომპიუტერულ ტერმინებად (*software*); 2. ლექსიკური ერთეულები, რომელთაც შემდეგ შეიძინეს ამ დარგში ტერმინის მნიშვნელობა (*keyboard*). შესწავლილი მასალის მიხედვით, მეორე ჯგუფში შემავალი ტერმინები რაოდენობრივად აღემატება პირველ ჯგუფში გაერთიანებულ ტერმინებს.

ნონა ქეცბაია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
nona.ketsbaia@gmail.com

ბარბარიზმები თანამედროვე ქართულ სამშენებლო ლექსიკაში

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა გულისხმობს სამშენებლო ინდუსტრიის, კერძოდ, საშენი მასალების, კონსტრუქციების, ტექნოლოგიების, დაგეგმვის, მართვის, დაპროექტების, შრომის დაცვისა და სხვათა სრულყოფას. ეს კი მჭიდროდ არის დაკავშირებული სამშენებლო ლექსიკასთან, რომელიც ენის სიტყვიერი მარაგის ერთ-ერთი საყურადღებო უბანი და ინსტრუმენტია ერის იდენტობის შესაცნობად და წარმოსაჩენად, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მხრივ არასახარბიელო მდგომარეობაა.

სხვაობა ტრადიციულ ხალხურ სამშენებლო ლექსიკასა და თანამედროვე სამეცნიერო ლექსიკას შორის აშკარაა როგორც ფუნქციური, ისე სემანტიკურ-გრამატიკული თვალსაზრისით.

სამშენებლო ტერმინოლოგიაში ხშირად კალკირების გზით მიღებულ ტერმინებს ვხვდებით მაშინ, როცა ხალხური ლექსიკიდან შესატყვისის შერჩევა მარტივად არის შესაძლებელი. მორავლდა ენობრივი ინოვაციების გზით მიღებული ტერმინები, მრავალმორფემული ერთეულები, სინტაქსური კონსტრუქციები, ხელოვნურად მიღებული ფორმები. უმთავარი პრობლემა, რომელიც იკვეთება თანამედროვე სამშენებლო ლექსიკაში, არის ბარბარიზმების უხვად შემოდინება და დამკვიდრება, მაგალითად: *შეფითხვან-გამპაკლვა, თაბაშირ-მუყაოს ფილა-გიფსოკარდონი, კუთხოვან-უგოლნიკი, გლოვი-პლოსკო, სტიაშკა, პლინტუსი, შტეპცელი...*

ბარბარიზმის მთავარი მახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ ის არასაჭირო ნასესხობაა და მისი ხშირი გამოყენება მშობლიური ენის სიტყვას ან სიტყვებს განდევნის ხმარებიდან, იწვევს ენის გაღარიბებას. ეს პროცესი ვლინდება არა მხოლოდ სამშენებლო ლექსიკაში, არამედ საერთო ლექსიკის დონეზე და ამიტომ გვმართებს დიდი ძალისხმევა ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

ნინო ღამბაშიძე

თბილისის ივ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, თბილისი
nino.ghambashidze@tsc.edu.ge

თამარ ციციშვილი

თბილისის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი
t.tsitsishvili@yahoo.com

როგნედა ღამბაშიძე-ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთი ეპიზოდი

წინამდებარე მოხსენებაში კიდევ ერთხელ გავიხსენებთ ცნობილი ტერმინოლოგის - როგნედა ღამბაშიძის (1922-1992) ცხოვრებასა და ღვაწლს. შევეცდებით ფართო საზოგადოებას გავაცნოთ მისი პიროვნების, ბიოგრაფიის და საქმიანობის შედარებით უცნობი ეპიზოდები და მხარეები. ვუჩვენოთ ოჯახური გარემო, რომელშიც ჩამოყალიბდა და, ალბათ, რამაც განაპირობა მისი პროფესიული არჩევანი. გავიხსენოთ მისი ურთიერთობები და მათთან დაკავშირებული ისტორიები. შევეხებით მის ლექსიკოლოგიურ მოღვაწეობას.

მედეა ლლონტი

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
dodo_mariami@yahoo.com

ძველქართული შესიტყვება-ტერმინი გული გონიერის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდისათვის

მოხსენებაში განიხილება საღვთისმეტყველო და ფუნქციურ-სემანტიკური წანამდღვრები წმიდა წერილსა და საეკლესიო ლიტურატურაში აღბეჭდილი ძვ.ქართ. შესიტყვება-ტერმინებისა: *გული გონიერი, სული გონიერი, სული ღმრთისაჲ, ძალი სულისაჲ, გონებაჲ ღმერთი, გონებაჲ ანგელოზი, გონებაჲ ჩუენი* („გონება კაცობრივი“), *თუალნი გონებისანი, ყურნი გონებისანი, თუალნი გულისანი, ყურნი გულისანი* – ვითარცა ძვ.ქართ. *გული გონიერის* ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის შემადგენელი ერთეულებისა.

რწმენისა და ცოდნის გაერთიანების საუკუნოვანი პრინციპის მომარჯვებითა და ეკლესიის წმიდა მამათა თარგმანებაზე დაყრდნობით, სარწმუნოდ წარმოჩნდება საანალიზო ძველ ქართულ შესიტყვებათა როგორც ტერმინებად ჩამოყალიბების შემაპირობებელი მოტივაცია, ისე მათი შემკრებლობითი ფუნქციონირება ქრისტესმიერი არჩევანისა და თავისუფლების განხორციელების უზენაეს საქმეში.

ვაჟა შენგელია

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
vazhashengelia@gmail.com

რამდენიმე ორნიტოლოგიური ტერმინის შესახებ ჩერქეზულ ენებში

ფრინველთა აღსანიშნავად ჩერქეზულ ენებში გამოიყენება ძირითადად საკუთარი ლექსიკური ერთეულები – მარტივი ფუძეები და კომპოზიტები. მაგრამ გვაქვს ნასესხები ლექსიკაც.

1. ადილ. *მზჩჩათ*, ყაბ. *მზჩჯად ხოხოზი*. ეს სიტყვები კომპოზიტებია – *მზ* (< *მზჯ*) *ტყე* + *ჩქთ* (< *ჩათ*), *ჯად* (< *ჯადღ*) *ქათამი*, *ზედმიწ*. *ტყის ქათამი*.

ყურადღებას იქცევს ადილეურში *ხოხოზი* აღსანიშნავად გამოყენებული სინონიმური ტერმინი *მესგრჩათ*, *ზედმიწ*. *ეგვიპტური ქათამი* (*მესგრ ეგვიპტე*, *ეგვიპტური* + *ჩათ ქათამი*). საძიებელია, თუ რატომ დაუკავშირდა *ხოხოზი* ეგვიპტეს.

2. ადილ. *დესჩჩათ*, ყაბ. *დესჩჯად ფარშავანგი*, *ზედმიწ*. *ოქროს ქათამი*.

ადილეურში პარალელურად გვაქვს *შელჩჩათ* *ზედმიწ*. *აბრეშუმის ქათამი*.

3. ადილ. *დედღჯგუმ*, ყაბ. *პოპუგად* – *თუთიყუში*. ადილეურიცა და ყაბარდოულიც ნასესხებია (ეს უკანასკნელი ახალი ნასესხობაა – რუსულიდან).

ქართულშიც ნასესხები სიტყვა გვაქვს – *თუთიყუში*, რომელიც, ბ. გიგინეიშვილის აზრით, ქართულ ნიადაგზე წარმოქმნილი კომპოზიტი უნდა იყოს – სპარსული და თურქული სიტყვების შეერთების შედეგად (*თუთიყუში* + *ფრინველი*); თუ ეს მოსაზრება სწორია, მაშინ აღნიშნული სიტყვა ადილეურში ქართულიდან შესულად უნდა მივიჩნიოთ (მთელი რიგი ფონეტიკური გარდაქმნებით). ამ თვალსაზრისს ეჭვქვეშ აყენებს, ერთი მხრივ, ტერმინის ფართო გავრცელება

მთელ კავკასიაში სხვადასხვა ოჯახის ენათა შორის, მეორე მხრივ, თვით ქართულში კომპოზიციის მეორე კომპონენტის არარსებობა.

4. ადილ. *თჰაჩანთ*, ყაზ. *გ ჯგ ჯშ – ინდაური*. ადილეური სიტყვა საკუთრივ ადილეურ ნიადაგზე შექმნილი კომპოზიციის, ყაზარდოული – თურქული ნასესხობა.

5. ადილ. *ფსგჩანთ*, ყაზ. *ბაბეს – იხვი*. ადილეურში საკუთარი სიტყვა გვაქვს – კომპოზიტი (ზედმიწ. *წყლის ქათამი*), ყაზარდოული კი, ა. შაგიროვის აზრით, ყარაჩაულ-ბალყარულიდან უნდა იყოს ნასესხები.

ადილეური სიტყვის ფონეტიკურად შესატყვისი ყაზარდოული სიტყვა *ფსგჯად* სხვა ფრინველს – *მელოტას* – აღნიშნავს.

მოხსენებაში, დასახელებულთა გარდა, განხილული იქნება სხვა ტერმინებიც.

ირინე ჩაჩანიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

ir.chachanidze@gmail.com

ილია ალხაზიშვილის ნაშრომი „ფარმაცევტული ტერმინები ქართულს ენაზედ“

ქართველი განმანათლებელი, ლექსიკოგრაფი, ფარმაცევტი, ფოლკლორისტი და ეთნოგრაფი ილია ალხაზიშვილი (1853-1921) ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებადაა ცნობილი. იგი იმ მოღვაწეთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული მეცნიერების, კულტურისა და განათლების განვითარების საქმეში.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის 10-იან წლებში, როდესაც ორიგინალური და ნათარგმნი სამეცნიერო ლიტერატურა ყალიბდებოდა, სერიოზულად დადგა საკითხი ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნისა. ამ სატერმინოლოგიო მუშაობაში ილია ალხაზიშვილი თავიდანვე დიდი ინტერესით ჩაება და ქართული ენის სიწმინდისა და სამეცნიერო ტერმინებით გამდიდრებისათვის სიცოცხლის ბოლომდე მუშაობა არ შეუწყვეტია. „მართლაც-და, თუ გვინდა და ვცდილობთ კულტურისა და ხალხთა შორის ჩავგრიცხოთ, – წერდა ი. ალხაზიშვილი, – უნდა კიდევ ვიშრომოთ ქართული სამეცნიერო ლიტერატურის აღორძინება-განვითარებისათვის. დიახ, ჩვენი ნაციონალური თავმოყვარეობა გვავალებს ამ პრობლემის შევსებას... მაგრამ საქმის მსვლელობას დიდად აფერხებს ქართულ ენაზე სამეცნიერო ტერმინების უქონლობა“.

სხვადასხვა ხასიათის სამეცნიერო ნაშრომებთან ერთად, ილია ალხაზიშვილმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ქართული ფარმაცევტული ტერმინოლოგიის დადგენის საქმეს. მან სიცოცხლეში ვერ მოასწრო გამოქვეყნებინა თავისი მრავალი წლის ტერმინოლოგიური მუშაობის შედეგები. ასეთია მისი „ფარმაცევტული ტერმინები, ანუ ქართულ-რუსულ-ლათინური სახელები წამლებისა“. ნაშრომი შეიცავს 2178 ტერმინს.

წინამდებარე მოხსენებაში გაზეთ „ივერიის“ რუბრიკაში, სახელწოდებით „ფარმაცევტული ტერმინები ქართულს ენაზედ“ ილია ალხაზიშვილის მიერ გამოქვეყნებული წერილების მიხედვით წარმოდგენილი იქნება რუსულ-ლათინური ტერმინების ქართული ეკვივალენტის საილუსტრაციო მასალა.

ნარი ჩხაბერიძე

დამოუკიდებელი მკვლევარი, თბილისი
chkhaberidzenari@gmail.com

ძველქართული საღვთისმეტყველო ტერმინი *შურის* და ქართული *მოშურნეობის* ლექსიკურ-სემანტიკური მიმართებისათვის

შური სულხან-საბა ორბელიანის მიერ განიშარტება, როგორც „მწუხარებაჲ სხვისა კეთილსა ზედა“. *შური*, საზოგადოდ, ის უკეთური ვნებაა, რომელიც ადამიანს ყოველი ბოროტებისკენ უბიძგებს. ნეგატიური სემანტიკის გამომხატველი არაერთი ქართული ლექსიკური ერთეულია ნაწარმოები *შურისგან*: ერთი მხრივ, სემანტიკით – „სხვისის თავისად ქცევის მავნე სურვილი“ (საკუთრივ *შური*) და, მეორე მხრივ, სემანტიკით – „ზედმეტი სურვილით აღძრული გაბოროტება და კაცისათვის სამაგიეროს გადახდა“ (*აშურვა, აშურვება, აღშურვება, დაშურვება, მემშურნე, მოშურნე, საშურო, შურვა; შეშურვება, შურიანი, შურისგება, შურისძიება, შურობა* და სხვ.).

ტერმინ *შურის* ნეგატიურ ასპექტში დამკვიდრება გამოწვეულია ადამიანში შურით აღძრული გაუცნობიერებელი სურვილით სხვისი ვნებისადმი, რაც, ფაქტობრივად, სათავე ხდება სხვა უამრავი ცოდვისა, რომლებსაც მთელი თავისი მრუდე ცხოვრების მანძილზე თავისუფალი ნების უგუნური გამოყენებით ემონება.

როგორც კაცობრიობის არსებობის ისტორია გვიმწმებს, შესაქმიდან მოყოლებული დღემდე, ადამიანი მისთვის მონიჭებულ თავისუფალ ნებას ბოროტებისკენ წარმართავს. თავის მხრივ, სულის არსობრივი (ონტოლოგიური) კონცეფციიდან გამომდინარე, ადამიანს ძალუძს, საკუთარ „ვნებათა წადილს“ სძლიოს და ეს უკეთური წადილი გარდაქმნას ღმრთისაკენ ლტოლვად, რადგანაც სწორედ ამ დანიშნულებისთვის შექმნა კაცი ზეციერმა შემოქმედმა – „სახედ თვსად და ხატად ღმრთისა“ (შესაქმე 1, 27).

მოხსენებაში ამ თვალსაზრისით განიხილება საღვთისმეტყველო წანამძღვრები ძვ.ქართ. *შურ-* მორფემით წარმოებული ქართ. *მოშურნის* ურთირთგამომრიცხველი მრჩობლი სემანტიკური განვითარებისა: „1. ძვ. ვისაც შურს ვისიმე“ „2. ძვ. ძლიერ მოწადინებული, გულმოდგინე, მონდომებული, თავგამოდებული“ (ქეგლ 1958), რის საფუძველზეც წარმოჩნდება შურისგან განთავისუფლებული გონიერი ადამიანის კეთილმოშურნედ გარდაქმნის საღვთისმეტყველო მიზანდასახულობა და სემანტიკური მოტივი.

ლიტერატურა

ქეგლ 1958 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, V ტომი, თბილისი;

დალი ცატავა

საქართველოს გასტრონომიის ასოციაციის პრეზიდენტი, თბილისი
dali.tsatava@gmail.com

გასტრონომია და გასტრონომიული ტერმინოლოგია, მეგრული ჰამოს მაგალითზე

გასტრონომია ყოველთვის ასახავს ერის ტრადიციებს, მის კულტურას, ხასიათს, რეგიონალურ თავისებურებებს და რიტუალების უმთავრესი კომპონენტია.

გლობალიზაციის პროცესმა შეცვალა სამყარო, მასთან ერთად ამ სფეროშიც ბევრი რამ იცვლება და გაქრობის საშიშროების წინაშე დგას, იცვლება კვების კულტურა და მასთან დამოკიდებულება, რაც ერის თვითმყოფადობის ერთ-ერთი მახასიათებელია. კაცობრიობის დიდი ნაწილი გამუდმებით ებლაუჭება ამ კაუჭს. ამას შეიძლება მივაწეროთ ბოლოდროინდელი „გასტრონომიული ბუმი“.

საქართველოს გასტრონომიული კულტურა უძველესია და საინტერესო, რადგან ასეთ პატარა გეოგრაფიულ არეალში ყველა რეგიონს აქვს განსაკუთრებულად გამორჩეული ადგილწარმოშობის პროდუქტი, კერძი თუ სასმელი.

ქართული გასტრონომიული კულტურის კვების ტრადიციები და გამოცდილება მრავალ ისტორიულ წყაროში მოიხსენიება, მათ შორის, ანტიკური ხანის ისტორიკოსებსა და მოგზაურებთან. ეს სიძველე, რასაკვირველია, საკუთარი ტერმინოლოგიის არსებობასაც გვაპარაუდებინებს, თუმცა ბევრი რამ დაიკარგა საკვებთან და სასმელთან ერთად. ეს გამოცდილება და ისტორია აღდგენას და გაცოცხლებას საჭიროებს. ამიტომაც დადგა გასტრონომიული ტერმინების ლექსიკონის შექმნის აუცილებლობა, რაც დიდი გამოწვევების წინაშე დგას.

ჩვენი მოხსენება გასტრონომიასთან დაკავშირებული ზოგიერთი ტერმინის განმარტების ცდა იქნება. განვიხილავთ სამეგრელოს რეგიონის რძის პროდუქტებთან დაკავშირებით.

რადგან სამეგრელოს გასტრონომიული კულტურა არის ცალსახად გამორჩეული ქართულ გასტრონომიაში და იმერულთან ერთად აღინიშნება, როგორც დამოუკიდებელი სრული სამზარეულო, სადაც მოიპოვება როგორც აპერიტივები, ცივი, ცხელი და წვნიანი კერძები, ფაფეული, მისადევნებლები, ჩაროზები და ნუგბარი, ღვინო, სპირიტუანი სასმელები და ნაყენები. თუმცა განსაკუთრებული აქცენტი ყოველთვის კეთდებოდა და კეთდება რძის პროდუქტების კერძებში თუ ცალკე გამოყენებაზე, რომლებსაც მოიცავს საერთო სახელწოდება ჰამო.

ასეთი ლექსიკის დარგობრივი კვლევა არ არის მარტივი, ის აუცილებელია ეფუძნებოდეს ცოცხალ ურთიერთობას, რომელიც რეგიონში საგანგებო მოგზაურობისას იწერება და გროვდება. საფუძველი ასევე არის ეთნოგრაფიული ჩანაწერები და ზეპირი გადმოცემები.

მოხსენებაში ყურადღება გამახვილებული იქნება ასევე ისეთ ძირითად ტერმინებზე, როგორებიცაა: *გასტრონომია, გასტრონომიული კულტურა, კულინარია.*

ჩვენი მიზანია, სალიტერატურო ენაზე გადმოტანისას არც ენის ნორმები დაირღვეს და შენარჩუნდეს მეგრული ტერმინოლოგიაც, რადგან ის ბევრ საიდუმლოს ინახავს როგორც გასტრონომიული ტექნოლოგიის, ასევე ისტორიის და ეთნოგრაფიის თვალსაზრისით. ეს ხელს შეუწყობს არა მარტო ენობრივი დარღვევების აღმოფხვრას, არამედ ტექნოლოგიური პროცესის სწორად აღქმასაც, რადგან მეგრული სიტყვები ხშირად მრავლისმომცველია.

მამუკა ცუხიშვილი (მონაზონი იოანე)

საქართველოს საპატრიარქოს სოფლების ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრი, თბილისი
mamukacuxishvili@gmail.com

ერთი საეკლესიო ტერმინის შესახებ

ყოველდღიურ საეკლესიო მსახურებაში, მწუხრის, ცისკრისა და წირვის დროს არაერთი ისეთი სიტყვა გვხვდება, რომლებიც მხოლოდ ძველმა და ახალმა აღთქმამ შემოგვინახა.

თავდაპირველად ეს სიტყვები (ტერმინები) მსმენელისთვის საკმაოდ უცხო და, ამავედროულად, უცნაურად აღსაქმელია. თუმცა, ასე ნამდვილად არ არის.

ერთი ასეთი ტერმინია – *სახუმილავე*, იგივე დრო-ჟამის აღმნიშვნელი სიტყვა, რომელიც სწორედაც რომ ოდითგან მკვიდრობს როგორც ფსალმუნთა წიგნში, ისე სახარებაში. ძველ დროში იუდეველნი მთელი ღამის დროს სამ ნაწილად ყოფდნენ, რომლებიც სახუმილავებად, ანუ საყარაულოებად იწოდებოდა და თითოეული ოთხ საათს შეიცავდა.

ღამის დაყოფა სადარაჯო ჟამებად, ანუ სახუმილავებად, სავარაუდოდ, წარმოდგება ძველ დროში ომიანობისა თუ შიშინობის ჟამს ქალაქებსა თუ ლაშქრულ ბანაკებში მოდარაჯე ჯარისკაცთა დაყენების ჩვეულებისაგან, რომლებიც უწინ ღამეში სამჯერ იცვლებოდნენ, შემდგომში კი დაწყებული პომპეუსის დროიდან – ოთხჯერ.

ტერმინი საინტერესოა მრავალმხრივ. კვლევა კი მრევლსა და სასულიერო დასს გაუადვილებს უძველესი, გაქრობის პირას მყოფი სიტყვების არსში წვდომის შესაძლებლობას.

ომარ ძაგნიძე

თსუ ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი
omar.dzagnidze@tsu.ge

სასკოლო მათემატიკის ტერმინების ისტორიისთვის

მათემატიკის ქართულ ტერმინთა ჩამოყალიბების ისტორია უაღრესად საინტერესოა, თუმცა ის სრულყოფილად შესწავლილი არ არის. არა გვაქვს აღნუსხული სინონიმური ტერმინებიც, არ ვიცნობთ ტერმინთა ავტორებს. მათემატიკის ქართულ ტერმინოლოგიაში ისე, როგორც ნებისმიერი დარგის ისტორიაში, ჩანს ქართულისა და უცხოური ტერმინების მონაცვლეობა, ტერმინთა სიჭარბე.

გვერდშუალა, მედიანა,

პირპირა კუთხეები, ვერტიკალური კუთხეები

ნაასალი, ასდანი, ასედი, პროცენტი.

სწორი ხაზის შეთანასწორება//წრფის განტოლება

სამცირი//საკლები

აღმოჩენა//დამტკიცება

განწვალება//გაყოფა

დამსახველი/მსახველი
დასაბამი/სათავე
დაუწყვეტელი/უწყვეტი
ზედსაჩინო/ზედაპირი
კინტროი/ცენტრი
კონოი/კონუსი
კუვოი/კუბი
მრავალყური/მრავალკუთხედი
საიმულო/აუცილებელი
ლაღადისი/მტკიცება
ყური/კუთხე

1862 წელს დაიბეჭდა მიხეილ ზაალის ძე ყიფიანისა და ვახტანგ დიმიტრის ძე თულაშვილის რუსულიდან ნათარგმნი „არითმეტიკა“. ამ ავტორების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შემოიღეს ისეთი მნიშვნელოვანი ქართული ტერმინები, როგორებიცაა: *გაყოფა, გასაყოფი, გამყოფი და განყოფი, გამრავლება, სამრავლი, მამრავლი და ნამრავლი*. მათ შემოიღეს ტერმინები: *ათწილადი, ნაშთი, მარტივი რიცხვი, შეკრება, შერეული რიცხვი, ათეული, შემოწმება, ასეული, ხარისხი, ჯამი, შესამცირი*.

მიხეილ ზაალის ძე ყიფიანმა 1884 წელს გამოსცა ადვილად დაძლევადი ამოცანებითა და მაგალითებით გაჯერებული „არითმეტიკა სოფლის სასწავლებელთათვის“. ამ პერიოდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მიხეილ ზაალის ძე ყიფიანის 446- გვერდიანი „გეომეტრია“ (1888 წ.). ამ წიგნში განხილულია პლანიმეტრიისა და სტერეომეტრიის ყველა ძირითადი ობიექტი სათანადო მრავალი ტერმინით. ახალგაზრდების მათემატიკური განათლების ამდღების საქმეში დიდი როლი შეასრულა ვასილ როსტომის ძე ყიფიანის „დაწყებითმა ალგებრამ“ (1893 წ.), რომელშიც გადმოცემულია ალგებრის ძირითადი ობიექტები სათანადო ტერმინებით. ამ წიგნებში ტერმინოლოგიური სიჭრელეა, თუმცა ტერმინოლოგიის ისტორიის თვალსაზრისით თითოეული მათგანი საინტერესოა, საბოლოოდ დასადგენია თანამედროვე ქართულ მათემატიკურ ტერმინთა ძველი შესატყვისები. მოხსენებაში განვიხილავთ ჩვენი ავტორობით გამოსაცემად მომზადებულ წიგნში, სახელწოდებით „სკოლის მათემატიკის ისტორია“, შესულ საინტერესო ტერმინებსა და საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილ მათემატიკურ სახელმძღვანელოებს.

მარია ჭითანავა-ლობჯანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
chitanavam@yahoo.com

წმიდა მარკოზ მახარებლის ლიტურგიის საღმრთისმეტყველო ტერმინოლოგიური ანალიზი

წმიდა მოციქულისა და მახარებლის მარკოზის ლიტურგია აღმოსავლური მართლმადიდებლური ეკლესიის ერთ-ერთ უძველეს ლოკალურ ტრადიციულ მსახურებას წარმოადგენს, რომლის დაარსება უშუალოდ მოციქულთა თავის – პეტრეს მოწაფის სახელთანაა დაკავშირებული.

ალექსანდრიის ეპისკოპოსად ხელდასხმის შემდეგ ევანგელისტმა ეგვიპტის ადგილობრივ მოსახლეობას ძველ ბერძნულ ენაზე შეუდგინა ღმრთისმსახურების წესი, რომელიც თავდაპირველად მაცხოვრის მიერ დაწესებული უდიდესი საიდუმლოთი – ევქარისტიით შემოიფარგლებოდა. დროთა განმავლობაში კი მსახურება ღმრთივგანბრძნობილი იერარქების ლოცვებით განივრცობოდა და ხდებოდა ლიტურგიის საბოლოო სახით ფორმაცია.

აღსანიშნავია, რომ მარკოზ მახარებლის წირვამ თავიდანვე დიდი ყურადღება მიიპყრო და ფართოდ გავრცელდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ. ამას ადასტურებს ლიტურგიის საღვთისმსახურო ტექსტის ლათინური, კოპტური, არაბული თარგმანების ამსახველი ხელნაწერები, ასევე – გასული საუკუნის დასაწყისიდან დასახელებული წირვის არაერთ თანამედროვე ენაზე შესრულებული მეცნიერული თარგმანები, რაც იმთავითვე გულისხმობს წმიდა მარკოზის წირვის მნიშვნელობას და აქტუალობას ჩვენს ეპოქაშიც.

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ხსენებული მსახურების სტრუქტურა ბევრ ისეთ თვალსაჩინო ელემენტს შეიცავს, რომლებიც საშუალებას იძლევა წარმოვიდგინოთ, თუ როგორ ლოცულობდნენ პირველი ქრისტიანები. ადგილობრივ ტრადიციულ ღმრთისმსახურებას, სხვა ლიტურგიებისაგან განსხვავებით, დიდი ცვლილებები არ განუცდია, რაც განპირობებული იყო ბიზანტიის იმპერიის მასშტაბური საეკლესიო რეფორმით, მეტიც, შემოინახა თავისი პირვანდელი იერსახე. მასში ვხვდებით მთელ რიგ ტერმინოლოგიურ თავისებურებებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია კონკრეტული ენის ფარგლებში საღვთისმეტყველო ცნებების მეტ-ნაკლები სისრულით გადმოცემა, ტრანსცენდენტური სამყაროს აღქმა და მისი ვერბალური ასახვა ლიტურგიკულ ტექსტებში.

ევანგელისტის საღმრთო ლიტურგიის სრული ტექსტის ჩვენ ხელთ არსებული ძველბერძნული, ლათინური, კოპტური და არაბული თარგმანების შესწავლა-დამუშავებით, შეგვიძლია წარმოვადგინოთ ოთხენოვანი ლიტურგიკულ-თეოლოგიური ლექსიკონი, რომლის ანალიზის შედეგად ვიღებთ შემდეგ სურათს:

1. ტერმინების მთელი სისავსით გადმოცემა ყველაზე უკეთ ძველბერძნულ ენას ახასიათებს, რომელიც ანტიკური ფილოსოფიიდან იღებს მიღმური სამყაროსთვის დამახასიათებელ სალექსიკონო ფორმებს და შესანიშნავად მიესადაგება თეოლოგიურ ცნებებს;

2. ლათინურ ლიტურგიკულ თარგმანში დამკვიდრებული საღვთისმეტყველო-საღვთისმსახურო ცნებების დიდი ნაწილი საკუთრივ თავისი გლოტარული სივრცედანაა აღებული და ნაწარმოები, თუმცა რიგ პასაჟებში ვხვდებით, როგორც ძველი ბერძნულიდან ნასესხებ ტერმინებს, რომლებიც ხელნაწერში უშუალოდ ბერძნული ასოებითაა ჩართული, ასევე ისეთ

შემთხვევებს, როცა ლათინურენოვან თარგმანში საკუთარი თეოლოგიური სალექსიკონო ფორმის პარალელურად მთარგმნელი იყენებს ძველბერძნულ ცნებებს, ერთი შეხედვით, თითქოს სინონიმური დატვირთვით;

3. მარკოზის ლიტურგიის კოპტური თარგმანის ტექსტის მიხედვით თითქმის ყველა ლიტურგიკული ტერმინი ბერძნულია;

4. რაც შეეხება არაბულ თარგმანს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მასში დამკვიდრებულია საკუთრივ აღნიშნული სემიტური ენის ცნებები.

თამარ ხატიაშვილი

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, თბილისი
tamar.xatiashvili@yahoo.com

ჰიბრიდული ომი – XXI საუკუნის ტერმინი

ბოლო ათწლეულია, მსოფლიო პოლიტიკა მოიცვა ტერმინმა ჰიბრიდული ომი, შესაბამისად, მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე მოვლენების აღწერა თუ ანალიზი, სამხედრო, სამეცნიერო და პოლიტიკური თვალსაზრისით, ასევე მათი ფართოდ გაშუქება მედია- თუ ინტერნეტსივრცეში მჭიდროდ უკავშირდება ამ ტერმინს, თუმცა ჩატარებული თუ მიმდინარე მოქმედებების შესახებ ნაშრომების, სტატიების, წერილებისა და ნათარგმნი დოქტრინული მასალის გამოქვეყნება აღნიშნული ტერმინის განსხვავებული ფორმების გავრცელების ხელშემწყობიცაა, რადგან არ არსებობს ქართული სტანდარტიზებული და უნიფიცირებული სამხედრო ტერმინოლოგია.

ჰიბრიდული ომის პარალელურად გამოიყენება ტერმინები: ჰიბრიდული ოპერაციები, ჰიბრიდული ომები, ჰიბრიდული საბრძოლო მოქმედებები.

საგულისხმოა ორი ინგლისური ტერმინის, *hybrid war*-ისა და *hybrid warfare*-ს, აღრევა (ქართულენოვან მასალებში და არა მარტო), შესაბამისად, ყურადღება უნდა გავამახვილოთ შემდეგ შემთხვევებზე:

- ორივე ინგლისური ტერმინის ერთი ქართული ტერმინით, ჰიბრიდული ომით, გამოხატვაზე;
- *hybrid warfare*-ს რამდენიმე შესატყვისის: ჰიბრიდული ოპერაციების, ჰიბრიდული ომების, ჰიბრიდული საბრძოლო მოქმედებების, დამკვიდრებაზე.

ჩვენი კვლევის მიზანია აღნიშნული ტერმინის, როგორც ცნების, გააზრება და მისი არსის შესწავლა ინგლისურენოვან და რუსულენოვან სამხედრო დოქტრინებზე დაყრდნობით, რადგან მიგვაჩნია, რომ ქართული შესატყვისის დადგენის ამოსავალი ტერმინის არსის სწორად გააზრებაშია, ხოლო რუსული და ამერიკული მიდგომები ამ მოვლენისადმი განსხვავებულია.

აღნიშნული ტერმინის ისტორიისა და ეტიმოლოგიის კვლევა ეყრდნობა ჰიბრიდული ომის იმ სქემატური მოდელის, ტიპებისა და მეთოდების განსაზღვრას, რომლებიც შევისწავლეთ დამოწმებული ლიტერატურის მიხედვით. ტერმინის დადგენისას დიდი მნიშვნელობა

ენიჭება შემდეგ საკითხს, კერძოდ, მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ომად ან კონფლიქტად კვალიფიკაციას; აქედან გამომდინარე, განვიხილავთ ტერმინებს – *ომი, ბრძოლა, კონფლიქტი, ოპერაცია*.

შესწავლილი მასალის საფუძველზე მართებულად ვთვლით ტერმინ *hybrid warfare*-ს ქართულ შესატყვისად ჰიბრიდული საბრძოლო მოქმედებების მიჩნევას.

ნათელია, რომ ტერმინის დასადგენად აუცილებელია მისი შინაარსობრივი გააზრება, რადგან კონტექსტის შეცვლა იწვევს ტერმინის მრავალმნიშვნელობიანობასაც და მის არასწორ გამოყენებასაც, ამიტომ სამხედრო ინგლისური ტერმინების სწორი ქართული შესატყვისების დამუშავებას დგება თანამედროვე ტერმინოლოგიური მუშაობის საკითხი, რაც რომელიც გულისხმობს მთარგმნელების, ენათმეცნიერების, დარგის სპეციალისტებისა და სამხედრო სპეციალისტების თანამშრომლობას. ამ მიზნით გამოვიყენეთ ინტერვიუ სამხედრო სპეციალისტთან.

ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი

თსუ არნოლდ ჩიკობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
mzeshina@mail.com

დავით ჭელიძე

ილიას უნივერსიტეტი, ბოტანიკის ინსტიტუტი, თბილისი
David@tchelidze.com

მცენარეთა ქართული სამეცნიერო სახელების განახლების შესაძლებლობა ძველი ქართული ლექსიკონების მონაცემებით

ძველ ქართულ ლექსიკონებში ხელშესახებადაა წარმოდგენილი მცენარეთა სახელები, თუმცა ამ მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ აისახა ალ. მაყაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონში“ (1949, 1961).

აუცილებელია აღნიშნული მასალის თავმოყრა, შესწავლა და სრულყოფილად წარმოჩენა, რაც ჯეროვნად გაამდიდრებს მცენარეთა ქართულ სამეცნიერო სახელთა ნუსხას. „მცენარეთა სახელების კრებისთი ლექსიკონის“ შედგენისას (ნ. ხოჭოლავა-მაჭავარიანი, დ. ჭელიძე) მოხერხდა ამ ხარვეზის გამოსწორება, შესაბამისად, განხორციელდა არაერთი ცვლილება.

ნიმუშები:

მკედიანა. ეს ფიტონიმი მხოლოდ ი. ბაგრატიონის „საბუნებისმეტყველო განმარტებით ლექსიკონში“ (1986) დავადასტურეთ, შდრ.: „песчанка *Arenaria campestris* მკედიანა“. მოხერხდა მცენარის ამოცნობა და, შესაბამისად, „მცენარეთა სახელების კრებისთი ლექსიკონში“ ის აისახება ახალ ერთეულად სამეცნიერო სახელით „მკედიანა“ („მკედიანა *Spergularia rubra* (L.) J. et C. Presl.“).

მკედ-იან-ა არის იან-ა რთული სუფიქსით წარმოქმნილი სახელი, საწარმოქმნო ფუძეა მკედ-, დასტურდება ძველ ქართულში და ქართულის რიგ დიალექტებში, შდრ.: „მკედი – ძაფი, ნართი“ (აბულაძე 1973); „მკედი მოსხო ძაფი...“ (საბა 1991); *ინგილ.* „მკედი – აბრეშუმის პარკის მომსხო ძაფი“ (როსტიაშვილი 1978), „კოჭის ძაფი“ (ღამბაშიძე 1988); *ფერეიდ.* *კედი* – იგივეა, რაც

სახელი; ძაფი (ფდკლ); *ლექს.* „კედისაფი – წვრილად დაგრეხილი კანაფის ძაფი“ (ლლონტი 1985); *ზ. იმერ.* „მკელდი – მკედი, ძაფი“ (წერეთელი 1938).

ფიტონიმის მოტივაცია მცენარის ნიშან-თვისებას უკავშირდება („ფოთოლთ დაისხამს ძაფის სახედ...“ – ი. ბაგრატიონი, 1986), ამასთან, ის მკაფიოდ და მოხდენილად გამოხატავს ამ მოტივაციას.

ძელქვა *Zelkova carpinifolia* (Pall.) K. Koch (მაყაშვილი 1961). ეს გამორჩეული ქართული დენდრონიმია, რადგან დამკვიდრებულია არა მხოლოდ ქართულ, არამედ საერთაშორისო ნომენკლატურაშიც გარკვეულ ხეთა გვარის აღმნიშვნელად (*Zelkova*).

კვლევამ აჩვენა, რომ *ძელქვა* ქართულში მხოლოდ ერთი გვარის ხემცენარეთა აღმნიშვნელი სახელი არაა და ის განსხვავებულ მნიშვნელობებს ავლენს, ხოლო მისი საერთაშორისო ტერმინად შერჩევა-დამკვიდრება უცხოელ ბოტანიკოსთა დამსახურებაა.

ძელქვა-ს ლექსიკოგრაფიული აღწერა გვიჩვენებს, რომ: 1. ის ქართველურ ენა-კილოებში მტკიცე მერქნის მქონე ხემცენარეთა ზოგად სახელადაც აღიქმება; 2. დასტურდება ძველ ქართულ ტექსტებში, თუმცა ვერ კონკრეტდება, რომელ ხემცენარეს აღნიშნავს; 3. ბიბლიის ახალ ქართულ თარგმანებში *ძელქვის* ექვივალენტად გვაქვს *ჭადარი*, *ნეკერჩხალი*, *წაბლი*, *თელა*, *თეთრი ალვა*...; 4. არაერთგვაროვნება ძველ ქართულ ლექსიკონებშიც: ა) ს.ს. ორბელიანის „სიტყვის კონის“ მიხედვით, *ძელქვა* დღევანდელი *ჭადარია* (*Platanus*); ბ) სინონიმებადაა წარმოდგენილი *ჭადარი* და *ძელქვა* მომდევნო პერიოდის ძველ ლექსიკონებში (ი. ბაგრატიონის „საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი“; ნ. ჩუბინაშვილის „ქართული ლექსიკონი“, დ. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსული ლექსიკონი“).

რ. ერისთავმა მოახდინა გარდატეხა დენდრონიმ *ძელქვა*-ს განმარტებაში და აქ სინონიმად უკვე აღარ ჩანს *ჭადარი*, ხოლო გვარის ლათინური სახელწოდება წარმოდგენილია სწორედ ისე, როგორც ეს საერთაშორისო ტერმინად დაამკვიდრა ბოტანიკოსმა *შახმა*, შდრ., „*ძელქვა* (იმერ., გურ., მეგრ.) *Дзельква. Zelcowa crenata Spach.*“ (ერისთავი, „მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან“, 1884).

„მცენარეთა სახელების კრებისთ ლექსიკონში“ *ძელქვა* წარმოდგენილია შემდეგ სამეცნიერო სახელებად: გვარი *ძელქვა* *Zelkova* და სახეობა რცხილაფოთოლა ძელქვა *Zelkova carpinifolia* (Pall.) K. Koch. აგრეთვე ის დადასტურებულია რამდენიმე ხემცენარის სინონიმურ სახელადაც, რადგან ძველი ქართული ლექსიკონები ამის შესაძლებლობას იძლევა.

ლიტერატურა

- აბულაძე 1973* – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი
ბაგრატიონი 1986 – ი. ბაგრატიონი, საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი
ერისთავი 1884 – რ. ერისთავი, მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან, თბილისი
მაყაშვილი 1961 – ალ. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი
ორბელიანი 1991, 1993 – ს.ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, თბილისი
როსტიაშვილი 1978 – ნ. როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი თბილისი.
წერეთელი 1938 – ბ. წერეთელი, ზემოიმერული ლექსიკონი, „ქართველურ ენათა ლექსიკა“. გურული, ზემოიმერული და ლეჩხუმური ლექსიკონები; თბილისი

დამბაშიძე 1988 – რ. დამბაშიძე, ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი, თბილისი
დლონტი 1985 – ალ. დლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი
ჩუბინაშვილი 1961 – ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი
ჩუბინაშვილი 1984 – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი

ცირა ჯანჯღავა

თსუ არნოლდ ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
cirunaja@gmail.com

ტერმინოლოგიურ შესიტყვებათა შესახებ მეგრულ-ლაზურში

მეგრულ-ლაზურში საგნის, მოვლენის, ცნების აღსანიშნავად, სხვა ენათა მსგავსად, ხშირად გამოიყენება შესიტყვებები. შევხებით ზოგიერთ მათგანს.

1. მეგრ. *ჯამ მოხელე* „ხურო“, ზედმიწ. „ხის მოხელე“; შესიტყვების პირველი წევრი მეგრული სიტყვაა, მეორე – შეთვისებული.

ლაზ. *ოხორიშ უსთა* „ხურო“, ზედმიწ. „სახლის მოხელე“; *ოხორი* ლაზური სიტყვაა, *უსთა* – თურქულიდან ნასესხები.

2. ლაზ. *დიდო წანერი* „ხნიერი, წლოვანი ადამიანი“, ზედმიწ. „დიდად წლოვანი“.

3. მეგრ. *სერიშ ჭუკი* „ლამურა“, ზედმიწ. „ლამის თაგვი“; ამ მნიშვნელობით უფრო ხშირად იხმარება *ბურბუ*.

4. ლაზ. *ქე ჯაგერი* „ფილტვი“, ზედმიწ. „თეთრი ჯაგერი“; *ურა ჯაგერი* „ღვიძლი“, ზედმიწ. „შავი ჯაგერი“.

ამ შესიტყვებათა პირველი კომპონენტი ლაზურია – *ქე* „თეთრი“, *ურა* „შავი“, მეორე – *ჯაგერი* – თურქულიდან ნასესხები. თურქულში *ჯაგერ* ფილტვსაც აღნიშნავს და ღვიძლსაც. ლაზურსაც ასევე შეუთვისებია, მაგრამ შემდგომ დაზუსტებისათვის საკუთარი ზედსართავი სახელები დაურთავს.

5. ლაზ. *ეუჯი დოლოკიდალე* „საყურე“, ზედმიწ. „ყურის დასაკიდებელი“.

6. მეგრ. *განიშ ხორხი* „ბირდაბირი“, ზედმიწ. „განის ხერხი“.

7. მეგრ. *ხუჯიშ კოჩი* „ამხანაგი“, ზედმიწ. „მხრის კაცი“ (პარალელურად და უფრო ხშირად იხმარება *ამხანაგი*).

8. ლაზ. *ცხენიშ მონთა* „კვიცი“, ზედმიწ. „ცხენის შვილი“ (ლაზ. მონთა „შვილი, შვილიშვილი“ – ა. თანდილავა).

9. ლაზ. *ფუჯიშ ნენა* „ირმისენა“, ზედმიწ. „ძროხის ენა“; განსხვავებული მსოფლხედვაა (ერთი მხრივ, „ძროხა“ და, მეორე მხრივ, „ირემი“).

10. მეგრ. *ტყარ უშქური*, ლაზ. *მტკუი უშქირი* „მაჟალო“, ზედმიწ. „ტყიური ვაშლი“.

11. მეგრ. *ემშაკიშ ვარდი* „ასკილი“, ზედმიწ. „ემშაკის ვარდი“, ლაზ. *მტკუი გჷლი* ზედმიწ. „ტყის ვარდი“; ლაზურ შესიტყვებაში პირველი სიტყვა ლაზურია, მეორე – თურქული ნასესხობა.

12. მეგრ. *უბადო დლა* „ავდარი“, ზედმიწ. „ცუდი (ავი) დღე“.

13. მეგრ. *ურა ბარგი* „ძაძა, სამგლოვიარო ტანსაცმელი“, ზედმიწ. „შავი ტანსაცმელი“.

14. მეგრ. *დუდიშ ოფორალი* „თავსახური“, ზედმიწ. „თავის დასაფარებელი“.

15. მეგრ. *ჩე ჯა*, ლაზ. *ხჩე ჯა* „აღვის ხე“, ზედმიწ. „თეთრი ხე“.
 16. მეგრ. *ქუაშ მარხუალი* „მოხერხებული, გაქნილი კაცი“, ზედმიწ. „ქვის მხვრეტელი“.
 17. მეგრ. *კანიშ ჩაფლა* || *კანჩაფლა* „ქალამანი“, ზედმიწ. „კანის ფეხსაცმელი“.
 18. მეგრ. *ტყაშ ქოთომი* „როჭო“, ზედმიწ. „ტყის ქათამი“ (რ. ჟორდანია).
 19. ლაზ. *ჩხომიშ მაქვალი* „ქვირითი“, ზედმიწ. „თევზის კვერცხი“.
 20. მეგრ. *ხეშ ბიგა* „ხელჯოხი“, ზედმიწ. „ხელის ჯოხი“.
- და სხვ.

